გილოცავთ გიორგობას!

ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali-Taoba

ორშაბათი, 23 ნოემბერი, 2009 №302 (5043) ფასი: 30 თეთრი

გამსახურდია დავითაიას ხალხს დაერია

გვ.5

აფხაზეთში არეულობა იწყება

პრეზიდენტობის კანდიდატ ბესლან ბუთბას ოფისი აუფეთქეს

გვ.2

გვ.3

ბაღათურია ახალი ალიანსის შექმნას აპირებს

თბილისის მეროობის კანდიდატი ვაჟა ლორთქიფანიძეც იქნება

გვ.3

პრაიმერი შალვა ნათელაშვილის გამო ჩაიშლება

მალე სააკაშვილი უკრაინაშიც ვერ ჩავა

პრეზიდენტის დედის მეგობარს მერიამ 120 ათასი ლარი გადაურიცხა

გვ.4

პუტინი და მედვედევი სააკაშვილს უჭერენ მხარს

ამერიკა მხარს არც ერთ პარტიას არ დაუჭერს



გვ.6

ერთიანი ლიდერის გამოსავლენად პრაიმერის ჩატარება აუცილებელი არ არის

ჯოზეფ კეის წარმომადგენლობის განცხადება

ჯოზეფ კეის წარმომადგენლობა ოფიციალურად აცხადებს, რომ ბოლო დროს ინა გუდავაძის ნდობით აღჭურვილი პირები სისტემატურად ახდენენ საზოგადოების დეზინფორმირებას და მიზანმიმართულად ავრცელებენ ყალბ და, ხშირ შემთხვევაში, აბსურდულ ინფორმაციას.

უწინარესად ვაცხადებთ, რომ ინა გუდავაძეს არ მოუგია არც ერთი სასამართლო პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ჯოზეფ კეის წინააღმდეგ გუდავაძისავე ინიცირებით. ვფიქრობთ, სხვა შემთხვევაში, საინტერესო იქნებოდა მსგავსი სასამართლო გადაწყვეტილების ხილვა როგორც ჯოზეფ კეის წარმომადგენლობისათვის, ისე — მასმედიისა და ფართო საზოგადოებისათვის.

კატეგორიულად ვაცხადებთ: ანდერძის აღსრულებასთან დაკავშირებული საპროცესო დავა მიმდინარეობს მხოლოდ ორ ქვეყანაში, აშშ-სა და საქართველოში. ინა გუდავაძისა და მისი ნდობით აღჭურვილი პირების მცდელობა, საზოგადოების ყურადღების ფოკუსირება მოახდინოს იმ სასამართლო პროცესებზე, რომლებიც სხვა ქვეყნებში მიმდინარეობს, შეგნებული დეზინფორმაციაა, ვინაიდან ამ სასამართლო პროცესების მეშვეობით ინა გუდავაძე ცდილობს უშუალოდ ჯოზეფ კეის კუთვნილი აქტივების დაპატრონებას და ხსენებულ პროცესებს საერთო არაფერი აქვთ ანდერძის აღსრულების პროცედურებთან.

ამასთან, კატეგორიულად ვაცხადებთ: ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს, ჯოზეფ კეის კუთვნილი ლონდონის ოფისი და სხვა ბიზნესაქტივები დაყადაღებული და გაჩხრეკილ იქნა ინგლისის სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, მტკნარი სიცრუეა.

გულწრფელ გაკვირვებას იწვევს ის ფაქტიც, რომ ინა გუდავაძის წარმომადგენელი, „ახლად აღმოჩენილი მტკიცებულებების“ სახით, იშველიებს მასალას, რომელიც მითითებულ იქნა ბორის ბერეზოვსკის მხარის მიერ მისი პროცესის მიმდინარეობისას ინა გუდავაძის წინააღმდეგ. თავად განსაჯეთ, რამდენად სანდოა ბელარუსის კგბ-ს მიერ ბორის ბერეზოვსკის ადვოკატებისათვის გადაცემული მასალები! ერთობ საინტერესოა პრაქტიკაც, როცა ბერეზოვსკისა და ბელარუსის კგბ-ს მიერ შექმნილი „მტკიცებულებებით“ ჯოზეფ კეის წინააღმდეგ მანიპულირებენ. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ლონდონის სასამართლო პროცესი ბერეზოვსკისა და გუდავაძეს შორის ინფორმაციის გაცვლის ერთობლივი ფორუმია, რომლის მეშვეობითაც მუშავდება ერთიანი სასამართლო სტრატეგია ჯოზეფ კეის წინააღმდეგ?

ჯოზეფ კეის წარმომადგენლობა მიიჩნევს, რომ ბოლო ხანს ატეხილი ისტერიული კამპანია, რომელიც აბსურდული და ყალბი ინფორმაციის გავრცელებას გულისხმობს, მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება — როგორმე „გადაფაროს“ საერთაშორისო პრესაში გამოქვეყნებული ინა გუდავაძის პერსონასთან დაკავშირებული არა ერთი სკანდალური ინფორმაცია.

დაბოლოს, იმ სპეკულაციასთან დაკავშირებით, რომ პატარკაციშვილის ყველა მემკვიდრე წინააღმდეგია, ბატონმა კეიმ ანდერძის აღმასრულებლის ფუნქცია შეასრულოს — თუ მემკვიდრეები მართლაც ასე ერთსულოვანნი არიან, გამოიყენონ საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლება და იურიდიული პროცედურების გავლით გადააყენონ ანდერძის აღმასრულებელი.

ჯოზეფ კეის წარმომადგენლობა

გვ.2

ცოტნე გამსახურდიას ჯანმრთელობა გართულდა

მე ოპოზიციას არ ვაფინანსებ!

გვ.6

მიხეილ ხუბუტია ოპოზიციის პრიდასავლურობით უკმაყოფილოა

რუსეთი და საქართველო ფარულ მოლაპარაკებებს აწარმოებენ

გვ.5

2 დღეს პატრიარქი 480-მდე ბავშვს მონათლავს

8 „ბაღმა ნაპირი“ კვლავ გამარჯვებულია

7 ლარსი არ უნდა გაიხსნას!

8 ქართულ ქორეოგრაფიას გამოფენა მიეძღვნა

რუსეთში საპრეზიდენტო სარეკლამო ბანერი

რუსეთში მიხეილ საკაშვილის მსგავსი პრეზიდენტი ისურვებდნენ.

ასეთი შედეგები აჩვენა რადიო „ეხო მოსკვის“ გუშინდელმა გამოკითხვამ. გამოკითხვის დროს დასმული იყო შეკითხვა — „გსურთ თუ არა რუსეთს ისეთი პრეზიდენტი ჰყავდეს, როგორიც მიხეილ საკაშვილია“.

„ეხო მოსკვის“ გამოკითხვა ტელეფონით და ინტერნეტის საშუალებით მიმდინარეობდა.

ინტერნეტით დასმულ შეკითხვაზე 1276-მა მსმენელმა დადებითი პასუხი გასცა (60%), სააკაშვილს მსგავსი პრეზიდენტი არ სურს 750 (35.7%) მსმენელს, ხოლო 75-ს (3.6%) პასუხის გაცემა უჭირს.

სატელეფონო გამოკითხვის მიხედვით კი, სააკაშვილის მსგავსი პრეზიდენტი რუსეთისთვის 926 (78.9%) ადამიანს სურს, ხოლო 248 (21.1%) წინააღმდეგია. **ინტერპრესნიუსი**

დღეს პატრიარქი 480-მდე ბავშვს მონათლავს

გიორგობის დღესასწაულზე მე-9 დიდი ნათლობა გაიმართება. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე თავის მომავალ ნათლულებს სამების საპატრიარქო ტაძარში მონათლავს და სახარებითა და ჯვრებით დააჯაჭვრქრებს.

როგორც „შედიანიუსს“ ნათლობის ორგანიზატორ ფონდ „ლაზარეში“ განუცხადეს, მე-9 ნათლობისთვის 480-მდე ჩვილია დარეგისტრირებული. ნათლობა 16.00 საათზე დაიწყება.

სამი წლის წინ დემოგრაფიული პრობლემის აღმოსაფხვრელად პატრიარქი ინიციატივით გამოვიდა, რომ ჯვარდაწერილი ოჯახში მესამე ან მომდევნო შვილის ნათლია თვითონ იქნებოდა. პატრიარქის ამ შემოთავაზებას მოსახლეობის დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ამჟამად უწმინდესის ნათლულთა რიცხვი 3700-მდე აღწევს.

შედიანიუსი

საქართველოს აკვატორიაში მყოფ რუსულ წყალქვეშა ნავს ავარია შეემთხვა

რუსეთის შავი ზღვის ფლოტის დიზელ-ელექტრო წყალქვეშა ნავმა „ალროსამ“ შეწყვიტა აფხაზეთის(საქართველო) აკვატორიაში მანევრები და სევასტოპოლში გაბრუნდა.

რუსული წყაროების ერთი ნაწილის ცნობით, ნავი უკან ძრავის გაუმართაობის გამო გაბრუნდა. რუსული სააგენტოების მეორე ნაწილს კი, შავი ზღვის ფლოტის ანონიმურმა წარმომადგენელმა განუცხადეს, რომ “ალროსას“ შწშ სიგნალი არ გადაუცია და ნავზე არც ხანძარი მომხდარა და არც ნაკვეთურები ჩაძირულა.

რუსეთის შავის ზღვის ფლოტს მომხდართან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებია.დიზელის წყალქვეშა ნავი “ალროსა“(პროექტი 777, შიფრი “ვარშავიანკა“) რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ერთადერთი მოქმედი სუბმარინაა.

შედიანიუსი

„7 ნოემბერი“ დღეს პრეზიდენტის კვალდაკვალ ივლის

მოძრაობა „7 ნოემბერი“ ვარდების რევოლუციის მეექვსე წლისთავის აღნიშვნას პრეზიდენტის კვალდაკვალ სიარულით აპირებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ჯაბა ჯიშკარიანმა განუცახადა, ისინი მივლენ ყველგან, სადაც მიხეილ სააკაშვილი დაპირებს მისვლას.

— კონკრეტულად სად გაიმართება ჩვენი აქციები, ამის თქმისგან ჯერჯჯერობით თავს შეეკავებ, — განაცხადა ჯაბა ჯიშკარიანმა და დასძინა, რომ მოძრაობა პროტესტს მისთვის ჩვეული ხერხებით - სასტვენებით, მეგაფონებით და პლაკატებით გამოხატავს.

ინტერპრესნიუსი

აფხაზეთში არეულობა იწყება

პრეზიდენტობის კანდიდატ ბესლან ბუთბას ოფისი აუფეთქეს

აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნებამდე სამ კვირაზე ნაკლები დრო რჩება. რუსი და ქართველი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ წელს არჩევნები გართულებების გარეშე ჩაიელის. საარჩევნოდ ვითარების ესკალაციას თითქმის ყველას გამორიცხავს. ოქტომბერმა და ნოემბრის სამმა კვირამ მართლაც მშვიდად ჩაიარა. პრეზიდენტობის კანდიდატ ბესლან ბუთბას ოფისის აფეთქების შემდეგ კი აფხაზეთში ძველებური სიმშვიდე ვეღარ იქნება.

თეა მარნიკი ე

აფხაზური ოპოზიცია ბაღაფშს ისედაც მათ დევნაში ადანაშაულებდა. გაგრასა და ოჩამჩირეში განხორციელებული აფეთქებების შემდეგ კი ამაში ეჭვი აღარავის შეეპარება, თანაც, დაზარალებული ბესლან ბუთბა აფხაზეთში რამდენიმე მედია-საშუალებას აკონტროლებს. მათ შორის არის ტელეკომპანია „აბაზა“, რომელსაც სოხუმის გარეთ მაუწყებლობის უფლებას არ აძლევს. ამ მედია-საშუალებების მეშვეობით ბუთბა კარგი პოლიტიკური სკანდალის გამოცხობას შეძლებს. აფხაზეთში უკვე ღიად აცხადებენ, რომ გაგრასა და ოჩამჩირეში მომხდარი აფეთქებები მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირდება.

აფხაზურ სააგენტო „აპსნი პრესის“ ცნობით, ამ დღეებში ბესლან ბუთბას წინააღმდეგ ორი აფეთქება განხორციელდა.

პირველი აფეთქება გაგრაში 19 ნოემბერს მოხდა, რომლის დროსაც ბესლან ბუთბას რაიონული საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელ ვიტალი აჟიბას ავტომობილი დაინავა. ცნობისათვის: ეს უკანასკნელი გუმისთის ფრონტის მეორე ბრიგადის უფროსის მოადგილე გახლდათ.

20 ნოემბერს კი აფეთქება ოჩამჩირის რაიონის სოფელ არადუში აგროსამრეწველო კომპლექს „არადუს“ ოფისში მოხდა. აღნიშნული კომპლექსი ბესლან ბუთბას ეკუთვნის.

„აპსნი პრესის“ ინფორმაციით, ორივე აფეთქებასთან დაკავშირებით აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროომ საქმე აღძრა. მომხდართან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა აფხაზეთის შს მინისტრმა ოთარ ხეციამ.

აფხაზთა პირველი მილიციონერი ოჩამჩირეში მომხდარი აფეთქების ფაქტს ადასტურებს. მისი მტკიცებით, ოჩამჩირის მილიცია არადუში განხორციელებული აფეთქების მონაწილეების დასადგენად და დასაკავებლად ყველაფერს აკეთებს.

რაც შეეხება გაგრის ინციდენტს და ვიტალი აჟიბას დამწვარ მანქანას:

— ჯერჯერობით არ არსებობს მტკიცებულება, რომ აჟიბას ავტომობილი აფეთქეს ან განგებ გაუჩინეს ხანძარი, — აცხადებს შს მინისტრი ხეცია.

როდის გამოავლენენ „არადუს“ ამფეთქებლებს, არავინ იცის. მომხდარმა ინციდენტმა უკვე მიიღო პოლიტიკური შეფასება. გაგრასა და ოჩამჩირეში მომხდარი აფეთქების უკან, ბუთბას გარემოცვის მტკიცებით, ბაღაფშის ხალხი მოიაზრება.

ბუთბა აფხაზეთის ეკონომიკური განვითარების პარტიის ლიდერი გახლავთ. ის სერიოზული ფულის პატრონია. პრეზიდენტობის კანდიდატმა ეს ფული რუსეთში იშოვა. როგორც ამბობენ, მას საპრეზიდენტო არჩევნებში გაძარცვვების დიდი შანსი არა აქვს. არჩევნებში ძირითადი ბრძოლა ძველ კონკურენტებს ბაღაფშსა და ხაჯიმბას შორის წარიმართება. ბუთბას კი ორივე მათგანისთვის შეუძლია ხმების წართმევა.

ბუთბას გასაუვნებელსაყოფად ბაღაფშმა ჯერ კიდევ ივნისში დაიჭირა თადარიგი. იმ დროისათვის ბუთბას პრეზიდენტობისთვის ბრძოლის სურვილი ჯერ არ ჰქონდა გამოთქმული, თუმცა, უშიშროების სამსახური იმისთვის არსებობს, რომ ასეთი მარტივი რამეები გაარკვიოს.

ბაღაფშის სპეცსამსახურებმა გაარკვიეს, რომ ბუთბას შორს მიმავალი გეგმები ჰქონდა. მისი დაპატიმრება, ალბათ, სერიოზულ სკანდალს გამოიწვევდა. ამიტომაც გადაწყდა, მისი მარჯვენა ხელი, ვალმერ ბუთბა, დაეკავებინა. მისი აყვანა ოჩამჩირესთან მოხდა. ის მაშინ დაიკავეს, როცა ბუთბები გალიდან მოდიოდნენ. ვალმერ ბუთბაც აფხაზეთის ეკონომიკური განვითარების პარტიის წევრია.

ვალმერ ბუთბა იარაღის უკანონო ტარებისთვის დაიკავეს. დაკავების დღეს მას ავტომატი და პისტოლეტი აღმოუჩინეს. ერთ-ერთი იარაღი მას აფხაზეთის პირველმა პრეზიდენტმა ვლადისლავ არძინბამ უსახსოვრა თავის დროზე.

დაკავება რომ პოლიტიკური ნიშნით განხორციელდა, ეს ძალიან აშკარა იყო. აფხაზეთში შეიარაღებული სხვებიც დადიან, თუმცა სამართალდამცავებმა მაინცდამაინც ვალმერ ბუთბას აღმოუჩინეს იარაღი.

ამ დაპატიმრებას ამ დღეებში მომხდარ აფეთქებებსაც თუ დავუმატებთ, ბუთბას თავისუფლად შეუძლია, ტანჯულის ამოჯი შეიქმნას. ხალხს კი დაჩაგრულები ძალიან უყვარს.

ისე, არც ის არის გამორიცხული, ბუთბას წინააღმდეგ აფეთქება ხელისუფლებას კი არა, რომელიმე სხვა კანდიდატს მოუწყო, მაგალითისთვის, რაულ ხაჯიმბას. როგორც ამბობენ, მათ შორის საკმაოდ სერიოზული დაპირისპირებაა.

დაახლოებით ერთი თვის წინ კი ისინი ერთმანეთს ფიზიკურადაც გასწორებიან. ამის შესახებ საზოგადოებას ინფორმაცია დევნილობაში მყოფი აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე გიორგი ბარამიამ მიაწოდა.

არადა, თავის დროზე ხაჯიმბა და ბუთბა გაერთიანებას აპირებდნენ, თუმცა მერე, ალბათ, ორივეს მოუნდა პრეზიდენტობა და ასე გახდნენ ერთმანეთის კონკურენტები. ექსპერტების ვარაუდით, ოპოზიცია ბაღაფშის დამარცხება ერთიანი კანდიდატით შეეძლო.

როგორც რუსული გამოცემები იუწყებიან, ოპოზიციამ შეიძლება მარილა წარადგინოს ერთიანი კანდიდატი. ეს, სავარაუდოდ, იმ შემთხვევაში მოხდება, თუ არჩევნების მეორე ტური დაინიშნა.

თუ რაულ ხაჯიმბას ძველებურად უჭერს მხარს კრემლი, მაშინ მეორე ტური მართლაც შეიძლება დაინიშნოს. 2004 წლის არჩევნებზე ხაჯიმბა კრემლის ღია ფავორიტი იყო, მაგრამ ბაღაფშმა ის მაინც დაამარცხა. დაამარცხა იმის მიუხედავად, რომ ბაღაფში რატომღაც პროყართული ორიენტაციის ადამიანად მიიჩნეოდა.

დღეისათვის ბაღაფშმა მითი თავისი პროყართულობის შესახებ მთლიანად დაამსხვრია. მან კრემლშიც მოიპოვა მხარდამჭერები, თუმცა ქართველი ექსპერტების ნაწილი ამტკიცებს, რომ პუტინი ისევ ხაჯიმბას უჭერს მხარს.

მხარდამჭერები მოსკოვში, წესით, არც ოფისაფეთქებულ ბუთბას უნდა აკლდეს. ის მოსკოვში კარგა ხანს მოღვაწეობდა. ამ მოღვაწეობის პერიოდში მან ბევრი ფული და ნაცნობი იშოვა.

როგორც რუსული საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, ცოტა ხნის წინ ის მოსკოვში იმყოფებოდა, სადაც, სავარაუდოდ, საარჩევნო მითითებები მიიღო. საარჩევნოდ მითითებებს ბაღაფშა და ხაჯიმბასაც მისცემენ. რაც შეეხება დანარჩენ ორ კანდიდატს, მათ სერიოზულად არავინ აღიქვამს.

შეგახსენებთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში, ამ სამეულის გარდა, ვიტალი ბღანბა და ზაურ არძინბაც მონაწილეობენ. ექსპერტების განმარტებით, ისინი არჩევნებში მხოლოდ იმიტომ მონაწილეობენ, რომ აფხაზეთში დემოკრატიულობის იმიტაცია შეიქმნას.

რუსი ექსპერტების განმარტებით, აფხაზები ყველანაირად შეეცდებიან, არჩევნებმა მშვიდ ვითარებაში ჩაიაროს. რამდენად გამოუვათ, ამას მომავალი გვიჩვენებს. როგორც ამბობენ, ბაღაფში ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ არჩევნებმა მეტ-ნაკლებად გამჭვირვალე შთაბეჭდილება დატოვოს. ბაღაფშს, კოკოითისგან განსხვავებით, ნამდვილ პოლიტიკოსობაზე აქვს პრეტენზია. ამიტომაც შეეცდება, არჩევნების დროს დარღვევებს სერიოზული სახე არ ჰქონდეს.

დარღვევებს კი უკვე აქვს ადგილი. პრეზიდენტობის კანდიდატები უკვე ღიად გამოთქვამენ პრეტენზიებს. ცოტა ხნის წინ ხაჯიმბამ დაიჩივლა, საარჩევნო კამპანიას ნორმალურად ვერ ვატარებო. ამ დღეებში კი ბუთბას გარშემო მოხდა ორი აფეთქება.

ოქტომბრის დასაწყისში აფხაზმა ვეტერანებმა საგანგებო მიმართვა გაავრცელეს. ისინი პრეზიდენტობის კანდიდატს ერთმანეთის წინააღმდეგ შავი პიარის აგორებისგან თავის შეკავებას სთხოვენ, მოსახლეობას კი ზმიიერებისკენ მოუწოდეს.

აფხაზი ვეტერანები შიშობენ, რომ ვითარების გამწვავების შემთხვევაში საქმე შესაძლოა სამოქალაქო დაპირისპირებამდე მივიდეს, რასაც, მათი თქმით, აფხაზეთი ვერ გადაიტანს.

ვეტერანების რჩევა ვიღაცებმა, როგორც ჩანს, ყური არ ათხოვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბუთბას არავინ აუბუთქუნებდა ოფისს.

არჩევნებამდე სამ კვირაზე ნაკლები დრო დარჩა. ამ პერიოდის განმავლობაში აფხაზეთში ბევრი საინტერესო რამ მოხდება. და კიდევ, აფხაზეთში წელს განსხვავებული არჩევნები ტარდება.

განსხვავებულობა კი იმაში მდგომარეობს, რომ ამიერიდან არჩევნებში მონაწილეობა მხოლოდ აფხაზური პასპორტებით არის შესაძლებელი. აფხაზეთის საპასპორტოს უფროსის განცხადებით, 1 ნოემბრის მონაცემებით, აფხაზური პასპორტი აღებული აქვს 142 625 ადამიანს. აქედან გალის რაიონში 3 523 პასპორტია გაცემული.

ცოტნე გამსახურდიას ჯანმრთელობა გართულდა

— საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვაჟის, ცოტნე გამსახურდიას ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმდა. ამიტომაც გამორიცხული არ არის ჩემი დაკვის ქვეშ მყოფი პირის სიცოცხლე ფატალური შედეგით დასრულდეს, — განუცხადა „შედიანიუსს“ ბრალდებულის ადვოკატმა, ქეთი ბექაურმა.

მისი თქმით, ცოტნე გამსახურდია 26-ე დღეა შიმშილობს, რითაც გამოძიებას უცხადებს უნდობლობას და თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს.

— ჩვენ ძველი თბილისის რაიონის მესამე საგამოძიებო ორგანოს წინაშე დავაყენეთ ორი შუამდგომლობა — დაიკითხოს დაზარალებული დავით ბაჯელიძე და ასევე დამოუკიდებელი კრიმინალისტური ბიუროს მიერ მომზადებული ექსპერტული დასკვნის ავტორი გიორგი გოგია. თითოეული მათგანის ჩვენება, შეიძლება ითქვას, საქმისთვის არსებითი და გადამწყვეტია. ბაჯელიძე თავად მოითხოვს დაკითხვას, თუმცა სასამართლო თავს მხოლოდ იმისთვის იკავებს, რომ ამ ეტაპზე მის დაკითხვას მიზანშეუწონლად მიჩნევს, ხოლო გოგია ის ექსპერტია, რომელმაც დაამტკიცა, რომ გამსახურიას ქუთუკიდან ცხრა ანაწმენდის ნაცვლად, 4-ის აღება მოხერხდა. გამოძიება არც მის დაკითხვას ცდილობს და თავის პოზიციას იმით ამართლებს, რომ ექსპერტს თავისი დასკვნა იურიდიული ლიტერატურის გამოყენებით აქვს შედგენილი, რაც ძალიან არაკომპეტენტური განცხადებაა. შუამდგომლობას დაუკმაყოფილებლობისთვის, კანონის თანახმად, 5-დღიანი ვადა არსებობს. პასუხს 24 ნოემბრისთვის ველოდებით. დღეს არ არსებობს იმის გარანტია, რომ ცოტნე გამსახურდიას მდგომარეობა ფატალური შედეგით არ დასრულდეს, ხოლო ვინ იქნება პასუხისმგებელი ამ ყველაფერზე, ჩემთვის უკვე ნათელია. რა თქმა უნდა, მთელი პასუხისმგებლობა სახელმწიფოს დაეკისრება, რადგანაც საკითხი ასე დგას - ხელყოფილია ადამიანის ყველაზე ფუნდამენტური უფლება — სიცოცხლის უფლება, — განაცხადა ქეთი ბექაურმა.

ადვოკატის თქმით, ამ ეტაპზე ცოტნე გამსახურდია ექიმების მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება, თუმცა მდგომარეობის დამძიმების გამო, გამორიცხული არ არის საავადმყოფოშიც გადაყვანონ.

შეგახსენებთ, რომ ცოტნე გამსახურდია სამართალდამცავებმა 2009 წლის 27 ოქტომბერს დაიკავეს. მას ბრალად იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებისა ედება. ამასთან, წაყენებულია ბრალი განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის. ცოტნე გამსახურდია წინასწარ 2-თვიან პატიმრობაში იმყოფება. **შედიანიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი
გამოდის
1993 წლის
23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალიკაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გაგრძელების სამსახური – მერაბ ღვედრაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილისალაპროექტის მალლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

ხელისუფლებამ გორელებს გიორგობასთან დაკავშირებით ხიდი აჩუქა

გუშინ გორში 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს აფეთქებული ხიდი გაიხსნა.

ხიდის გახსნის ცერემონიას გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელი რამაზ ნიკოლაიშვილი და შიდა ქართლის გუბერნატორი ლადო ვარძელაშვილი ესწრებოდნენ.

ნიკოლაიშვილის განცხადებით, ხიდი ხელისუფლებამ გორელებს გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულისთვის აჩუქა.

რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად აფეთქებული ხიდის რეაბილიტაცია 2,5 მლნ ლარი დაჯდა.

პირველი

დღეს ოპოზიცია აქციას არ გამართავს

რადიკალური ოპოზიცია 23 ნოემბერს, „ვარდების რევოლუციის“ 6 წლისთავთან დაკავშირებით არანაირ საპროტესტო ღონისძიებებს არ გეგმავს.

ოპოზიციის წარმომადგენლებმა ინტერ-პრესნიუსთან საუბრისას აღნიშნეს, რომ ამ დღეს დიდი საეკლესიო დღესასწაულია და ისინი „გიორგობის“ აღნიშვნისთვის ემზადებიან, თუმცა, ვარდების რევოლუციის შედეგებზე კომენტარი მაინც გააკეთეს.„კონსერვატორების“ ლიდერის ზვიად ძიძიგურის შეფასებით, ამ რევოლუციამ ქვეყნისთვის მხოლოდ ცუდი მოიტანა.

— 6 წლის განმავლობაში შეიღება ფასადები, გაკეთდა შადრევნები, დიიგო გზები, მაგრამ დაიკარგა ტერიტორიები, ბიზნესი მოექცა რეკეტის ქვეშ, გაითელა ადამიანის უფლებები და მედიის თავისუფლება, სასამართლო მთლიანად ხელისუფლებაზე გახდა დამოკიდებული, — აღნიშნა ძიძიგურმა.

ვარდების რევოლუციით მოსული ხელისუფლების მოღვაწეობის უარყოფით შედეგებზე ისაუბრა ასევე ამ რევოლუციის ერთ-ერთმა აქტიურმა წარმომადგენელმა და „ხალხის პარტიის“ ლიდერმა კობა დავითაშვილმა. მისი თქმით, რევოლუციის შემდეგ საქართველოში შემცირდა ტერიტორიები, დემოკრატიისა და სიტყვის თავისუფლების ხარისხი, ხოლო გაიზარდა უმუშევრობა და სიღატაკე.

ინტერპრესნიუსი

კანონი „ამნისტიის შესახებ“ ძალაში შევიდა

საქართველოს კანონი „ამნისტიის შესახებ“ ძალაში შევიდა. კანონი ეხება 600-ზე მეტ მსჯავრდებულს და ასევე ყველა იმ ბრალდებულს, რომლებმაც 2009 წლის 15 ოქტომბრამდე ჩაიდინეს ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო შეძენა, შენახვა და გადაზიდვა ანუ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებუკი დანაშაული, — განუცხადეს „მედიანიუსს“ საქართველოს პროკურატურაში.

„ამნისტიის შესახებ“ კანონი ეხება ასევე იმ პირებს, რომლებმაც 2009 წლის 15 ოქტომბრამდე პირადი მოხმარებისთვის ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოიხმარეს ნარკოტიკული საშუალება და ამგვარად, ჩაიდინეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. აღნიშნული კატეგორიის პირებს გაუნახევრდებათ თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი.

„ამნისტიის შესახებ“ კანონი არ ვრცელდება ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციის მუხლით მსჯავრდებულ ან ბრალდებულ პირებზე. კანონი ეხება მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ სასჯელებს და არ ვრცელდება პირობით მსჯავრზე.

მედიანიუსი

რუსეთმა სარკოზი-მედვედევის შეთანხმება არ შეასრულა

ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის — შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის კარლ ბილდტის განცხადებით, რუსეთმა არ შეასრულა სარკოზი-მედვედევის შეთანხმება.

ბილდტის თქმით, შეთანხმების მიხედვით, რუსეთს ჯარები ომამდე არსებულ პოზიციებზე უნდა დაებრუნებინა, რაც მოსკოვმა არ გააკეთა.

შვედეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ისიც აღნიშნა, რომ ის ე.წ. სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას დამოუკიდებელ ერთეულად ვერ განიხილავს.

— ეს ნათელია. ისინი სულ მოსკოვში, ვლადიკავკაზში მოგზაურობენ, იქიდან ფულს იღებენ და შესაბამისად, ისინი დამოუკიდებელ ხელისუფლებას არ წარმოადგენენ, ამ სიტყვის სერიოზული გაგებით, — აცხადებს ბილდტი.

მედიანიუსი

თბილისის მერობის კანდიდატი ვაჟა ლორთქიფანიძეც იქნება

ბაღათურია ახალი ალიანსის შექმნას აპირებს

ნანა მიშელაშვილი

თბილისის მერობის სურვილი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ პარტიების ლიდერები საკუთარ კანდიდატურებს ერთმანეთის მიყოლებით ასახელებენ. მარტო ოპოზიციას სამი კანდიდატი დასახელებული უკვე ჰყავს, სამი პარტია თბილისის მერის კანდიდატურის დასახელებისათვის ემზადება.

ირაკლი ალასანიას, კობა დავითაშვილისა და ზვიად ძიძიგურის შემდეგ თბილისის მერის პოსტის დაკავების შესახებ განაცხადს სხვებიც გააკეთებენ.

თბილისის მერის პოსტზე კანდიდატურა ყოფილ პრემიერ ზურაბ ნოღაიდელის პარტიასაც ეყოლება. როგორც სანდრო წყაროსგან გახდა ცნობილი, ნოღაიდელის პარტია ამ პოსტზე ვაჟა ლორთქიფანიძის კანდიდატურის დასახელებას აპირებს.

ყოფილი სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე პოლიტიკაში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ აღარ გამოჩენილა. ბოლო პერიოდის განმავლობაში ლორთქიფანიძე არც ერთ პარტიასთან არ ასოცირდებოდა, თუმცა, როგორც კულუარებში ამბობენ, ზურაბ ნოღაიდელი და ვაჟა ლორთქიფანიძე ერთმანეთს ხშირად ხვდებიან და მომავალ პოლიტიკურ გეგმებზეც საუბრობენ.

ყოფილი პრემიერისა და ყოფილი მაღალჩინოსნის შეხვედრების შესახებ ინფორმაცია ჯერ ღიად არ აფიშირდება, თუმცა, ამბობენ, რომ ვაჟა ლორთქიფანიძის კანდიდატურას სწორედ ზურაბ ნოღაიდელის პარტია დაასახელებს.

თუ ეს ინფორმაცია გამართლდა, მაშინ გამოდის, რომ თბილისის მერის სავარძლისთვის ბრძოლაში შევარდნაძის ხელისუფლების ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირი ჩაებმება.

ვაჟა ლორთქიფანიძესა და ზურაბ ნოღაიდელს წარსულში მაინცდამაინც ახლო ურთიერთობა არ აკავშირებდათ, თუმცა ამბობენ, რომ ბოლო პერიოდში მათი ურთიერთობა ინტენსიური გახდა.

სახელმწიფო მინისტრის პოსტის გარდა, ვაჟა ლორთქიფანიძეს წლების წინ პარლამენტის თავმჯდომარის პოსტის დაკავების სურვილიც ჰქონდა, მაგრამ მაშინ ლორთქიფანიძის კანდიდატურას მხარი არ დაუჭირეს. ამ ფაქტის შესახებ სხვადასხვა ისტორია იწერებოდა, ვინ ვის კანდიდატურას დაუჭირა მაშინ სპიკერის პოსტზე მხარი, ვინ რა გარიგებაში იყო და ან ვინ ვინ „გადაადგო“, თუმცა ეს სხვა საუბრის თემაა.

კულუარებში იმასაც ამბობენ, რომ ვაჟა ლორთქიფანიძეს რუსეთში საკმაოდ კარგი კონტაქტები აქვს და სწორედ ამ კონტაქტების გამოყენებას ცდილობდა ზურაბ ნოღაიდელი მოსკოვში „ვოიაჟის“ დროს.

ვაჟა ლორთქიფანიძე რუსეთში საქართველოს ყოფილი ელჩი იყო და მაშინდელ რუს ჩინოვნიკებთან ურთიერთობა ხშირად უხდებოდა. ყოფილი რუსი ჩინოვნიკების ნაწილს რუსეთში გავლენა ახლაც შენარჩუნებული აქვს.

როდის მოხდება ზურაბ ნოღაიდელის პარტიის მიერ თბილისის მერის პოსტზე კანდიდატურის დასახელება, ჯერ კონკრეტული თარიღი ცნობილი არ არის, თუმცა ამ პარტიის კანდიდატურა რომ ეყოლება, ეს გადაწყვეტილია.

კიდევ ერთი ყოფილი ჩინოვნიკი, რომელიც შესაძლოა თბილისის მერის პოსტზე დასახელდეს, ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის ყოფილი პრეზიდენტი გიორგი ჭანტურაია. თითქმის ორი კვირის განმავლობაში საუბარი მიდიოდა იმაზე, რომ გიორგი ჭანტურაასთან ქრისტიან-დემოკრატები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ.

ქრისტიან-დემოკრატების გარდა, გიორგი ჭანტურაისათან მოლაპარაკებას კიდევ ერთი პარტია ცდილობდა, თუმცა ჭანტურიას ამ პარტიისთვის თანხმობა არ უთქვამს.

ზოგიერთი იმასაც ამბობს, რომ ვადაზე ადრე ინფორმაციის გაჟონვის გამო გიორგი ჭანტურაია უკმაყოფილოა და შესაძლოა საერთოდ უარი თქვას პოლიტიკაში წასვლაზე.

ქრისტიან-დემოკრატებს ჯერ ოფიციალურად არ უთქვამთ, რომ გიორგი ჭანტურაია მათი მერობის კანდიდატია. გიორგი თარგამაძის პარტია მერის კანდიდატურის დასახელებას არ ჩქარობს. ქრისტიან-დემოკრატები დედაქალაქის მერის პოსტზე კანდიდატურის დასახელებას ნოემბრის ბოლოს ან დეკემბრის დასაწყისში გეგმავენ.

ქრისტიან-დემოკრატები თავიდან რამდენიმე ადამიანთან აწარმოებდნენ მოლაპარაკებას. ამ კანდიდატურებიდან პრესაში გიორგი ჭანტურიას გვარმა გაჟონა. მართალია, ქრისტიან-დემოკრატები ჯერ ოფიციალურად არ ადასტურებენ, რომ ჭანტურია მათი მერობის კანდიდატია, მაგრამ არსებობს უტყუარი ინფორმაცია, რომ ქრისტიან-დემოკრატებს ჭანტურიასთან მოლაპარაკება პირადად და შუამავლის მეშვეობით რამდენჯერმე ჰქონდათ.

ქრისტიან-დემოკრატების გარდა, თბილისის მერის პოსტზე შესაძლოა კიდევ ერთ პოლიტიკურ ალიანსს ჰყავდეს კანდიდატურა. „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია არ მალავს, რომ რამდენიმე პოლიტიკურ ძალასთან აწარმოებს მოლაპარაკებას, რათა ერთი პოლიტიკური ალიანსი ჩამოყალიბდეს. ბაღათურია ამ პარტიებს არ ასახელებს, რადგან მიაჩნია, რომ ეს ჯერ ადრეა.

„ქართული დასის“ ლიდერი ამბობს, რომ ოპოზიციურ ფლანგზე ძირითად პარტიებს შორის უნდა მოხერხდეს შეთანხმება, რომ ერთიანი კანდიდატით დაუპირისპირდნენ მერის პოსტზე ხელისუფლების კანდიდატს.

— მიუხედავად იმისა, რომ ახლა ოპოზიციური კანდიდატების ცვენაა, შეთანხმება მაინც უნდა მოხერხდეს ერთიან კანდიდატზე. თუ ეს არ მოხერხდა, რამდენიმე პარტია ახალ ალიანსს ჩამოვაყალიბებთ და ასეთ შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვიქნებთან, დავასახელოთ მერის პოსტზე ჩვენი კანდიდატი, — ასეთია ჯონდი ბაღათურიას პოზიცია.

ე.ი. გამოდის, რომ თუ ოპოზიცია ერთიან კანდიდატზე ვერ შეთანხმდება და ისეთი პირი უჩანს, რომ ვერ შეთანხმდება, მერის პოსტზე კიდევ ერთ კანდიდატურას ის ალიანსი დასახელებენ, რომლის შექმნასაც ჯონდი ბაღათურია და კიდევ 3 თუ 4 პარტია აპირებს.

ბაღათურია ამბობს, რომ თუ ახალი ალიანსი შეიქმნება, ეს არ იქნება საარჩევნო ბლოკი, რომელიც მხოლოდ იმიტომ გაერთიანდება, რომ მანდატები მოიპოვოს, არამედ, ეს იქნება გაერთიანება იდეოლოგიურად თანხვედრი პოლიტიკური ორგანიზაციებისა.

იმ შემთხვევაში, თუ ამ ახალ, ჯერ არშექმნილ ალიანსსაც ეყოლება მერის პოსტზე კანდიდატურა, გამოდის, რომ თბილისის მერის პოსტზე მეექვსე ოპოზიციური კანდიდატი გამოჩნდება. მანამდე კანდიდატურები დასახელებული უკვე ჰყავს „ალიანსი საქართველოსთვის“, ხალხის პარტიას, კონსერვატორებს, კანდიდატურებს დაასახელებენ ქრისტიან-დემოკრატები და ნოღაიდელის პარტია.

კულუარული ინფორმაციით, ჯონდი ბაღათურია და კიდევ ორი-სამი პარტია მოლაპარაკებას აწარმოებენ, რომ მერის პოსტზე ერთერთი ბიზნესმენი დაითანხმონ. ამ ბიზნესმენის გვარს ჯერ საიდუმლოდ ინახავენ, რადგან ჯერ საბოლოო თანხმობა ბიზნესმენის მხრიდან არ არის. ჯერჯერობით მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ამ ბიზნესმენს საქართველოში აქვს ბიზნესი და არცთუ ისე მცირე.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

პრაიმერი შალვა ნათელაშვილის გამო ჩაიშლება

გასულ კვირას აქტიურად მიმდინარეობდა კონსულტაციები ოპოზიციისა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის საარჩევნო სისტემის რეფორმირებასთან დაკავშირებით. მოულოდნელად ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოლაპარაკებები დატოვეს. ექსპერტებმა ეს ფაქტი დაგმეს და მოუწოდეს ხელისუფლებას, კვლავ დაბრუნებოდნენ მოლაპარაკების მაგიდას. ასევე კატეგორიულად მოსთხოვეს ოპოზიციას, არანაირ დათმობაზე აღარ წასულიყვნენ ხელისუფლებასთან. ექსპერტი რევაზ ბლიაძე მიიჩნევს, რომ 50%-იანი ბარიერის 5%-ით შემცირება ხერხიოზულ კომპრომისზე წასვლას ნიშნავს.

ნონა ცაბა ე

— რატომ ჩაიშალა მოლაპარაკება? ოპოზიციამ განაცხადა, კუბლაშვილი უკანმოუხდავად გაიქცაო...

— გაიქცა იმიტომ, რომ სიტუაცია აღარ მოეწონა. ხელისუფლება ვითომ კომპრომისზე ნავიდა, როცა 30%-იან ბარიერს დათანხმდა. თავიდან ამბობდნენ, საერთოდ არ უნდა იყოს ბარიერიონ, ბოლოს თვალეს, თვალეს და მიხვდნენ, რომ გაყალბებით, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით შეიძლება როგორმე მიეღწიათ 30%-ისთვის და დათანხმდნენ, ამის მეტს ნამდვილად ვერ აიღებენ. ოპოზიციამ კი უთხრა, თუ უგულავა არჩეული იქნა ამომრჩეველთა 30%-ის მიერ და 70% წინააღმდეგია, ის რანაირად იქნება ქალაქის მიერ არჩეული მერიონ?! ოპოზიციამ კატეგორიულად დააყენა 50%-იანი ბარიერი, რადგან ამომრჩეველთა ნახევარს მაინც უნდა ჰქონდეს მიცემული ხმა.

— 50%-იან ბარიერს ალიანსი ითხოვდა...

— უფრო მეტიც, როდესაც „რედისონში“ იყო შეხვედრა, მათ თქვეს, რომ ეს შეათანხმეს ყველა ოპოზიციურ პარტიასთან და ჩამოთვალეს კიდეც პარტიები, მათ შორის ისინიც, ვინც არ აპირებს არჩევნებში მონაწილეობას, მაგრამ 50%-ის მომხრეა. მათ შორის იყო ბუროჯანაძის პარტია, ფორუმი, ლეიბორისტები. იმ დღეს ალიანსი წავიდა კომპრომისზე და 5%-ით დასწია ბარიერი. ეს ფაქტი სამოქალაქო საზოგადოებამ და ყველა ექსპერტმა დაგმო. მათ ერთხმად განაცხადეს, რომ არავითარი კომპრომისი არ უნდა იყოს ამ თემაზე. ალიანსი ამ საკითხში გაკრიტიკებულ იქნა. მიუხედავად ამისა, ალიანსმა მორალური გამარჯვება მოიპოვა, ვინაიდან, კუბლაშვილი რომ გაიქცა, ეს ნიშნავს ალიანსის გამარჯვებას. უბრალოდ, უქმე დღეები დაემთხვა, თორემ თქვენ ნახეთ, რა რეაქცია მოჰყვება ამ ფაქტს საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. ყველა გმობს ხელისუფლების პოზიციას. უმრავლესობას სურვილი აქვს, ეს მოლაპარაკებები გადაიტანოს პარლამენტში, რადგან იქ მორჩილი უმრავლესობა ჰყავს და, რასაც უბრძანებენ, იმას გააკეთებენ.

— ამ სიტუაციიდან გამომდინარე, რეალურად ხელისუფლებას უნდა რამის შეცვლა?

— შეიძლება არ უნდა, მაგრამ მოუწევს. ჯო ბაიდენმა იმიტომ დაურეკა სააკაშვილს, რომ მთავარი მოთხოვნა ეს იყო — მიღებული უნდა იყოს ნორმალური საარჩევნო კოდექსი. ალიანსი კომპრომისზე წავიდა და მას ყველაფერი შეჯერებული აქვს დანარჩენ ოპოზიციურ პარტიებთან. ერთადერთი სამწუხარო ფაქტი ის იყო, რომ ამის წინააღმდეგ ხმა მისცეს არა მარტო ნაციონალებმა, არამედ ედპ-მ. ეს სამწუხარო ფაქტია, ყოველ შემთხვევაში, მან თავისი თავი გამორიცხა ოპოზიციური რიგებიდან. დაველოდოთ, რას იზამს ხელისუფლება, შესაძლოა, სასწრაფოდ პარლამენტში გადაიტანონ. თავიდან თქვეს, თუ ვერ შეძლებდნენ შეთანხმებას, მაშინ დარჩებოდა ძველი კოდექსი. პატარ-პატარა დათმობებზე ხელისუფლება მიდიოდა, მაგრამ კუბლაშვილმა ყველაფერი წყალში ჩაყარა. ისინი არ ელოდნენ, რომ ოპოზიცია შეთანხმებულ პაკეტს წარმოადგენდა, მათ ეგონათ, რომ კენჭისყრა იქნებოდა მხოლოდ სახელისუფლებო პაკეტზე, მაგრამ მოხდა მოულოდნელი ამბავი, როდესაც სახელისუფლებო პაკეტი ჩავარდა, წარმოდგენილ იქნა ოპოზიციის პაკეტი და მხოლოდ ორი პარტია წავიდა წინააღმდეგი — სახელისუფლები პარტია და ედპ. ოპოზიციამ მორალურად გაიმარჯვა. ამას შედეგები აუცილებლად მოჰყვება, რასაც ვიხილავთ უახლოეს ერთ კვირაში. არც ის არის გამორიცხული, რომ ხელისუფლებამ რაღაც ორიგინალური მოიგონოს.

— ოპოზიციას რაც შეეხება, შეძლებს ერთიან კანდიდატზე შეთანხმებას? ყოველდღე ახალ-ახალ კანდიდატურებს ვხედავთ...

— ისინი ამბობენ, შემდეგ ჩავატარებთ პრაიმერსო, რისიც მე არ მჯერა. პრაიმერის სისტემა ამერიკაში კი მუშაობს, მაგრამ სხვაგან პრაიმერი ტარდება ხოლმე პარტიის შიგნით. თეორიაში პრაიმერის იდეა შესანიშნავია, მაგრამ

გაგრძელება მე-5 გვერდზე

პრეზიდენტის დედის მეგობარს მერიამ 120 ათასი ლარი გადაურიცხა

შორენა კოწოწაშვილი

23 ნოემბერს ვერის ბაღში, სადაც ეროვნული მოღვაწის, მერაბ კოსტავას ძეგლი დგას, იქნება „ღირსების ულტიმატუმზე“ ხელმოწერა. ხელმოწერის ინიციატორის, თემურ შაშიაშვილის თქმით, ღირსების ულტიმატუმის ყველა პუნქტი, რეალურად ეს არის შეფასება. რად გინდა, კაბინეტში იჯდე და პრეზიდენტი იყო, როცა პუნქტები არ არის გადაწყვეტილი, რომელიც „ღირსების ულტიმატუმია“ მოითითებული.

პუტინი და მედვედევი სააკაშვილს უჭერენ მხარს



გთავაზობთ ინტერვიუს **თემურ შაშიაშვილთან:**

— ბატონო თემურ, როგორ ფიქრობთ, რამდენად მიღწევადია რეალური დიალოგი ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის იმ ფონზე, როცა ვიხილეთ ორივე მხარის პოზიცია საარჩევნო ბარიერთან დაკავშირებით.

— ძალიან ბევრი თამაშობს ოპოზიციონერობას. დრო ადასტურებს, რომ ადამიანები, რომლებიც ტრიბუნასთან ხელისუფლებას ლანძღავდნენ, დღეს მის ქებაში არიან. საერთოდ, ასეტი ტიპის პოლიტიკოსებთან გაივსო ქართული პოლიტიკა და ეს ქვეყანას სიკეთეს არ მოუტანს. მე მაინც მგონია, რომ საქართველოში პოლიტიკური პროცესი მკვდარია. დღეს ვინც მთავარ პოლიტიკურ არენაზე ჩანს, ესენი არიან ერთმანეთის სიძულვილით სავსე პოლიტიკური ჯგუფები.

— ადგილობრივ არჩევნებზე დიდ იმედებს ამყარებს ოპოზიციის ნაწილი. რამდენად შეძლებს ხელისუფება დემოკრატიულ ფორმატში წარმოაჩინოს ადგილობრივი არჩევნები?

— სააკაშვილი დღეს არის გაბოროტებული. დიდი ხანია ის ამ ბედმარეოებაშია, მაგრამ ახლა განსაკუთრებით გაბოროტებულია. ამიტომ გაიქცა ის არაბებთან და ქუვეიტელებთან საშველად. იუშჩენკოც და სააკაშვილიც ორივე გაიქცნენ, რომ მათი ფულით თავი გადაირჩინონ. უკრაინელები ძლიერები აღმოჩნდნენ და მოელი მსოფლიო რომ დაუდგეს გვერდით, იუშჩენკოს გადამრჩენი უკვე აღარავინ არის. რაც შეეხება სააკაშვილს, ის ახერხებს პოზიციის შენარჩუნებას ერთი რამის გამო. იუშჩენკოს ტელევიზიები არ აქვს და იქ დემოკრატიული პროცესი უფროა. ბუნებით იუშჩენკო უფრო დემოკრატია, ვიდრე სააკაშვილი. სააკაშვილი არის შინაგანი წყობით არის ავტორიტარი, დიქტატორი. ის ვერ იტანს ჭკვიანს და გამოცდილს. ამიტომ მის ირგვლივ შეიკრიბნენ მონური ფსიქოლოგიის ადამიანები. სააკაშვილს რომ სერიოზული ხალხი ჰყავდეს გვერდით, იმ ტბაზე მთავრობის სხდომას ჩაატარებინებდნენ? კაცი არ არის, ვინც სააკაშვილს ეტყოდა, სახელმწიფო ბიუჯეტი უფრო მიზნობრივად ვხარჯოთო. მარტო აჭარაში, პარკებსა და სკვერებში, ერთ წელიწადში დახარჯული 100 მლნ ბიზნესში რომ ჩაედოთ, აჭარაში უმუშევარს ვერ ნახავდით. დღეს აჭარის მოსახლეობის 80% უმუშევარია. პარკების შენახვა უფრო ძვირი უჯდება სახელმწიფოს, ვიდრე სახელმწიფო აჭარაში ხარჯავს განათლებაზე, ჯანმრთელობაზე. განათების ერთი ბოძის შენახვა წლის განმავლობაში უფრო ძვირი უჯდება სახელმწიფოს, ვიდრე ერთი ადამიანის შენახვა.

— როგორც ფინანსთა მინისტრმა გაანაცხადა, მიმდინარე წელს ქარქრების შემოწერის შედეგად 350 მლნ-ის დაზოგვა მოხდა.

— რომელ ქარქრების შემოჭერის პოლიტიკაზეა საუბარი? მე გეუბნებით კონკრეტულ ფაქტებს. მაგალითად, მარტო თბილისის მერიამ 120 000 ლარი აჩუქა თურქულ უნივერსიტეტს, რომლის უკანაა სააკაშვილის დედის მეგობარი დგას. გეკითხებით, როცა ქვეყანაში სტუდენტების რაოდენობა განახევრდა, უნდა იყოს თუ არა საქართველოში თურქული უნივერსიტეტი? თურქეთში არც ქართული სკოლაა და არც ქართული უნივერსიტეტი. სამი სკვერის მოწყობა საქართველოში იმდენი დაჯდა, რამდენიც 110 000 სტუდენტი უჯდება სახელმწიფოს წლის განმავლობაში. ქარქრების შემოჭერა ის არის, რომ პენსიებს ვარიგებდი და 800 000 ლარი მივიღე ერთი წლის განმავლობაშიო. სახელმწიფო ბიუჯეტში შესული ერთი ლარი აკეთებს 20 თეთრის სახელმწფი საქმეს; 35-40 თეთრი კორუფციულია; 40 თეთრი კი სკამის შენარჩუნებას ემსახურება.

— არჩევნებს დავუბრუნდეთ. პოლიტიკოსთა ნაწილი ფიქრობს, რომ სააკაშვილმა შეძლო ოპოზიციის თავის თამაშში ჩათრევა.

— შეძლო. შეძლო ავანტურით, ფულით, ბიწების, ბინების და ოფისების დარიგებით და შეძლო მოსყიდვით. სააკაშვილმა იცის, რომ ოპოზიციაში ძალიან ბევრია უნებისყოფო ადამიანი. ვიმეორებ, ბევრი ხმამაღალა ყვირის იმიტომ, რომ გარიგების დროს თავი ძვირად დაიფასოს.

— რა შანსი აქვს ამ არჩევნებში გიგი უგულავას და იქნება თუ არა ის სახელისუფლო კანდიდატი?

— იმ დოკუმენტებიდან გამომდინარე, რომელიც გამოქვეყნდა და რომლითაც ჩანს, სად რა თანხები იხარჯება, უგულავას მერად არჩევა სასაცილოა. ეს არის ტრაგედია. მაგრამ ოპოზიციამაც გაამასხრა კანდიდატურების დასახელებით. არ მინდა, კონკრეტული გვარების დასახელება. რამდენიმე ოპოზიციონერის მერობის კანდიდატად დასახელებით ისინი ხომ სააკაშვილის წისქვილზე ასხამენ წყალს.

— ოპოზიციის ერთი ჯგუფი აცხადებს, რომ პრაიმერით გამოიკვეთება მერობის კანდიდატი...

— პრაიმერი მესმის ერთ პარტიაში.

— თქვენი აზრით, ოპოზიცია მერის არჩევნებში ერთი კანდიდატურით უნდა გამოვიდეს.

— ორი აზრი არ არსებობს. როდესაც დღეს დგას პიროვნება, პირობითად ვამბობ — ირაკლი ალასანია და მასთან ერთად სოზარ სუბარი, მე მიმაჩნია, რომ ამ ორ პიროვნებას აქვს სერიოზული, შანსი. მათ უკან სერიოზული გუნდია. თუ არა ხარ სკამზე შეყვარებული კაცი, როდესაც არსებობს ასეთი ორი პიროვნება ალასანია-სუბარი, რა პრაიმერია კიდევ საჭირო?

— ოპოზიციის მეორე ფრთა ალბათ ფიქრობს, რომ ალიანსი ხელისუფლებასთან გარკვეული გარიგებაშია...

— ეჭვი მეპარება. ისინი, ვინც ამას ლაპარაკობენ, უფრო მეტად გარიგებულები არიან. ზურაბ აბაშიძემ, რომელმაც 45%-იან ბარიერზე დასვა აქცენტი და თბილისელებისადმი პატივისცემა გამოხატა, ისინი არიან გარიგებული? უბრალოდ, გარკვეულ ჯგუფს შეუქმნეს აზრი, რომ ვითომ ისინი სააკაშვილთან გარიგებულები არიან. მე ოდნავ არ მეპარება ეჭვი, რომ ყველაზე აკადემიური, გაწონასწორებული და შეურიგებელი კარგი და ქართული გაგებით ხელისუფლებისადმი იქნება მერის პოსტზე ირაკლი ალასანია, საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე კი — სოზარ სუბარი. ამას დროც დაადასტურებს. მე არ ვამბობ, რომ მათ ყველაზე მეტის გაკეთება შეუძლიათ. მე შემიძლია რამდენიმე პიროვნება დავასახელო, რომლებსაც მეტის გაკეთება შეუძლიათ. მაგრამ დღეს ჯობია ალასანიას და სუბარს დავუდგეთ გვერდით და არა მარტო მოვიგოთ არჩევნები, არამედ თბილისისთვის მეტი გავაკეთოთ. 800 მლნ იხარჯება თბილისში და ამ თანხით შეიძლება, როგორც მინიმუმ, 7-8-ჯერ მეტის გაკეთებას, ვიდრე ეს სააკაშვილ-უგულავას პირობებში კეთდება. მე ის მაწუხებს, რომ მოსახლეობა ტაშს უკრავს იმას, რაზეც ხელისუფლება დიდ ფულს შოულობს. ეს არის ცნობიერების ტრაგედია.

— ბატონო თემურ, პრეზიდენტი სააკაშვილი უცხოეთში ვიზიტისას მუდმივად აფიქსირებს, რომ მისი ხელისუფლების პირობებში კორუფცია დამარცხდა. თქვენც ასე ფიქრობთ?

— ამაზე დიდი ცენტრალიზებული კორუფცია საქართველოში არ ყოფილა. ეს ამერიკის ხელისუფლების წარმომადგენლებმაც თქვეს. „ხალხი ასამართლებს ხელისუფლებას“ — ეს პროექტი რომ დაიწყება და დამთავრდება, თქვენ ნახავთ კორუფციის რა მასშტაბებია. ჩვენთან რა მოხდა — გასამბაგებული ქრთამი დაანწესეს, როგორც კანონიერი გადასახადი და ამას ეძახიან კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას. სასაცილოა.

— შეგიძლიათ დაასახელოთ კონკრეტული გვარები იმ მაღალჩინოსნებისა, რომლებიც ამ პროექტით კორუფციაში იქნებიან მხილებული თქვენს ხელთ არსებული მასალებიდან გამომდინარე?

— რა სახლებიც ამათ აქვთ, რა ხელფასებსაც ესენი იღებენ და ა.შ. ეს კორუფციიდან ნაშოვნი ფულის შედეგიცაა. კორუფცია არის თანამდებობრივი დანაშაული. 7 აგვისტოს შემდგომ თანამდებობაზე რომ რჩები, მონა ხარ. უკვე ხარ კორუფცია. კორუფცია ქრთამიცაა და თანამდებობრივი დანაშაულიც. ნახეთ, რა სახლებში ცხოვრობენ და რა ხელფასებს იღებენ. იმის მეათედს აკეთებენ, რაც უნდა აკეთონ. კრიტიკული დამოკიდებულება არ გააჩნიათ. ბიზნესმენთა 90% პარლამენტარებს და სააკაშვილს გუნდს უჭირავთ ხელში. თურქეთიდან რომ ბათუმში ჩამოვედი, მითხრეს, ყველაზე დიდი სასტუმრო არის სააკაშვილის დედის მეგობარი მამაკაცისო. ყველამ იცის, რომელი სასტუმრო ვისია და რომელი ტელევიზია, ვისი. საქართველოში საკუთარი ტელევიზია აქვს შინაგან საქმეთა მინისტრს და კაცის მკვლელობაში რომ არის შემჩნეული, იმ ადამიანს. ადამიანები, რომლებიც 10-15 000 ლარს იღებენ ხელფასს მოსახლეობის ხარჯზე და ამ მოსახლეობას სისხლი გაუშრეს, ამაზე მეტი კორუფცია გინახავთ?! ძალიან მალე საზოგადოებას ვაჩვენებთ, რა სახლები აიშენეს სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლებმა და იმ სახლებსაც ვაჩვენებთ, რომლის ფოტოებსაც სააკაშვილის აფრინალებდა შევარდნაძის მთავრობის სხდომებზე და ხალხს ეგონა, რომ სააკაშვილი სიმართლისთვის მებრძოლი კაცი იყო. სააკაშვილი არის ქამელეონი. ამას ის პიარისთვის აკეთებდა. გვეძენება მოსამართლეების სახლების ფოტოებიც. როგორ შეძლეს ამ პატარა ბიჭებმა, შრომის წიგნაკები მინისტრების და მინისტრის მოადგილეების პოსტებზე რომ გაიხსნეს, ამ სასახლეების აგენები და ამხელა ქონების დაგროვება?! 2-3% დღეს ხელისუფლებიდან, ვინც ბიზნესში არ არის. 98% ვინც ხელისუფლებაშია, დღეს ბიზნესშია, არადა, ეს მათ კანონით უკრძალებათ.

— პროექტით „ხალხი ასამართლებს ხელისუფლებას“ პრეზიდენტი სააკაშვილი და შს მინისტრი ვანო მერაბიშვილიც გასამართლდებიან?

— მთლიანად რეჟიმი გასამართლდება. 23 ნოემბერია და უნდა ვთქვათ, რა მოხდა ე.წ. ვარდების რევოლუციის დროს. ეს იყო მოქალაქეთა კავშირის ხელისუფლების შენარჩუნება საქართველოს ხელისუფლებაში. ვინც რევოლუცია მოახდინა, ის იყო მოქკავშირის ნაგლეჯი. სხვა გზა მოქკავშირს ხელისუფლებაში რომ დარჩენილიყო, არ ჰქონდა, გარდა რევოლუციისა. დღეს, რევოლუციიდან რამდენიმე წლის შემდეგ, ფრანგული გაზეთი „ლემონტი“ წერს: „უკრაინა ქვეყანა, რომელიც საკაშვილის საქართველოს მსგავსად, საკუთარი ხელისუფლების მხრიდან პატივაყრილია“. ევროპელები იძულებული არიან, აღიარონ, რომ კიევისა და თბილისის ანტიოლიგარქიული რევოლუციებმა უპასუხისმგებელო ხელისუფლებები შეეს. საქართველოში რუსეთის ლანძღვამ ანტიქართული ხელისუფლება მოიყვანა. ვინ დარჩა მოგებული — რუსეთი. ნახეთვარი საქართველო მისია, ბიზნესის 80% მისია. საქართველოში კი, სამწუხაროდ, არიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ რუსეთს საკაშვილი არ ანყობს.

— როგორ შეაფასებდით პუტინის განცხადებას, რომ მას საქართველოს გაერთიანება უნდა?

— ძალიან მეეჭვება, რომ პუტინი და მედვედევი საქართველოზე რომ ლაპარაკობენ, ისინი ამ შემთხვევაში გულწრფელები არიან. პუტინი და მედვედევი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ გაამაგრონ საკაშვილი. მათი ყველა სიტყვა სააკაშვილის წინააღმდეგ, ამაგრებს სააკაშვილს. მათ უნდათ სააკაშვილი საქართველოს სათავეში.

თბილისის მერობის კანდიდატი ვაჟა ლორთქიფანიძეც იქნება

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ერთი სიტყვით, ირაკლი ალასანიას კონკურენტები თანდათან მრავლდებიან. მართალია, ყველას კანდიდატურის დასახელება აღიანსმა დაასწრო, მაგრამ ახლა ოპოზიცია სტარტს იღებს.

კობა დავითაშვილმა ნავსი გატეხა, როდესაც დედაქალაქის მერის პოსტზე საკუთარი კანდიდატურა დაასახელა. მას ზვიად ძიძიგური მიჰყვა. ხალხის პარტიის ლიდერი ზვიად ძიძიგურის კანდიდატურის დასახელებას დაესწრო. ვიღაცის თვალში შესაძლოა ამით იმის დემონსტრირება მოხდა, რომ ოპოზიციის ნაწილი ერთიანია, მაგრამ დავითაშვილი და ძიძიგური პრაიმერის ჩატარების შემთხვევაში ერთმანეთის კონკურენტები იქნებიან.

პრაიმერი გარკვეულწილად ერთმანეთთან შეჯიბრებას ნიშნავს. პრაიმერის ყველაზე აქტიური მხარდამჭერები კონსერვატორები არიან. ზვიად ძიძიგური იმდენად დარწმუნებულია, რომ პრაიმერი ჩატარდება, ერთ-ერთი ტელეკომპანიის ღია ეთერში სანაძლეოც კი დადო. სანაძლეოს წაგების შემთხვევაში არ დაკონკრეტებულა, რის კისრება მოუწევს ძიძიგურს, რადგან ასეთ რამეს კონსერვატორები არც კი განიხილავენ.

პრაიმერთან დაკავშირებით კონსერვატორები დანარჩენი ოპოზიციის მიმართ საკუთარი მოწოდებითაც გამოდიან. როგორც ძიძიგური ამბობს, ისე არ უნდა მოხდეს, რომ პრაიმერში რომელიმე ოპოზიციურმა პარტიამ მონაწილეობა არ მიიღოს და შემდეგ პრაიმერის გარეშე დასახელოს მერის პოსტზე კანდიდატურა.

უკვე გადაწყვეტილია, რომ პრაიმერში მონაწილეობას მიიღებენ კონსერვატორები და ხალხის პარტია ანუ ძიძიგური და დავითაშვილი. „ალიანსი საქართველოსთვის“ წევრების დიდი ნაწილი ამბობს, რომ პრაიმერის იდეას ეთანხმება. ამიტომ პრაიმერის იდეის ავტორები დარწმუნებული არიან, რომ ირაკლი ალასანია პრაიმერში მონაწილეობას მიიღებს, თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ ბოლო მომენტში ალასანიამ გადაიფიქროს და პრაიმერში არ ჩაერთოს.

ასეთ შემთხვევაში, ოპოზიციის ნაწილი ალიანსს დაუპირისპირდება და ოპოზიცია ერთმანეთთან კინკლაობით დაკავდება, რაც არჩევნების წინ მაინცდამაინც კარგი სტრატეგია არ არის.

თბილისის მერის პოსტის დაკავების სურვილი არა აქვს 2 ოპოზიციურ ძალას: ეროვნულ ფორუმსა და ლეიბორისტებს. ორივე მაგანამბა კარგა ხნის წინ დაადფიქსირა პოზიცია, რომ დედაქალაქის მერის პოსტი მათთვის მომხიბვლელი არ არის.

მართალია, ზოგიერთი პოლიტიკური პარტია სხვადასხვა დონის არჩევნებისთვის ბოიკოტის გამოცხადებაზე აღრეც საუბრობდა, მაგრამ ბოლო მომენტში გადაწყვეტილებას ცვლიდა. ქართული პოლიტიკაში ახლაც არაფერია გამორიცხული და შესაძლოა რომელიმე ბოიკოტის მოსურნეს დედაქალაქის მერის პოსტისთვის ბრძოლა მოუნდეს.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს ბოიკოტს უცხადებენ, მაგრამ ლეიბორისტების ლიდერ შალვა ნათელაშვილს არჩევნებთან დაკავშირებთან ახალი წინადადება აქვს.

ამერიკიდან დაბრუნებულმა შალვა ნათელაშვილმა გაეროს ეგიდით საქართველოში არჩევნების ჩატარება მოითხოვა და ამაში ოპოზიციის მხარდაჭერა მოითხოვა. ლეიბორისტების ამ იდეას რომელი პოლიტიკური ძალა შეუერთდება, ეს მას შემდეგ გამოჩნდება, რაც ლეიბორისტების მიერ მომზადებულ დოკუმენტზე პარტიების ლიდერები საკუთარ ხელმოწერას დაადფიქსირებენ.

ადგილობრივი არჩევნების პარალელურად შესაძლოა პარლამენტის სამი გამოკვლებული წევრის არჩევნებიც დანიშნონ. პარტიების ნაწილი ამ არჩევნებისთვისაც ემზადება. გურჯაანს, ჩუღურეთსა და ოზურგეთს მაჟორიტარი დეპუტატები არა ჰყავს, ამიტომ ამ სამი მანდატის მოპოვება არანაკლებ მნიშვნელოვანია.

უკვე ცნობილია, რომ სამივე რაიონში კანდიდატურა ეყოლებათ გიორგი თარგამაძის ქრისტიან-დემოკრატებს. ჩუღურეთში ქრისტიან-დემოკრატები ჟურნალისტ ინგა გრიგოლიას კანდიდატურის დაყენებას გეგმავენ, რომელთანაც მოლაპარაკებას ამ საკითხზე აწარმოებენ, თუმცა გრიგოლიას ჟურნალისტიკიდან პოლიტიკაში წასვლის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

ქრისტიან-დემოკრატებს კანდიდატურა ეყოლება ასევე გურჯაანსა და ოზურგეთში. ამ ეტაპზე მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ოზურგეთში ეს პარტია ერთ-ერთი ბიზნესმენის კანდიდატურის დაყენებას აპირებს.

სამივე რაიონში კანდიდატურები ეყოლება ბაღათურიას „ქართულ დასს“. ბაღათურია ამბობს, რომ გურჯაანში ძალიან მაგარი კანდიდატურა ჰყავთ შერჩეული, რომელიც ცნობადი სახეა და გამარჯვების მოპოვება არ გაუჭირდება. ვინ არის „ქართული დასის“ რჩეული გურჯაანში, ამას ბაღათურია ჯერ არ ამახელს.

სავარაუდოდ, ჩუღურეთში, ოზურგეთსა და გურჯაანში კანდიდატურის დასახელებაზე იფიქრებს ირაკლი ალასანიას პარტია. ეს საკითხი ალიანსის შიგნით, ცოტა არ იყოს, საკამათო თემაა. ამ დღეებში ალასანიას ამისთვის არ ეცალა, რადგან ევროპაში ვიზიტით იყო დაკავებული.

ევროპული ტურნეს შემდეგ ირაკლი ალასანია კონკრეტული საკადრო საკითხებისთვის მოიცლის და საბოლოო გადაწყვეტილებასაც, ალბათ, მაშინ მიიღებს.

ალასანიასთვის ახლა ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი თბილისის მერის ასარჩევად საჭირო ბარიერია. ეს ის საკითხია, რომელიც ალასანიას ყველაზე მეტად აღელვებს.

ალიანსის წევრები მერის ასარჩევად 50%-იან ბარიერს მოითხოვენ, თუმცა ამბობენ, რომ ალიანსი კომპრომისის სახით 40%-იან ბარიერსაც დათანხმდება, ხელისუფლება და ოპოზიციის ნაწილი კი 30%-იან ბარიერზეც თანხმაა.

თუ მერის ასარჩევად საჭირო ბარიერი 40% არ იქნა და 30% დარჩა, გამორიცხული არ არის, რომ ირაკლი ალასანიამ უარი თქვას არჩევნებში კენჭისყრაზე. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ოპოზიციური პარტიებიდან 6 კანდიდატი უკვე დასახელებულია ან დასახელდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ოპოზიცია ერთმანეთს ხმებს გაუყოფს. ასე რომ, თბილისის მერის სავარძლისთვის ბრძოლაში ბარიერის საკითხი პირველხარისხოვანია.

პრაიმერი შალვა ნათელაშვილის გამო ჩაიშლება

დასაწყისი მე-3 გვერდზე

პრაქტიკაში საქართველოს პირობებში ვერ წარმომიდგენია, როგორ განხორციელდება, თორემ თეორიულად ყოველს შესანიშნავად, რასაკვირველია, ოპოზიციას ერთი კანდიდატი უნდა ჰყავდეს, მაგრამ, მაგალითად, შალვა ნათელაშვილი აცხადებს, რომ ის არავისთან შევა კოალიციაში, თუ ლეიბორისტებიც დააყენებენ თავიანთ კანდიდატს, ჩათვალეთ, რომ პრაიმერის იდეა ჩავარდნილია.

— ქრისტიან-დემოკრატებმაც წამოაყენეს გია ჭანტურიას კანდიდატურა...

— გია ჭანტურია ნამდვილად თავისი საქმის სპეციალისტია ნავთობში, მაგრამ ის, რომ მერად ვერ გავა, ესეც ცხადია.

— რატომ შეარჩიეს მისი კანდიდატურა?

— რა გითხრათ, შეიძლება დაკვეთაა ზემოდან. ესეც ოპოზიციისთვის ხმების წართმევვაა. ოპოზიციიდან ამ მომენტში იკვეთება ერთი კანდიდატურა. ეს არის ირაკლი ალასანია. ყველა სხვა კანდიდატურა დემოკრატიის ფასადის შექმნელადაა, მაგრამ, თუ ოპოზიცია ქმნის დემოკრატიის ფასადს და აყენებს ბევრ კანდიდატურას, იმავე თამაშს თამაშობს ხელისუფლებაც.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ყველაზე მეტი შანსი აქვს ალასანიას?

— რასაკვირველია. ალასანია რომ აჯობებს უფულავას. ეს ხომ ცხადზე უცხადესია. უგულავას არანაირი შანსი არ აქვს, რომ 30 30%-ზე ზემოთ წავიდეს, ამიტომაც ითხოვენ ასე აყენოს 30%-ს.

— დღეს ხელისუფლება რევოლუციის 6 წლისთავს აღნიშნავს. რამდენად აქვთ იმის საბაბი, რომ ეს თარიღი აღნიშნონ?

— არავითარი საბაბი მაგისთვის არ არსებობს, პირიქით. მისი უკრაინაში ვიზიტის დროს ეს კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა. პუტინმა განაცხადა, ორი დამარცხებული პრეზიდენტი ხვდება ერთმანეთსო. ისინი ებრძოდნენ ამ ორ პრეზიდენტს და ფაქტიურად გამარჯვებული არიან, ჩვენდა სამწუხაროდ. არ მესმის, რატომ აგვიანებს შეხვედრებზე ჩვენი პრეზიდენტი. სააკაშვილმა იუშჩენკოსთან შეხვედრაზე მთელი ერთი საათით დაიგვიანა. ეს იუშჩენკოსთვის დიდი შეურაცხყოფა იყო. თავისი კარიერაც ასე დაიწყო სააკაშვილმა, პირველი ვიზიტი ჰქონდა მოსკოვში პუტინთან და დაიგვიანა 20 წუთით, რაც შემდეგ პუტინმა აღარ აპატია. სააკაშვილმა თავისი საპრეზიდენტო კარიერა დაიწყო იმით, რომ პუტინს ალოდინა, რაც პუტინმა შეურაცხყოფად მიიღო და მივიღეთ კიდევ შედეგი — სააკაშვილი თავის საპრეზიდენტო კარიერას ამთავრებს იმით, რომ თავის ნათელ-მირონსა და მეგობარ იუშჩენკოს ასეთი შეურაცხყოფა მიაყენა — მთელი ერთი საათი ალოდინა.

— ფიქრობთ, რომ ამთავრებს კარიერას?

— ამთავრებს ყველა ვარიანტში. მისი პრეზიდენტობა უკვე იმდენად არასერიოზულად ყღერს, პრეზიდენტი, რომელსაც არავინ იღებს და არავინ უსმენს. უკრაინაშიც ორ თვეში ახალი პრეზიდენტი იქნება და იქაც ვეღარ ჩავა. ობამმა უკვე ცხრა თვეა პრეზიდენტია და გამარჯობაც კი არ უთქვამს მისთვის.

— აღარ სწყალობს სააკაშვილს ევროპა და ამერიკა?

— არავინ სწყალობს, გარდა ზოგიერთი ემირისა არაბული სამყაროდან.

— როგორ ფიქრობთ, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები ხომ არ დაინიშნება?

— სააკაშვილის ფსიქიკა როგორ მუშაობს, ყველამ კარგად დაინახა ამ ხნის განმავლობაში. შეიძლება გამოვიდეს ხვალ და თქვას, ა, ბატონო, ადგილობრივი არჩევნებისთვის საარჩევნო კოდექსი ჩავარდა და, მოდით, ჩავატაროთ ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები ძველი კოდექსით. აი, რის თქმა შეუძლია. თუ კატეგორიულად მოითხოვეს სახელმწიფო დეპარტამენტმა და ევროპულმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, შეიძლება მართლაც ჩატარდეს საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები. ახლაც ზის სააკაშვილი და სასწორზე უდგეს, რა ქნას, დანიშნოს საპარლამენტო არჩევნები თუ არა. იმისაც ეშინია, რომ ამით აფფეთქებს თავის მომხრეებს, რომლებიც ძალიან თბილად არიან მოკალათებული პარლამენტში. სააკაშვილს კი უნდა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, მაგრამ ეშინია თავისივე უმრავლესობის. არჩევნები აუცილებლად ჩატარდება, თუმცა ამ ხელისუფლების პირობებში ძნელი სათქმელია — რომელი.

გამსახურდია დავითაიას ხალხს დაერია

პარლამენტში დაბრუნების შემდეგ, პარტია „თავისუფლებას“ მისი წარმომადგენლების წარდგენა ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და საოლქო კომისიებშიც სურს.

როგორც „ინტერპრესნიუსისთვის“ გახდა ცნობილი, ამის შესახებ პარტიის ლიდერ კონსტანტინე გამსახურდიას ხელისუფლებასთან საუბარი უკვე ჰქონდა და საკუთარი წარმომადგენლის წარდგენის მიზნით, ცესკოდან და საოლქო კომისიებიდან, პარტია „ჩვენ თვითონ“-ის წევრების გამოწვევაც მოუთხოვია.

პარტია „თავისუფლებაში“ პაატა დავითაიასთან დაპირისპირებას არ ადასტურებენ, თუმცა აღნიშნავენ, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მისი წარმომადგენლის შეყვანა ნამდვილად სურთ.

ცესკოში პარტიამ „ჩვენ თვითონ“ წარმომადგენელი მას შემდეგ წარადგინა, რაც გაერთიანებული ოპოზიციის საარჩევნო ბლოკში შემავალი პარტიების უმრავლესობამ, პარლამენტში შესვლაზე უარი თქვა.

პარტია „ჩვენ თვითონ“ ბლოკში პარტია „თავისუფლების“ შემდეგ იყო, შესაბამისად, აღნიშნული პარტიის მიერ პარლამენტში შესვლაზე უარის თქმის შემდეგ, ცესკოში და საარჩევნო კომისიებშიც წარმომადგენელი პარტიამ „ჩვენ თვითონ“წარადგინა.

ინტერპრესნიუსი

რუსეთი და საქართველო ფარულ მოლაპარაკებებს აწარმოებენ

აგვისტოს ომმა რუსეთის სამხედრო პოზიციები გაა ლიერა

გულიკო ბალა ე

ცდილობენ თუ არა საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლებები ურთიერთობების დარეგულირებას? რა მიიღო რუსეთმა და რა სურს კიდევ მიიღოს საქართველოსგან? მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ გარკვეული ფარული კონტაქტები საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლებს შორის არსებობს და სააკაშვილი რუსეთისთვის ძალიანაც მისაღებია.

— ბატონო გიორგი, ბოლო პერიოდში ხომ არ გამოჩნდა ნიშნები, რომ საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლებები ცდილობენ ურთიერთობები დაარეგულირონ?

— ბოლო პერიოდში განვითარებული პროცესები მიანიშნებს, რომ გარკვეული ფარული კონტაქტები საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლებებს შორის არსებობს. თუმცა, ეს ახალი ამბავი არ არის. ჯერ კიდევ იანვარში გახმოვანდა ინფორმაცია, რომ საქართველოს ხელისუფლება მოლაპარაკებებს აწარმოებდა რუსეთისთვის ენერგრესის მართვაში გადაცემაზე. როცა აჟიოტაჟი ატყდა, ხელისუფლება თავს იმართლებდა.

— რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, საქართველო გვეხვეწება ურთიერთობების დარეგულირებასო.

— ოფიციალურ განცხადებებს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. თავვარი ის ფაქტია, რომ რაღაც ფარული ურთიერთობები არსებობს მიუხედავად იმ რიტორიკისა, რომელიც რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლებებიდან მოდის. რუსეთისთვის სააკაშვილი ძალიან მისაღები პრეზიდენტია, რაც მარტივი ასახსნელია. რუსეთს რა ინტერესებიც ჰქონდა საქართველოში, სააკაშვილის ხელშეწყობით, ყველაფერი განახორციელა. 2004 წელს, როგორც კი მოვიდნენ ხელისუფლებაში, ცხინვალთან დიდი წვალებით დარეგულირებული ურთიერთობები, რომელსაც 12 წელი მოუწდნენ, გააფუჭეს. 2003 წელს ცხინვალში ჩვენულებრივად ჩავდიოდით და ჩამოვდიოდით; სამართშრუტო ტრანსპორტი დადიოდა და ურთიერთობები აღდგენილი იყო, რაც რუსეთის ინტერესებს არ შეესაბამებოდა. ცხინვალთან დარეგულირებული ურთიერთობები, იმ ავანტიურით მოკვდა, რომელიც სააკაშვილმა 2004 წელს წამოიწყო.

— სააკაშვილის ხელისუფლების მხრიდან რეაქცია რომ არ ყოფილიყო, ცხინვალთან ურთიერთობები დღეს როგორი იქნებოდა?

— ჩვენი ინფორმაციით, 2013 წლისთვის გადაწყვეტილი უნდა ყოფილიყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი. ოღონდ, რა ფორმით, ეს ჩვენთვის, ჯერჯერობით, უცნობია. არსებობს, მაგალითად, სოჭის შეთანხმება შეავარდნაძესა და პუტინს შორის. თუმცა, ჩვენ ამ დოკუმენტის მხოლოდ მოკლე შინაარსი ვიცით. დოკუმენტი სად არის და ვის აქვს, არ ვიცით. კანცელარიაში უნდა იყოს, მაგრამ გასაიდუმლოებულია.

— საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღდგენილიყოო და, საინტერესოა, როგორ?

— ფორმა იყო ასეთი — ცხინვალის საკითხი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო. აფხაზეთში კი — გალისა და ოჩამჩირის რაიონებში, აფხაზურ-ქართული ერთობლივი აღმინისტრაციები უნდა შექმნილიყო. ეს იქნებოდა ტერიტორიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯები. დევნილების დაბრუნების პრობლემა აფხაზეთის ამ ორ რაიონში, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი გახლდათ.

— სოჭის ხელშეკრულებაში ეს წერია?

— მე დოკუმენტი არ მაქვს, მაგრამ როგორც სხვადასხვა წყაროები ამბობენ, მასში ასეთი პუნქტები არის.

— ბატონო გიორგი, რადგან თქვენ ამაზე მიუთითებთ, ალბათ, ინფორმაცია სარწმუნო წყაროთ მოგაწოდათ.

— რა თქმა უნდა.

— შეიძლება რაიმე საიდუმლო პუნქტები იყოს ხსენებულ სოჭის შეთანხმებაში?

— საიდუმლო პუნქტები ვერ იქნება, რადგან საიდუმლო პუნქტებს კანონი კრძალავს. არსებობს კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ, რომელიც არ ეხება საერთაშორისო ხელშეკრულებებს. რას ჰქვია, ვიღაცამ მოინდომოს, ხელშეკრულება გააფორმოს და ქვეყანამ არ იცოდეს? ასეთი რამ არ არსებობს. ცხინვალთან დაკავშირებული 2004 წლის ავანტიურა კი, ამ პროცესის ჩაშლის მცდელობა გახლდათ.

— სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის, ვინც ამ საკითხებზე მუშაობდა, ეს ხელშეკრულება ხომ უნდა ყოფილიყო ცნობილი?

— ვფიქრობ, მათთვის აღნიშნული ხელშეკრულება ცნობილი უნდა ყოფილიყო, რადგან იმ პერიოდში სააკაშვილი პოლიტიკაში იყო, ინფორმაცია კი დამალული არ გახლდათ. ტექსტის სრული შინაარსი უცნობია, თუმცა, ყველამ იცოდა, რომ რაღაც შეთანხმება მოხდა.

— შეგნებულად მოახდინეს ცხინვალის კონფლიქტის კვლავ ესკალირება?

— დიახ, შეგნებულად მოახდინეს, ფაქტობრივად, დარეგულირებული პრობლემის დაბრუნება 90-იანი წლის დასაწყისის ომის მდგომარეობამდე. მაგრამ ამით ეს ამბები არ დამთავრებულა. 2005 წელს საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო სამ კანონში ცვლილება, რომელიც თითქოს არავითარ კავშირში არ არის პოლიტიკასთან. ეს გახლდათ სანიტარული კოდექსი, კანონი ვეტერინარიის შესახებ და მცენარეთა დაცვის შესახებ. თითქოს არაფერია, მაგრამ აქ მთავარი ისაა, რომ ამ სამ კანონში შეტანილი ცვლილებებით გაუქმდა ყველანაირი სანიტარული, ფიტოსანიტარული და ვეტერინარული კონტროლი შემოტანილ და გატანილ პროდუქციაზე. ამით, ფაქტობრივად, საბაბი მიეცა რუსეთს, ჩვენი სოფლის მეურნეობის პროდუქციისთვის თავისი ბაზრები დაეკეტა. როცა პარლამენტმა ეს კანონები მიიღო, პრესკონფერენციაზე ვთქვი, ამის შედეგებს ნახავთ, საერთაშორისო ბაზრებზე არც ერთ ჩვენს პროდუქციას აღარავინ მიიღებენ-მეთქი იმ მიზეზით, რადგან არ არსებობს მსოფლიოში ქვეყანა, სადაც საზღვრებზე შემოტანილი და გატანილი პროდუქცია ძალიან მკაცრად რომ არ კონტროლდებოდეს. მაშინ ამ გადაწყვეტილების შემდეგ, რუსეთმა ლარსის გამშვებ პუქტზე ტრაილერები გააჩერა, რომელიც სავსე იყო სხვადასხვა სოფლის მეურნეების პროდუქტებით. ტრაილერები დიდი ხნის განმავლობაში რუსეთის საზღვართან იდგა და ყველაფერი იქ დალპა. რუსეთმა იცოდა რა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ზემოთ აღნიშნული კანონები მიიღო, ერთადერთი, მოითხოვა, ფიტოსანიტარული სერთიფიკატები მოგვეცით და საზღვარზე გაგატარებთო. რას მისცემდნენ, სამსახურები დაშლილი იყო. მერე რუსეთმა გამოაცხადა, საქართველოს პროდუქცია არანირად არ კონტროლდება და საზღვარს ვკეტავთო. ეს იყო ფორმალური მიზეზი.

— შეთანხმებით ხდებოდა თუ...

— დიახ, არ შეიძლებოდა საქართველოს ხელისუფლებას არ სცოდნოდა, რა შედეგებს გამოინვევდა საზღვრებზე სანიტარული, ფიტოსანიტარული და ვეტერინარული კონტროლის გაუქმება. ეს მოხდა 2005 წლის ივნისის ბოლოს. მაისში მოლდავეთსაც წაუყენა რუსეთმა პრეტენზიები. მათ კონტროლი არ გაუუქმებიათ, მაგრამ რუსებმა უთხრეს, თქვენ ძალიან სუფი ფიტოსანიტარული კონტროლი გაქვთ საზღვრებზე და ამიტომ თქვენ პროდუქციას ველარ მივიღებთო. იქაც დავის მიზეზი პოლიტიკური იყო. ამიტომ ამის გამო მოლდავეთმა საერთაშორისო დონეზე აჟიოტაჟი ატეხა. ეს ამბავი ყველამ იცოდა. ცნობილი იყო, რომ რუსეთი მიზეზს ეძებდა. მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ სატოკაკე აუწია რუსეთის ხელისუფლებას და მათაც საქართველოში მოწეულ პროდუქციას საზღვარი გადაუკეტეს. ამას მოჰყვა ჩვენი აგრარული სექტორის მთლიანი დეგრადაცია, რადგან ბაზარი დაიკარგა. ძირითადი ნაწილი ჩვენი სოფლის მეურნეობის პროდუქციისა, სწორედ რუსეთის ბაზრებზე გადიოდა.



— ანუ რუსეთმა საქართველოს ხელისუფლების გამოისობით ყველაფერს მიაღწია და ახლა თითქოს ურთიერთობების დარეგულირება უნდა?

— ჰო. გარდა ამისა, ორივე მხრიდან დაძაბულობის და რიტორიკის ფონზე რუსეთმა საქართველოში არსებული თითქმის ყველა სტრატეგიული ობიექტი ხელში ჩაიგდო. ეს ცოტა უცნაურად ხომ არ ყღერს.

— ბატონო გიორგი, უცნაურადაც ყღერს და, მგონი, პირდაპირ რაღაც უმედურობაზეც მიუთითებს. მაგრამ სააკაშვილს და მის იდეოლოგებს, იგივე ბენდუქიძეს და სხვებს, ვითომ სასაცილოდ არ ჰყოფნით სტრატეგიულ ობიექტებზე საუბარი. გაიძახიან, აბა, რომელი ობიექტი ჩაიგდო რუსეთმა ხელშეო?

— სააკაშვილს რა აქვს სასაცილოდ აგდებული, არ ვიცი და ვინ არის სასაცილო, სხვა ამბავია, მაგრამ მოდით ვთქვათ, რა არის სტრატეგიულობა? დღეისთვის რუსეთი საქართველოში აკონტროლებს ენერგიაის, ანუ ელექტროენერგიის გამომუშავების 40%-ს. თუ ენგურჰესსაც რუსეთს მისცემენ, მთელი საქართველოს გამომუშავების 75% რუსების ხელში აღმოჩნდება. ტრატეგიული საკითხია თუ არა, როცა მთელი ენერგეტიკა სხვა სახელმწიფოს ხელში გადადის, ხოლო ამ ენერგეტიკის საშუალებით მუშაობს მრეწველობა, მოსახლეობა იღებს ელექტროენერგიას? ეს არის თუ არა საფრთხის შემცველი.

— ენგურჰესის თაობაზე მიღებული დოკუმენტი გასაიდუმლოებული აქვთ.

— ესეც კანონის დარღვევით ხდება. ცივილიზებულ ქვეყანაში, იმ ქვეყანასთან, რომელთანაც შენ საომარი მოქმედება გქონდა, ფარული, დამალული მოლაპარაკებები ყველაზე დიდი პიდროელექტრო-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

გააგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან“, „მაგთიდან“, „ბილაინიდან“ ნომერზე 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.

ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ „იავნანას“ ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!

ფონდი „იავნანა“, „ვაზიანი „ახალი თაობა“

მე ოპოზიციას არ ვაფინანსებ!

მიხეილ ხუბუტია ოპოზიციის პროდასავლურობით უკმაყოფილია

გერა მამულაშვილი

„ვახტანგ კოკობაძის მოწვევა გვხურს. ის ხომ რუსული კულტურის ნაწილია, აქ ის უყვართ და ახსოვთ“, — ამ სათაურით ინტერვიუს რუსეთში ქართველთა კავშირის ხელმძღვანელ მიხეილ ხუბუტიასთან რუსული გამოცემა „რბკ დეილი“ აქვეყნებს. „ახალი თაობა“ მასალას მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.

— თქვენ არაერთხელ გინოდეს ქართული ოპოზიციის სპონსორი, ხოლო ამას წინათ აღმოჩნდით ერთ-ერთი პირველი იმ ადამიანების სიაში, რომლებიც ყველაზე აქტიურად აფინანსებენ ქართველ ოპოზიციონერებს.

— ეს ვიღაცის ანთებითი წარმოსახვის ბოდვაა. ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მე თითქოსდა ქართულ ოპოზიციას ფინანსურ მხარდაჭერას ვუწევ, ქართული მედიის მხრიდან მდგრადი პერიოდულობით შუქდება. ეს უკვე პარანოიდალურ იდეად იქცა. სხვა საქმეა, სწორედ ახლა რატომ შეიქმნა „მავნებლების“ მთელი სია. შესაძლოა, ქართულ ხელისუფლებას მომავალი საბიუჯეტო წლის ეშინია და იქ თავმოსაწონი ნამდვილად არაფერია. საჭიროა ხალხთან ან პატრიოსნად აღიარება, რომ მიმე დროება დადგება და ფიქრი იმაზე, როგორ შეიძლება ამ უბედურებიდან გამოსვლა ანდა მისგან ყურადღების გადატანა და მითითება მეზობელზე, რომელიც თითქოსდა მხარს უჭერს ოპოზიციას და ამით ქვეყანას მხრებში გამართვის საშუალებას არ აძლევს.

ქართული მასმედიის მონაცემებით, რამდენი გადავუხადე ოპოზიციას — 7 მილიონი დოლარი? ეს ხომ არანორმალურობაა. მე, როგორც ბიზნესმენი, ფულს ჰაერში არ ვყრი. უფრო მეტიც, არაერთხელ ვისაუბრე პრესაში, რომ მოცვიქეულ ეტაპაზე ოპოზიციის მოღვაწეობა უაზროა და საზიანოც კია საქართველოსთვის. დამწყებ ბიზნესმენებსაც კი ესმით, რომ სისუფლეკეა დაანგრიო დაე პრობლემური, მაგრამ ძველი საწარმო, თუკი ახალი პერსპექტიული პროექტი არ არსებობს.

დარწმუნებული ვარ, საკაკაშვილი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე საკუთარი პოსტიდან არ წავა და არც ერთ ოპოზიციურ პარტიას არანაირი კონკრეტული პროგრამა, რეალური კონსტრუქციული წინადადებები არ აქვს — პრაგმატული შეხედულებებით ისინი არ გამოირჩევიან. ჯერჯერობით ოპოზიციის რიგებში ვერ ვხედავ ლიდერს, რომელიც საქართველოს აყვავებულ ქვეყნად აქცევდა, ხოლო ქართველ ხალხს — მდიდრად და ბედნიერად.

— ანუ საქართველოში ოპოზიციას მოქმედების გეგმა აქ აქვს?

— აბსოლუტურად. მეორე მხრივ, მეჩვენება, რომ ყველა ეს ე.წ. ოპოზიციური ძალები პროდასავლურები არიან. რუსეთთან რეალური თანამშრომლობა მათ არ სურთ. ერთადერთი, ვინც ამ მხარეს ნაბიჯი გადადგა, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ნოღაიდელია. ამას წინათ ის მოსკოვში იყო ჩამოსული. ჩვენ მას შევხვდით. ის დიასპორის ცხოვრებითა და პრობლემებით დაინტერესდა, ხოლო მე — მისი სამმავლო გეგმებით.

— და მაინც, ლიდერი არ არის?

— იყო მხოლოდ ერთი პოტენციური ლიდერი — ბადრი პატარკაციშვილი და ის გარდაიცვალა. მას ძალიან ძლიერი წინასაარჩევნო კამპანია ჰქონდა, რადგან მან ხალხს მეტად დატვირთული, წვრილმანებამდე მოფიქრებული პროგრამა შესთავაზა. რით დასრულდა ეს ყველაფერი, კარგად ვიცით.

— დიასპორას არჩევნებზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია?

— რუსეთში დაახლოებით 1,5 მილიონი ქართველი ცხოვრობს. მათ შორის არიან ისინი, ვინც დროებით შემოსავლის მიღებისთვის ჩამოდიან. მაგრამ აბსოლუტური უმრავლესობა უკვე დიდი ხანია აქ ცხოვრობს. ისინი რუსები არიან, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, ახსოვთ ისტორიული სამშობლოს, ფესვების შესახებ. ამდენი ქართველი მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ცხოვრობს. რუსეთის ქართველები საქართველოში საკუთარ ნათესავებსა და მეგობრებს აქტიურად ეხმარებიან. თქვენ როგორ ფიქრობთ, რუსეთისა და საქართველოს ქართველებს შორის როცა ასეთი მჭიდრო ურთიერთკავშირია, შეიძლება თუ არა, ამ მომენტმა საქართველოში ადამიანების განწყობებზე იმოქმედოს და, შესაბამისად, არჩევნების შედეგებზე? ხელისუფლებას თბილისში სწორედ ამის ეშინია და განხეთქილების შეტანას ცდილობს მათ შორის, ვინც ქვეყანაში ცხოვრობს და ვინც რუსეთშია.

— ანუ როდესაც საკაკაშვილი მოსკოვში ჩამოვა, თქვენ მას არ შეხვდებით?

— მგონია, რომ ის არ ჩამოვა (იცინის) და, საერთოდაც, ქართველების კავშირი რუსეთში ცდილობს, პოლიტიკაში არ ჩაერიოს. ჩვენი რეგანიზაცია მაინც საზოგადოებრივია. ჩვენ ვცდილობთ საერთო ენის მონახვას საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. დეკემბერში კონფერენციას ჩავატარებთ, სადაც საქართველოს წარმომადგენლებს ვეკითხ, ბიზნესმენების ჩათვლით, ასევე მოვიწვევთ აფხაზეთი, ოსური, სომხური, ბერძნული, უკრაინული დიასპორების წარმომადგენლებს. მეცნიერებთან, პროფესიონალ დიპლომატებთან და საზოგადო მოღვაწეებთან ერთად გვსურს გვნახილოთ რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების ნორმალიზაციის შესაძლო გზები და ამ მიმართულებით თუნდაც მცირე ნაბიჯები მაინც გადავდგათ. რაღაცნაირად საჭიროა ამ პატური სიტუაციიდან გამოსვლა.

— და როგორ უნდა მოხდეს მათი ნორმალიზება? არსებობს თუ არა რუსეთის პოლიტიკა საქართველოსთან, აფხაზეთთან დაკავშირებით?

— ერთი წლის წინანდელს დავუბრუნდეთ. ეს ხომ საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობას შორის ომი იყო. რუსეთს არ შეეძლო მოეთმინა საკუთარი სამშვიდობოებისა და უბრალო ადამიანების დაღუპვა. ბრძნული პოლიტიკის თვალსაზრისით თუკი ორი ნერვული ბავშვიც კი ჩხუბობს, მათ მაინც უნდა იცხოვრონ ერთ ჭერქვეშ, მსოფლიოში — ერთ ოჯახად.

— ეს ელიტები თუ ხალხები უნდა შერიგდნენ?

— ელიტებმა იჩხუბეს, ახლა ცდილობენ, რომ ამ დაკა-დაკაში ხალხი ჩაითრიონ, მაგრამ სიბრძნე ხომ ყოველთვის ხალხის დონეზე იბადებოდა. ვიმედოვნებ, რომ სწორედ ასე მოხდება ამჟამადაც. დიახ, სამშვიდობო ხიდების აშენება ხალხის საქმეა. მაგრამ რუსეთის გარეშე მშვიდობაზე საუბარი რთულია. ამიტომ მსურს, დიასპორები, ახალგაზრდობა და ბიზნესმენები რუსეთის ფედერაციის მხარდაჭერით შეხვდნენ ერომანეთს.

აქ, რუსეთში, ეს ყველასთვის გასაგებია, მაგრამ საზღვრის იქითა მხარეს საზოგადოებრივი შეგნების ჩვეულებრივი მანიპულაცია მიმდინარეობს. რუსეთს აჩვენებენ, როგორც ხაზგასმით მტერს, ადამიანებს აშინებენ, უყვებიან რა, რომ აქ მხოლოდ იმას ფიქრობენ, როგორ უნდა გაჩაღდეს ახალი ომი საქართველოსთან.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

რუსეთი და საქართველო ფარულ მოლაპარაკებებს აწარმოებენ

დასაწყისი მე-5 გვერდზე

სადგურის (არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში) გადაცემაზე, სახელმწიფო დანაშაულია. პარლამენტი რომ პარლამენტი იყოს, ამის გამო პრეზიდენტს მაშინვე იმპიჩმენტს მოუწყობდა. გარდა ამისა, „თბილგაზი“ ეკუთვნით ყაზახებს, რომლებიც „გაზპობთან“ არიან ალიანსში. მათ ერთობლივი საწარმო აქვთ, რომელსაც „რუსყაზგაზი“ ჰქვია. მის შემადგენელია თბილისური „ყაზტრანსგაზი“. პარალელურად „იტერას“ აქვს ჩაგდებული საქართველოს რეგიონებში ძალიან ბევრი გაზგამანაწილებელი სადგურები და დაახლოებით ასზე მეტ სამრეწველო ობიექტს (მგონი, მეტი სამრეწველო ობიექტი არც არის საქართველოში, რომელიც მუშაობს) „იტერა“ აწვდის რუსეთის გაზს. ეს ენერგეტიკასთან დაკავშირებით. ახლა ვისუბროთ საქართველოდან ექსპორტზე. საქართველოდან პროდუქციის ექსპორტიც რუსების ხელშია. რატომ? იმიტომ, რომ ორი ძირითადი პროდუქცია, რომელიც საქართველოს საექსპორტო საქონლის ნუსხაში პირველ-მეორე ადგილზეა, ერთს აწარმოებს „ვადნეული“, რომელიც ეკუთვნის რუსულ კომპანიას, მეორეა „აზოტი“, რომელიც ასევე რუსულ კომპანიისაა. ამიტომ ბენდუქიძეს რამდენიც არ უნდა ილაპარაკოს, რა არის სტრატეგიული და რა არა, გამოდის, რომ ეკონომიკის ყველაზე მნიშვნელოვან სეგმენტებს რუსეთი აკონტროლებს. ახლა ამას თუ გინდათ სტრატეგიული დაარქვით, გინდათ ნუ დაარქვეთ სტრატეგიულს. რუსებმა საკაკაშვილის საშუალებით ერთ-ერთი თავისი ამოცანა შეასრულეს — როგორც სომხეთის მთელი ეკონომიკა ჩაიგდეს ხელში, ასევე საქართველოშიც, ფატობრივად, ეკონომიკის ძალიან დიდ ნაწილს აკონტროლებენ. გარდა ამისა, რუსეთს სამხრეთ კავკასიაში პოზიციების გაძლიერება სჭირდებოდა. 1999 წელს ელცინის პერიოდში, ძალიან დიდი მოვლენა მოხდა, როდესაც კლინტონმა ელცინმა და შევარდნაძემ ხელი მოაწერეს საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანის ხელშეკრულებას, ცნობილ სტამბოლის სამიტზე.

— თუმცა, შემდეგ ამ ხელშეკრულების გარკვეული რევიზია მოხდა, რადგან რუსეთმა აფხაზეთიდან არ გაიყვანა თავისი სამხედრო ბაზები.

— უამრავი ბაზა იყო და მათგან რამდენიმე დარჩა, რომელიც შემდეგ რუსებმა დაჩქარებული წესით გაიყვანეს. მათი გაყვანა 2008 წელს უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ რუსებმა 2007-ში დაამთავრეს ჯარის გაყვანა. ეს უკავშირდებოდა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების ხელშეკრულებას. ამერიკამ შემოაგდო საკითხი პოლონეთსა და ჩეხეთში რაკეტული სისტემის განთავსების თაობაზე. ამიტომ რუსეთმა აქედან სასწრაფოდ გაიყვანა თავისი ჯარი, ამერიკა მორალური პასუხისმგებლობის ნინაშე რომ დაეყენებინა. ეს ელცინმა გააკეთა. შემდეგ პუტინის ამოცანა იყო, რუსული სამხედრო ბაზები საქართველოს ტერიტორიაზე დაებრუნებინა. მის სამხრეთ ბაზასთან ერთად, რომელიც უზარმაზარია, უკვე გააკონტროლედა მთელ ამ რეგიონს, ამით კი ირანს. აგვისტოს ომი სწორედ ამასთან იყო დაკავშირებული. ამ ომის შედეგად რუსეთმა მხოლოდ ტერიტორიები კი არ მიითვისა (ტერიტორიის მეტი რა აქვს, სად წაიღოს, არ იცის), არამედ სამხედრო ბაზები ააშენა და სამხედრო პოზიციები გაიძლიერა, ბუნებრივია, საკაკაშვილის ხელშეწყობით. ამდენად, ორი ამოცანა — სამხედრო და ეკონომიკური რუსეთს საქართველოში გადაწყვეტილი აქვს. ყველაფერი ამ ხელისუფლების ხელშეწობით მოხდა. ბუნებრივია, მას კიდევ აქვს ინტერესები. არ ვიტყვი რა ინტერესებია. ძალიან სერიოზული ინტერესებია. ეს დაკავშირებულია ირანთან და ნაბუქოს პროექტის განხორციელებასთან...

ამერიკა მხარს არც ერთ პარტიას არ დაუჭერს

ერთიანი ლიდერის გამოსაყვლენად პრაიმერის ჩატარება აუცილებელი არ არის

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე აცხადებს, რომ თუ ადგილობრივი არჩევნები გააყბალა ხელისუფლებამ, მაშინ ამერიკა თავის შეფასებებში ლმობიერი არ იქნება. ამერიკის პოზიციას კი ევროპაც ფეხდაფეხ მიჰყვება, ამბობს საყვარელიძე.

პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ არ არის აუცილებლობა ოპოზიციამ ერთიანი კანდიდატი პრაიმერით გამოავლინოს, რადგან პრაიმერი გაყალბების საშუალებასაც შეიცავს. ის ოპოზიციას ერთიან კანდიდატზე სხვა მეთოდით ურჩევს შეთანხმებას.

ამ საკითხზე „ახალ თაობას“ **რამაზ საყვარელიძე** ესაუბრა.

— ბატონო რამაზ, რას იტყვით წინა საარჩევნო პერიპეტიებზე? „ალიანსი საქართველოსთვის“ 45-პროცენტიან ბარიერზე დათანხმდა. ხელისუფლება მხოლოდ 30 პროცენტზე საუბრობს...

— ჯერ გამოუცხადებელ არჩევნებზე ტემპერატურა უფრო ანეულია, ვიდრე უნდა იყოს. საარჩევნო კოდექსზე მუშაობა აუცილებელია და ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს. ზოგადად 50-პროცენტიან ბარიერს ის პლუსი აქვს, ვინც არ უნდა იყოს ხელისუფლებაში, რომ მას გაუჭირდება არჩევნებში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება. პრეზიდენტის არჩევნებზე, დაახლოებით ანალოგიური მოხდა. პრეზიდენტმა ბარიერი 2 თუ 3 პროცენტით დაძლია და ამით გადაწყდა არჩევნების ბედი.

— 53 პროცენტი აიღო საკაკაშვილმა...

— დიახ, სწორედ 3 პროცენტმა გადაწყვიტა არჩევნების ბედი. ანალოგიურად შეიძლება ახლაც გადაწყდეს არჩევნების ბედი. თუ დაბალი იქნა ბარიერი, მაშინ ყველა იწყებს „უშმაკობას“, რომ ბრძოლა გაგრძელოს და გადალახოს ბარიერი. თუ დაბალი პროცენტი იქნა. მაღალი ბარიერი, მეტ-ნაკლებად გამორიცხავს არალეგალური საშუალებების გამოყენებას.



— სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, რომ ვიმსჯელოთ...

— რასაკვირველია, უფრო სამართლიანია მაღალი ნდობით არჩეული მერი. სამართლიანობის პრინციპით 50-პროცენტიანი ბარიერი უფრო სამართლიანია, ვიდრე 30-პროცენტიანი.

— 45-პროცენტიანი ბარიერის შემთხვევაში არის მეორე ტურის შანსი?

— უფრო დიდი შანსია, ვიდრე 30-პროცენტიანი ბარიერის შემთხვევაში.

— როგორც ვიცით, ენდიაის ოფისში გამართული მოლაპარაკებები ხელისუფლებამ დატოვა, თუმცა, ჯობიანდენის სატელეფონო ზარის შემდეგ, რომელიც დემოკრატიის განვითარებას ეხებოდა არ არის გამორიცხული, რომ მოლაპარაკებები აღდგეს. გამოდის, ამერიკა ზედამხედველობას ახორციელებს ამ პროცეს ზე?

— ბაიდენის თბილისში წარმოთქმული სიტყვაც მიუთითებდა, რომ ამერიკა შიდა დემოკრატიის განვითარებას თვალყურს მიადევნებდა. მან თქვა: რომ არ არის „ვარდების რევოლუციის“ პროცესი დასრულებული, ის იდეალი არ არის მიღწეულიო. ბუნებრივია, რომ ამერიკის ინტერესი გამოჩნდება ამ პროცესებში, რადგანაც ამის ბევრი მოტივია. ამერიკას ურჩევნია დემოკრატიული ფასეულობის დამცველი იყოს და არა კონკრეტული ძალის დამცველი. ამას ვამბობ დღევანდელ ამერიკაზე, ახალ ადმინისტრაციაზე. ამიტომაც ბუნებრივად მიმაჩნია ეს ყურადღება, მით უმეტეს, ამერიკელებმა, ბაიდერის პირით ისიც განაცხადეს, რომ კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივა დევს იმაში, რომ ვიყოთ მიმზიდველი, როგორც ეკონომიკით, ისე დემოკრატიითო. ამერიკა, რომელიც დაინტერესებულია კონფლიქტების ნორმალურ მოგვარებაში, ტერიტორიული მთლიანობის დაცვით, ამ ამერიკას სჭირდება თავისი პოლიტიკური კურსისთვის საქართველოში იყოს დემოკრატია.

— ადგილობრივ არჩევნებს, როგორც ლაკმუსის ქაღალდს ისე განიხილავენ. თუ ეს არჩევნები გაყალბდა, როგორი იქნება საერთაშორისო თანამეგობრობის, ამერიკის პოზიცია, ღიად დააფიქსირებენ თავიანთ აზრს თუ დიპლომატიური რევერანსსები იქნება?

— პოზიციის გამოხატვა ბევრ ფაქტორზე არის ხოლმე დამოკიდებული, ვგულისხმობ მსოფლიოში იმ მომენტისათვის მიმდინარე პროცესებს. ძნელი სათქმელია იმ დროისათვის, როგორი კლიმატი იქნება მსოფლიო პოლიტიკაში, მაგრამ თუ იქიდან გამოვალთ, რომ ამერიკის დღევანდელ ადმინისტრაციას არ მიაჩნია, ეს ხელისუფლება თავისი პოლიტიკის მეშვიდრედ, შეიძლება უფრო მკვეთრი იყოს თუ საბაბი მიეცემა. ბუშისთვის „ვარდების რევოლუციით“ მოსული ხელისუფლება მისი პოლიტიკის გაგრძელება იყო. ბუშმა თბილისში ჩამოსვლისას აღნიშნა კიდევ ეს. ბუში მთლად ობიექტური „ვარდების რევოლუციის“ მიმართ ვერ იქნებოდა. ობამა არ არის „ვარდების რევოლუციის“, ამიტომ სავარაუდოა, რომ თუ დარღვევები დაინახა ამერიკამ, მერე ფეხდაფეხ მიჰყვება ხოლმე ევროპაც, ის ამ შეფასებებში არ იქნება ლმობიერი. დარღვევების გამო დიპლომატიურ ურთიერთობებს იშვიათად წყვეტენ და ძალიან ძმაფრი რეაქციები არ იქნება, მაგრამ შეფასებები ალბათ იქნება.

— რას იტყვით მერობის კანდიდატებზე? და რამდენად შეძლებს ოპოზიცია ერთიან კანდიდატზე შეთანხმებას პრაიმერის გ ზით?

— პრაიმერი ჩატარდება თუ არა ამაში არ ვარ დარწმუნებული. თუ ერთიან კანდიდატზეა საუბარი, ეკვ ვხედავ იმის აუცილებლობას, რომ ეს კანდიდატი ოპოზიციამ პრაიმერით გამოავლინოს. ლევან გაჩჩილაძე, შიდა პოლიტიკური კენჭისყრით გადაწყდა, რომ ყოფილიყო ლიდერი და საკმაოდ სერიოზული პოლიტიკური ბრძოლა ჰქონდა მას, როგორც ლიდერს მიხეილ სააკაშვილთან. რომელი მექანიზმით გამოიკვეთება კანდიდატი ეს შეიძლება არ იყოს გადამწყვეტი.

— თუმცა, ბატონო რამაზ, პრობლემა ის არის, რომ ოპოზიციაში ყველა თვლის, რომ თვითონ უნდა იყოს კანდიდატი, ვერ თანხმდებიან...

— ყველა საპროტესტო ხმა მერე ერთ კანდიდატთან მიდის, ვინც არ უნდა იყოს ეს. პრაიმერი საკმაოდ შრომატევადი პროცედურაა. ეს მინიარჩევნებია.

— მისი გაყალბებაც ადბათ ადვილია?

— რა არის გაუყალბებელი ამ ქვეყანაში. ფულს აყალბებენ და პრაიმერის გაყალბება რა გახდა. პრაიმერსაც აქვს თავისი სუსტი წერტილები. დასავლეთის პრაქტიკამ იცის ასეთი შემოხვევები. შეიძლება თუ სუსტი მეტოქე უნდა ხელისუფლების წარმომადგენელს ის შემოუშვებს პრაიმერში თავის ხალხს და ხმებს ჩაუყრის სუსტ მეტოქეს. პრაიმერში გავა სუსტი, დიდ პოლიტიკურ ბრძოლაში სუსტ მეტოქეს მიიღებს. ასეთი ლავირების საშუალებას იძლევა პრაიმერი.

— თუ ვერ მოახერხა ოპოზიციამ ერთ კანდიდატზე შეთანხმება, რა შანსები აქვთ, ამ შემხვევაში, ისევ წართმევენ ხმებს ერთმანეთს?

— ხმების წართმევის სერიოზული შანსია თუ ერთ კანდიდატზე ვერ მოხდა შეთანხმება. მაშინ შეიძლება სწორედ მაღალი ბარიერი აღმოჩნდეს ოპოზიციისთვის ხაფანგი. მონოლითურმა მმართველმა პარტიამ შეიძლება საგრძნობლად მეტი ხმა აიღოს, ვიდრე დანაწევრებულმა ოპოზიციამ.

წმინდა გიორგის სახით ღმერთმა საქართველოს მფარველი ანგელოზი მოუვლინა

ნათია ხურცილავა

ქართველი ხალხი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს წმინდა გიორგის. ეს წმინდანი განსაკუთრებით უყვართ, მისი სახელობის 365 ტაძარია საქართველოში. წმინდა გიორგი, ღვთისმშობელთან ერთად, ჩვენი ქვეყნის მფარველია.

23 ნოემბერს გიორგობას მარტო ქართველები აღნიშნავენ

გვესაუბრება წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესიის მოძღვარი, დეკანოზი მამა გიორგი სხირტლაძე.

— მამა გიორგი, გვიამბეთ წმინდა გიორგის ცხოვრებისა და მისი მოწამეობრივი აღსასრულის შესახებ...

— წმინდა გიორგი მე-3 საუკუნის მეორე ნახევარში კაბადოკიაში, მდიდარ ქრისტიანულ ოჯახში დაიბადა. მამამისი მოწამეობრივად აღესრულა. დაქვრივებულმა დედამ შვილის ქრისტიანულად აღზრდა განაგრძო. ჭაბუკი გიორგი რომის ლაშქარში განმწესდა მხედრად. ახოვანმა, მამაცმა და უშიშარმა მეომარმა მალე იმპერატორ დიოკლეტიანეს ყურადღება მიიპყრო. მან რაზმის უფროსად დანიშნა გიორგი და მხედართმთავრის მაღალი წოდებაც უბოძა. კერპთაყვანისმცემელმა იპერატორმა თავისი გამგებლობის ბოლო წლებში სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ქრისტიანობას. მან სრული თავისუფლება მიანიჭა ქრისტეს მიმდევრების დასასჯელად მმართველებს. ეს რომ შეიტყო გიორგიმ, გაათავისუფლა თავისი მონები, ქონება გლახაკთ დაურიგა, საჯაროდ აღიარა ქრისტიანობა, სენატში გამოცხადა და ყველას მოუწოდა, ჭეშმარიტი სარწმუნოება მიეღოთ. „ეე მონა ვარ ქრისტესი, ღმრთისა ჩემისა და მსახოველი მისი. საკუთარი ნებით წარვმსდგარვარ თქვენ წინაშე, რათა ვეწამო ჭეშმარიტებისთვის“. თავისი მხედართმთავრის ამ კადნიერი სიტყვით თავზარდაცემულმა დიოკლეტიანემ სცადა დაერწმუნებინა იგი, რომ განდგომოდა ქრისტეს და მსხვერპლი შეეწირა კერპებისთვის. წმინდანმა უთხრა: „ვერავითარი ამასოფლიური დიდება ვერ შეანელებს ჩემს სურვილს, რომ ვემსახურო ჭეშმარიტ ღმერთს“. განრისხებულმა მეომრებმა შუბის კვრით დააპირეს გაყვანა, მაგრამ წმინდანის სხეულზე შეხებისას რკინა რბილდებოდა და იდრიკებოდა. საპყრობილეში დიდი ლოდი და ბორკილები დაადეს, ნაწამები იმპერატორს წარუდგინეს. განრისხებულმა დიოკლეტიანემ ბრძანა, ყელზე ძმიმე სატანჯველითა ეწამებინათ. დიდი მოწამე მბრუნავ ბორბალზე დაკრეს, რომლის ქვეშაც წვერბასრი რკინისმახვილებიანი ძელი დაუდეს. დიოკლეტიანემ იფიქრა, რომ იგი უკვე აღესრულა და ბრძანა, სხეული ბორბლიდან ჩამოეხსნათ. ამ დროს სასწაული მოხდა, უცებ ჩამობნელდა და ჭექა-ქუხილი დაიწყო. მაღლიდან ხმა მოისმა: „ნუ გეშინიან, გიორგი, მე შენთან ვარ“. ბორბალთან უჩვეულო ნათლით მოსილი ჭაბუკი გამოჩნდა, ხელი შეახო მოწამეს და უთხრა: „გიხაროდეს“. წმინდა გიორგი სრულიად უვნებელი წამოდგა. დიოკლეტიანემ როდესაც ნახა ცოცხალი გიორგი, თვალებს არ დაუჯერა. იმპერატორის განკარგულებით, წმინდა გიორგი ღრმა ორმოში ჩააგდეს და თავზე გახურებული კირი დააყარეს. სამი დღის შემდეგ წმინდანი ისევ უვნებელი იყო. იმპერატორის ბრძანებით, ლურსმნებგაყრილი რკინის გავარვარებული ჩექმები ჩააცვეს და ცემით ნაიყვანეს საპყრობილემდე. წმინდანს ორი სისხლით სავსე თასი შეასვეს. პირველ თასს ის მორჩილი უნდა გაეხადა, მეორეს კი უნდა მოკლა. დიოკლეტიანემ წმინდანს დაავალა, ქრისტიანობის ჭეშმარიტების დასამტკიცებლად მიცვალებული აღედგინა მკვდრეთით. მიწა იძრა, საფლავი გაიხსნა და მიცვალებული მკვდრეთით აღდგა. ამის შემდეგ კიდევ შესთავაზა დიოკლეტიანემ ქრისტეს უარყოფა წმინდანს, მაგრამ ამის პასუხად მან კერპებისთვის ჯვრის გარდასახვა მიიღო. დიოკლეტიანემ წმინდა გიორგი სიკვდილით დასაჯა. ანდერძის თანახმად, წმინდანის სხეული პალესტინის ქალაქ რამალაში დაკრძალეს, შემდეგ კი ქალაქ ლიდიაში გადაასვენეს. წმინდა გიორგი 30 წლის ასაკში ეწამა.

— ეკლესია წმინდა გიორგის ხსენებას ორჯერ, 6 მაისს და 23 ნოემბერს დღესასწაულობს. 23 ნოემბერი მისი ბორბალზე წამების დღეა. როგორც ვიცით, 23 ნოემბერი, როგორც „ქართული დღესასწაული“, ისე მოიხსენიება. რატომ?

— მართლაც, ქართულ კალენდარში 23 ნოემბერი აღნიშნულია, სხვა მართლმადიდებელი ეკლესიის კალენდარში არ არის აღნიშნული. 6 მაისი მისი თავის კვეთის, ანუ გარდაცვალების, მიწიერი ცხოვრების დასასრულის დღეა. რა თქმა უნდა, ორივე თარიღი საგულისხმოა ჩვენთვის, განსაკუთრებით საქართველოში, რადგან წმინდა გიორგი ჩვენი ერის მფარველი ანგელოზია. ისე, როგორც თითოეულ ადამიანს, ასევე ყველა ერსაც ჰყავს თავისი მფარველი ანგელოზი, განსაკუთრებით ისეთ მართლმადიდებელ ქრისტიან ერს, როგორიც ქართველი ერია. საქართველოს ღმერთმა მფარველი ანგელოზი მოუვლინა, ყოველი ბორბლებისგან დამცველი. განსაკუთრებით პატივცემულია საქართველოში წმინდა გიორგი, როგორც ჩვენი პატრონი წმინდანი. ამიტომ მისი ბორბალზე უმძიმესი წამების დღე, პირველი მკვლელობის დღე, 23 ნოემბერს აღინიშნება, რამდენჯერაც მოკლეს წმინდა გიორგი, იმდენჯერ დაგოცხლდა, ღმერთმა მკვდრეთით აღადგინა. ერთ-ერთი ყველაზე დიდი საშინელი წამება, მინიერი განსაცდელი ბორბალზე წამება იყო, რომლის დროსაც მან სიცოცხლისთვის არაადეკვატური ჭრილობები მიიღო, მაგრამ ღმერთმა აღადგინა. საოცარია ბოროტი ძალების, ამ შემთხვევაში დიოკლეტიანეს სულიერი სიბრმავე და სიბნელე, როდესაც ის მკვდრეთით აღმდგარ ადამიანს ხედავს და მაინც არ სწამს ქრისტე. საოცარია ღვთის სასწაულები წმინდა გიორგის ცხოვრებაში აღსრულებული, რომელიც მეტყველებს და მოწმობს, თუ რა შეუძლია ღმერთს, რა გარდაქმნა, რა მეტამორფოზა, როგორ შეუძლია, მომავალი მკვდრეთით აღდგომა მოასწავოს. ასეთი სასწაულებით მიწაზე მოასწავებს მომავალ მკვდრეთით აღდგომას. ბრძოლებისა და განსაცდელების ჟამს განსაკუთრებით გვახსენებს წმინდა გიორგი თავისი მოღვაწეობით იმ სულიერ გამოცდილებას, რომელიც ეკლესიამ დააგროვა. იმისთვის, რაც დღეს ჩვენთვის თითქოს თავისთავად ცხადია, იმ საიდუმლოებებისთვის, რასაც მართლმადიდებელი ეკლესია აღასრულებს, ეკლესიამ ზღვა სისხლი დღვარა, რომ ჩვენამდე ასეთი ცხადი ჭეშმარიტებები მოეტანა.

— დიოკლიტიანე ხედავს ღვთის სასწაულებს, მაგრამ მაინც არ სწამს ღმერთი. შეიძლება ეს პარალელი გავავლოთ თანამედროვე ადამიანთან?

— საოცარია ურწმენო ადამიანის პარადოქსული უარისმყოფელობა, შეუვალობა, უფასჯრობა. საოცარია იმ ადამიანის დევიზი, რომელიც ბნელ სარდაფშია ჩასული, თვალები აქვს დახუჭული და ამბობს, მზე არ არსებობსო. საოცრად პარადოქსულია ქრისტეს არმოლება. ჯერ კიდევ სახარებისეული ისტორიით, როდესაც ფარისევლები ხედავდნენ აშკარად აღსრულებულ სასწაულებს, საოცარი იყო მათი წინააღმდეგობა ჭეშმარიტებისა. ამას სულიწმინდის გმობაც ჰქვია, როდესაც ადამიანმა იცის, რომ ღმერთი არსებობს, იცის, რომ კეთილია, სასწაულს ახდენს, მაგრამ ჯიუტად თეორზე შავს ამბობს და არ იღებს. ეს ღვთის გმობა და მკრეხელობის უმაღლესი ფორმაა. მცირედ მორწმუნეც კი საოცრად განსხვავდება სრულიად ურწმუნოსაგან. ურწმუნო არის ტლანქი, უხეში, მოუქნელი. ის ემსგავსება იმ ხეს, რომელიც შიგნიდან არის გამოფიტული, შეიძლება დიდი იყოს, მაგრამ უცებ დაბერილმა ქარმა, განსაცდელმა გადატეხოს წელში, ხოლო მაღლით დარბილებული, თითქოს სუსტი და რბილი მცენარე, უფრო ჩვილი ხე (ადამიანი) შეიძლება გადაიხაროს, მაგრამ ისევ გაიმართოს, რადგან მაღლით არის დარბილებული. პარადოქსულია იმ ადამიანთა გულების ამღვრეულობა და შეუვალობა, რომელიც იწვევს ღვთის ნების უცნობელობას. განა არ შედის ღვთის ნება ყველაში? ურწმუნოშიც შედის, მაგრამ მისი ამღვრეული გული საკუთარ დაცემულ ნებასა და ბოროტის ნებას შორის ღვთის ნებას ვერ იძიებს, რადგანაც ამღვრეულ წყალში ვერაფერს პოულობს, ბნელ ფანჯარაში ვერაფერს ხედავს, ვერავითარ პეიზაჟს, ვერავითარ სივრცეს. მისი სულიერი ჰორიზონტი დახშულია. საოცარია დღევანდელ დღესაც ადამიანთა უგრძნობელობა. ვიმეორებ, სრულიად ურწმუნო რადიკალურად განსხვავდება თუნდაც მცირედ მორწმუნისგან, როგორც მძინარე მღვიძარისგან. მღვიძარე შეიძლება ფეხზე ამდგარი არ არის, ჩაცმული არ არის, მაგრამ ის ადეკვატურია, ნათელზე მის თვალებს რეაქცია აქვთ, როგორც ყვავილი, მზის სინათლისკენ არის მიმართული. როდესაც ადამიანს სძინავს, ძნელია ადეკვატური ზომების მიღება, რადგან ის ძილის დროს ვერანაირ რეაქციას ვერ ახდენს.

— განწირულია ასეთი ადამიანი თუ ხსნა მაინც არის?

— არა, რა თქმა უნდა, განწირული არ არის. უნდა ვიცოდეთ, რომ მისიის, ჯვრის გარეშე არც ერთი ადამიანი არ იბადება. არათუ ადამიანი, არამედ ყოველი ქმნილება გარკვეული მისიითა და აზრით არის დაბადებული. ეს ყველაფერი კანონზომიერია. ჩვენთვის არის ხოლმე შემთხვევითობა და გაუგებრობა. ეს ღვთის კანონზომიერებაში ჩაუნდადობის გამო გვეჩვენება. ყველა ადამიანს თავისი ჯვარი აქვს, მაგრამ იყენებს ადამიანი მისთვის ღვთის ხატად და მსგავსად მიცემულ უნარებს წაღმა თუ არ იყენებს? ნებისმიერ ადამიანს ღმერთი შანსს აძლევს მართლმადიდებელ ეკლესიაში მოსვლისას, სულიერი გამოღვიძებისას, ცოდვისაგან განწმედისას, კათარზისისას, თეოზისისას (განღმრთობა). საბედნიეროდ, ღვთის ნება ყველაზე მოქმედებს, როგორც წვიმა მართლებსა და ცოდვილებზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგი ჭურჭელი თავდახურულია და ეს წვიმის ბრალი არ არის. თუმცა, ეკლესია ამბობს, ნებისმიერი ადამიანი ახალგაზრდობაში თუ სიბერეში, სიცოცხლის დასაწყისში თუ ბოლოში, სამწუხაროდ, ზოგი იმქვეყნად არ არსებობს, რომ ღვთის არსებობის ფაქტის წინაშე არ დადგეს. რეალობა რეალობად რჩება. მორწმუნე ამას აღიქვამს, შესაბამისად, ურწმუნო კი — როგორც ილუზიას. ურწმუნო ადამიანში არის ისეთი სულიერი გაუხეშება, რომ ღამის დიოკლეტიანეს მიემგავსოს. რა თქმა უნდა, უფალი მოწყალეა, უყვარს მონანული ცოდვილი და სწყალობს მართალს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თუ ადამიანი ცოდვებში მკვიდრობს, ის მაინც ქრისტესია. ღმერთი ყველას გადახრის, მაგრამ არავის აძალებს, მოუწოდებს, მაგრამ ადამიანის ნებაზე ძალადობას არ ახდენს. ადამიანის გულის კარი შიგნიდან ღება. გულის გასაღები ჯვარია, რომელიც ღმერთმა მოგვცა ჩვენ. კარის გაღებას ზოგი გამტვრევას ეძახის, ზოგი კი — პატარა გასაღებით გაღებას. ამ შემთხვევაში გასაღები ჩვენთვის მოცემული ჯვარია. გული არასოდეს რჩება ცარიელი ან შედის მასში სული წმინდა და ივანებს მამა, ძე და სულიწმინდა ან მასში სხვა რეალობა შედის, ამ მხრივ ის შეიძლება სხვა ძალების მარაონეტი გახდეს. ამიტომ, მე ვიტყოდი, რომ დიოკლიტიანე ფარისეველთა დინასტიის სულიერი მემკვიდრეა, რომლებმაც ქრისტე აცვეს ჯვარს. ის ამიტომ აღასრულებს „შესანიშნავად“ იმ ბნელ მოვალეობას, რომელიც მას ჰქონდა. დიოკლიტიანე ღვთის სასწაულების მიუხვედრელობის გამო კი არ აკეთებს ამ ბოროტებას, არამედ ეს არის გაცნობიერებული ცოდვა. ამ მხრივ მისი ცოდვა ორმაგდება.

— მამა გიორგი, გაცნობიერებული ცოდვა ორმაგი ცოდვაა?

— ცოდვა, ბოროტება, რომელსაც ადამიანი შეგნებულად აკეთებს, ორმაგდება და ათმაგდება. ისიც უნდა ითქვას, რომ დღეს არცოდნა ღამის სათნოებად აქციეს. „არცოდნა არცოდვააო“, ამბობენ. დიოკლიტიანე არცოდნის გამო არ აკეთებს. მან შესანიშნავად იცოდა და გრძნობდა, რასთან და ვისთან ჰქონდა საქმე, მაგრამ იგი შეგნებულად ებრძოდა, როგორც შავი მაგიის ადეპტი. დღეს ამ აპოკალიტურ დროში არცოდნა განსაკუთრებული ცოდვაა.

— ქართველებისთვის რა დატვირთვა აქვს წმინდა გიორგის? ვიცით, რომ წმინდა გიორგი ხილულადაც და უხილავადაც ეხმარებოდა ქართველებს ომში. თუ იმასაც გვითვალისწინებთ, რომ ყოველი მეორე კაცი გიორგია საქართველოში...

— ყოველი ერი თავისი ცხოვრებისა და ბრძოლის განმავლობაში გარკვეულ სულიერ გამოცდილებას აგროვებს. არც ერთ ერს არ ეპატიება ისე გადახრა მართლმადიდებელი სარწმუნეობიდან, როგორც ჩვენ. არც ერთი არ ისჯება ისე, როგორც ჩვენ ვისჯებით. ჩვენ ძალიან დიდი გამოცდილება დავაგროვეთ ბოროტებასთან ბრძოლისა, ბევრი განსაცდელიც მიგვიღია და ბევრი დახმარებაც ღვთისგან. იმდენად დიდი მადლი დაგროვა ჩვენმა ერმა, რომ ამას ზოგჯერ ხილული სახეც ჰქონდა. ღვთის დახმარება მოდის, მაგრამ ზოგჯერ ამას ერი ვერ იღებს, ვერ აცნობიერებს, რომ ეს ღვთის დახმარებაა. ჩვენი გონება რომ გახსნილიყო და ღვთის ახლობლობა გვეგრძნო, ამ დახმარებას ხილული სახეც ჰქონდა. ზოგჯერ ბრძოლაში წმიდა გიორგის დახმარებას ხილული სახე ჰქონდა. როგორც წესი, უფალი, პირველ რიგში, უხილავად გვეხმარება, მაგრამ გააჩნია განსაცდელს, რისი გადატანაა უწევს ერს. ამიტომ შესაბამისი მსხვერპლიც მოეთხოვება, ანუ ღმერთი შესაბამის მსხვერპლს ითხოვს. ქრისტიანობა მსხვერპლის აპტრიტეტზეა აგებული. ქრისტე არის ის პირველი მღვდელმთავარი, რომელიც იყო შემწირველი, შეწირული და შესაწირავი და ამ შესაწირის მიმღებელიც. ქრისტიანობა მსხვერპლის რელიგიაა, მაგრამ სიყვარულის, სინანულის მსხვერპლის. ღმერთი ჩვენგან ითხოვს ადამიანურ, ქრისტიანულ გულს, რომელიც მონანულია. რამდენადაც ერი შეესაბამება სახარებისეულ სტანდარტებს, ამდენად დახმარება-განსაცდელი, ცოდვა-მადლი ჩვენზე ამდენად ირეკლება. ჩვენი პატრონი წმინდანი ასევეა ღვთისმშობელი. არც ერთ ერს არა აქვს ისეთი ახლობლობა ღვთისმშობელთან, როგორიც ქართველს. არც ერთ ქვეყანას ზეციური დახმარების, გამოწვდილი ხელის ისეთი ნიშნები არ უგრძნია, როგორიც საქართველოს. დღეს ჩვენ ვცხოვრობთ თითქმის აპოკალიპტურ დროში. მე ვურჩევდი ადამიანებს, რომ იოანე ღვთისმეტყველის „აპოკალიფსი“ ანუ „მეორედ მოსვლის გამოცხადება“ წაიკითხონ. ამ გზაზე, რაზეც ჩვენ ვდგავართ, შენევნა ღვთისა უფრო ცხადი და გაცნობიერებული გახდება. დღეს, როდესაც ადამიანი უამრავ ალტერნატივას აწყდება, მარჯვნივ წავიდეს თუ მარცხნივ, ამ ტრანსპორტში ჩავდეს თუ იმ ტრანსპორტში და ა.შ. დღეს, როგორც არასდროს, გვჭირდება განწმენდილი გული, რომ ცხადად გამოვარჩიოთ ღვთის ნება, ჩვენში შემომვალი, თუ რა უნდა ამ ეტაპზე ჩვენგან ღმერთს, რას ითხოვს ჩვენგან უფალი, როგორც ცალკეული მორწმუნეებისაგან, ასევე მთლიანად ერისგან.

— როგორ უნდა აღნიშნოს მართლმადიდებელმა ოჯახმა გიორგობის დღესასწაული? არიან ოჯახები, რომლებიც ამ დღესასწაულზე მხოლოდ ქეიფით შემოიფარგლებიან. თქვენ რას ურჩევთ ამ ხალხს?

— ეს დღესასწაული ყოველთვის დაკავშირებულია წირვასთან, ლოცვასთან, სიხარულთან, სულიერ ზეიმთან და არა აღვირახსნილ ღრეობასთან და სისხლიან მსხვერპლთან, თითქმის წარმართულ დონემდე დასულ ცხოველების შეწირვასთან, რომელიც, უკეთეს შემთხვევაში, ძველი აღთქმის გადმონაშთია, უარეს შემთხვევაში კი წარმართობაა. უკეთესი იქნება, ნაკლები ყურადღება დაეთმოს დღესასწაულის პომპეზურობას, უფრო შინაგანი დღესასწაული უნდა იყოს. დღესასწაულების მხოლოდ გასტრონომიული, გარეგნული ტიპის აღნიშვნებისგან უნდა გამოვიდეთ. თვითანალიზის, სულიერი გამოცდილების, ზიარების, ერთმანეთის თანაგანცდის, ერთმანეთის შეწევნის, დარღვეული სულიერი ბალანსის, მთლიანობის აღდგენისკენ უნდა იყოს მიმართული ყველა დღესასწაული, თუმცა არ შეიძლება, მხოლოდ სულიერად აღვნიშნოთ გიორგობა. ჩვენ მიწაზე ვიმყოფებით და ადამიანს აქვს როგორც სული, ისე — სხეული. სხეულებრივი, ხილული სახითაც უნდა იქნეს აღნიშნული გიორგობა, მაგრამ, თუ პირველ ადგილზე არ იქნება მისტიკური, მართლმადიდებლური წირვა-ლოცვა, როგორც უმაღლესი ფასეულობა, ჩვენი ადგილიდან დაძვრა გაჭირდება. ყოველი გიორგობა ჩვენი სულიერი კალენდარის მნიშვნელოვანი დღეებია. ეს არის ის ბარომეტრი ჩვენი იმ სულიერი მდგომარეობისა, რომელშიც ერი და მისი შემადგენელი ინდივიდები იმყოფებიან.



ყოველი ეჩი თავისი ცხოვრებისა და ბრძოლის განმავლობაში გარკვეულ სულიერ გამოცდილებას აგროვებს. არც ერთ ერს არ ეპატიება ისე გადახრა მართლმადიდებელი სარწმუნეობიდან, როგორც ჩვენ. არც ერთი არ ისჯება ისე, როგორც ჩვენ ვისჯებით. ჩვენ ძალიან დიდი გამოცდილება დავაგროვეთ ბოროტებასთან ბრძოლისა, ბევრი განსაცდელიც მიგვიღია და ბევრი დახმარებაც ღვთისგან. იმდენად დიდი მადლი დააგროვა ჩვენმა ერმა, რომ ამას ზოგჯერ ხილული სახეც ჰქონდა. ღვთის დახმარება მოდის, მაგრამ ზოგჯერ ამას ერი ვერ იღებს, ვერ აცნობიერებს, რომ ეს ღვთის დახმარებაა.

გერა მამულაშვილი

იუმორისტები ყველაზე მოწყენილი ადამიანები ვართ

საქართველოში ყველაფერს ეშველა ფეხბურთის გარდა

„სიცილის ქახთველი დედოფალი", — ამ სათაუჩით ინტერვიუს მზია ჯვიჩიკაშვილთან უკჩინელი გამოცემა „დონეცკის საინფორმაციო ჩუხჩხები" აქვეყნებს. „ახალი თაობა" მასალას მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.

— რას ვაკეთებთ, როდესაც გვიჭირს? ან ვტირით, ანდა...მართალია, ვიცინით. ვკითხულობთ ანაკდოტებს, „კომედი-კლაბისგან" ვერ მოგვაცილებთ, ვიხედებით „მრუდე სარკეში" და იუმორისტებს ნამდვილ „ანშლაგს" ვუწყობთ.

ასეთ „ანშლაგში" ვნახე სწორედ პირველად მზია კვირიკაშვილი. ის საბავშვო ბაღის მუსიკალური მუშაკის როლში იყო, რიიალზე ბრწყინვალედ უკრავდა და პატარებთან საუბრისას ზუსტად ხატავდა არა მარტო საქართველოს პრობლემებს, არამედ მთელ ჩვენს პოსტსაბჭოთა ყოფას სასაცილოს ხდიდა. დარბაზი ცრემლებამდე ხარხარებდა! მე ვუსმენდი მახვილგონივრულ, ნაპერწკლოვან, არტისტულ მზიას და წარმოდგენაც კი არ შემეძლო, რომ ოდესღაც პირადად შევხვდებოდი ამ საინტერესო მსახიობს. მაგრამ ცხოვრება საოცრად არაპროგნოზირებადია. თბილი შემოდგომის ერთ საღამოს უცხო ენების ინსტიტუტის მასწავლებელმა ნინო ტორონჯაძემ დამირეკა:

— ჩვენთან გორლოვკაში სტუმრად მეგობრებთან ძალიან საინტერესო ადამიანები არიან. გინდათ შეხვდეთ? ხუთსართულიანი „ხრუშჩოვკის" შესასვლელში ნინო გამომცდელად იღიმოდა:

— *შეგიძლიათ გამოიცნოთ, რომელ ბინაში უნდა შევიდეთ?*

უშეცდომოდ ვრეკავ სწორედ იქ, სადაც საჭიროა, რადგან კარს იქით აშკარად ვიყავი, რა თქმა უნდა, ბევრს გამოვდიოდი საქართველოში, იშვიათად მიღებდნენ კინოში, მაგრამ ასეთ ამპლუაში, სერიოზულ კონკურსში მონაწილეობა არ მიმიღია. ჟიურიში ევგენი პეტროსიანი და ბორის ბრუნოვი იყვნენ. 60-70-იან წლებში ამ კინფერანსიეს პოპულარობა ძალიან მაღალი იყო. თითქმის ისეთივე, როგორიც რაიკინს ჰქონდა. დღეს ძალიან ბევრი ცნობილი მსახიობისთვის ის ეროგვარი საეტრადო მამა გახდა: ბრუნოვი რომ არ ყოფილიყო, ისინი შესაძლოა დაკარგულიყვნენ. ხოლო ბორის სერგეევიჩს შეეძლო მათი გამოსვლების გაერთიანება, მიწოდება და გაყიდვა. მაყურებლები მსახიობების გამოსვლებს შორის მის გამოჩენას მოუთმენლად ელოდნენ. ხოლო კონკურსანტებს შორის იმ წელს იყვნენ სვეტლანა როფკოვა, საშა ცეკალო, ვალენტინ კორკინი და ვიქტორ ოსტროუხოვი, ელენა სტეპანენკო. ოსტროუხოვები მაშინ გამარჯვებულები გახდნენ, ხოლო მე და ელენამ მეორე და მესამე ადგილები დავიკავეთ. მე ერთადერთი ვიყავი, ვინც პროგრამა საკუთარი რუსპუბლიკის ენაზე წარვადგინე. ეს მსმენელებისთვის გასაგები რომ ყოფილიყო, ტექსტი შევარჩიე ცეკვების, მუსიკის და პანტომიმის ელემენტების თანხლებით...

— *როგორ მოხდა, რომ ყველანი, ვისთანაც თქვენ იმ წელს ერთად კონკურსში მონაწილეობდით, ძალიან ცნობილი ადამიანები გახდნენ, ხოლო თქვენ საქართველოს ფარგლებს გარეთ ცოტანი თუ გიცნობენ?*

— სამწუხაროდ, ასე მოხდა. კონკურსის შემდეგ უმალვე მოსკონცერტში კონტრაქტი შემომთავაზეს, მაგრამ ვიფიქრე, ვიფიქრე და ... სახლში გავემგზავრე.

— *რატომ?*

— არ გავრისკე. მაშინ ჯერ კიდევ არავინ ფიქრობდა, რომ კავშირი ასე სწრაფად დაინგრეოდა. თბილისში მე ქვეყნის კულტურული ცხოვრებისგან მოწყვეტილად თავს არ ვგრძნობდი. იქ მქონდა ბინა, მყავდა დედა, შვილი. საჭირო იყო, რომ ყველაფერი ეს მიმეტოვებინა. მაშინ ისე გამოიყურებოდა, რომ ეს უფრო მისაღები გადაწყვეტილება იყო...

— *დღეს ნანობთ ამის შესახებ...*

— ზოგჯერ ვნანობ. ძალიან მიყვარს ჩემი ქართველი მაყურებელი, ისინი მადლიერი ადამიანები არიან, რომლებიც მზად არიან, რომ კონცერტებზე იცინონ და იტირონ. მაგრამ ...დღეს საქართველოში საკონცერტო მოღვაწეობით თავის გატანა ძალიან ძნელია.

— *და რას გთავაზობდათ მოსკოვი?*

— ერთი პერიოდი რეგინასთან „ანშლაგში" გამოვდიოდი. შემდეგ იყო ორწლიან კონტრაქტზე წინადადება და ტური დსთ-ს ქვეყნებში. მაგრამ ეს თითქმის კაბალური შეთანხმება იყო. ძალიან ბევრი და დაძაბული მუშაობა იყო საჭირო, მგზავრობები, სასტუმროები, მოუწესრიგებლობა... მე უკვე აღარ ვარ ახალგაზრდა ადამიანი და ჯანმრთელობაც ძველებური აღარ მაქვს, ინფარქტი გადავიტანე. ძალიან მსურდა

ისრაელში იმდენი ქართველია, რომ ებრაელები უკვე ქართული აქცენტით ლაპარაკობენ.

ქართული სამზარეულოს გემრიელი სუნი იგრძნობა. კარი გამოვიცანი იმიტომ, რომ საქართველო ჩემს გულში უკვე დიდი ხანია და მტკიცედ ცოცხლობს. ამ ქვეყანაში ორჯერ მომიწია ყოფნა. 1977 წელს „ენგურჰ ესის" მშენებლობაზე აფხაზურ ჯვარზენში, ხოლო 1984 წელს ახალგაზრდა მწერლების საკავშირო კონკურსზე „მსოფლიოს ფანტასტიკა მშვიდობისთვის ბრძოლაში", რომლის ჟიურის ხელმძღვანელიც უდიდესი ნოდარ დუმბაძე იყო.

დავეხეტებოდი სამეგრელოს მთებში, „მზიურის" ნორჩ მომღერლებს ვუსმენდი, შოთა რუსთაველის პროსპექტზე ვსეირნობდი, მცხეთის ტაძრის უძველეს ქვებს ვეხებოდი, საოცარ სპექტაკლებს ვუყურებდი პატარა, მაგრამ მთელს მსოფლიოში ცნობილ რეზო გაბრიაძის მარიონეტების თეატრში. და კიდევ — ცეცხლოვან ქართულ კერძებს მივირთმევდი, რომლის გასინჯვის მერე ცოტათი ქართველი ხდები!

საქართველოს სიცილის დედოფალი ზღურბლთანვე ისე შეგვხვდა, როგორც ძველ მეგობრებს, რადგან ჩვენ ძალიან ბევრი საერთო გვაქვს: ქვეყანა, რომელშიც ჩვენ გავიზარდეთ და რომლის ნამსხვრევებშიც ამჟამად ვცხოვრობთ. კულტურა, რომელიც ბევრ თაობაში ერთმანეთს შეერია. უნიჭო პოლიტიკოსები, რომლებიც ძველმა კომუნისტურმა ლიდერებმა გამოზარდეს და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რომელიც შეეხო „უცნობ ბომჟებს", „უბრალო" ოლიგარქებს და უდიდეს არტისტებსაც.

მზია არაჩვეულებრივი ადამიანია. საქართველოში მისი მონაწილეობის გარეშე არც ერთი იუმორისტული საღამო არ ტარდება. ის ქართული ფილარმონიის პროექტის „იუმორინას" აქტიური მონაწილეა. ქვეყნისთვის რთულ პერიოდში ცრემლების ფასად დადებითად მუხტავდა თავის მსმენელს და მათ უკეთეს მომავალ დროებაში არწმუნებდა. მზია წერს ლექსებს, მუსიკას, ხატავს, გადაღებულია „მოსფილმში" სამეელ გასპაროვთან კინოსურათებში „რა ხდება სახლში, როგორ არის საქმეები?" და „რისკის გარეშე"; კიდევ რეჟისორ ანდრეი მეზენცევთან ფილმში „ოლგა და კონსტანტინე". 2008 წლის ბოლოს რუსეთში ქართველების კავშირმა მოსკოვში საკუთარ თანამემამულეებს წინასაახალწლო საჩუქარი გაუკეთა: მზია კვირიკაშვილთან შეხვედრას ორგანიზება გაუკეთა. ის უბრალოდ ბრწყინავდა და მსმენელებს ერთ რამეში არწმუნებდა: ათასი პრობლემების მიუხედავად, ცხოვრება მშვენიერია და საოცარი.

მისი კარიერა იწყებოდა შორეულ 1985 წელს, გორკეში სასაუბრო ჟანრის მსახიობების საკავშირო კონკურსზე.

საუბრობს მზია კვრიკაშვილი:

— მე სცენაზე უკვე ახალბედა აღარ ვიყავი, რა თქმა უნდა, ბევრს გამოვდიოდი საქართველოში, იშვიათად მიღებდნენ კინოში, მაგრამ ასეთ ამპლუაში, სერიოზულ კონკურსში მონაწილეობა არ მიმიღია. ჟიურიმ ... ეს ... ...

შვიდკაცა იშლება, აღმასკომი შედგა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ფედერაციაში მუშაობაზე უარის თქმა კონკრეტულ საკითხებში პრეზიდენტთან შეუთანხმებლობაა.

— ახალ პრეზიდენტთან რთული სამუშაოა. ამასთან, როგორც შევატყვე, ჩვენ შორის ნდობა არ ჩანდა. საფეხბურთო საკითხებში ვერ ვთანხმდებოდით და შესაძლოა ეს უფრო გაღრმავებულიყო. გადავწყვიტე, ფედერაციაში არ მემუშავა, მაგრამ ქართულ ფეხბურთში დარჩენას ვაპირებ, — გვითხრა ნემსაძემ.

არადა, თავიდან ნემსაძე თითქოს ვიცე-პრეზიდენტიც კი უნდა გამხდარიყო, მაგრამ, როგორც ხედავთ, ვითარება შეიცვალა. როგორც ამბობენ, სიტუაცია მას შემდეგ გართულდა, რაც გურიის რეგიონული ფედერაციის არჩევნებში კახა ეტრალიძემ იმარჯვა. ფედერაციის დატოვება კი ნემსაძისთვის უცხო არ არის — 2007 წლის 13 მაისს უკვე პრეზიდენტად არჩეული, ერთ საათში გადადგა.

რაც შეეხება სიჭინავას გუნდის მეორე წევრს, წინა ფედერაციის ხელმძღვანელობასთან ოპოზიციურად დაპირისპირებულ ლევან ყიფიანს ყრილობაზე არმისვლის მიზეზი საპატიო ჰქონდა — საქართველოში არ იმყოფებოდა, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ სიჭინავას გუნდის წევრი აღმასკომში ვერ მოხვდა.

მოკლედ, 18 წევრი 30-მა დელეგატმა აირჩია, მათგან 2 ბიულეტენი ბათილად იქნა ცნობილი. საბოლოოდ კი აღმასკომმა ასეთი სახე მიიღო: ალექსანდრე ჩიკვაძე (ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი, 27 ხმა), გრიგოლ ცაავა (თბილისის ფეხბურთის ფედერაცია, 25), დავით ნამგალაური (ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირები, 24), ვახტანგ ქორიძე (აჭარის ფეხბურთის ფედერაცია, 24), სერგო კვარაცხელია (სამეგრელო-ზემო სვანეთის ფეხბურთის ფედერაცია, 24), გია ფირცხალავა (ქალთა ფეხბურთის ასოციაცია, 23), სერგო გაბელაია (სამხრეთ ოსეთის ფეხბურთის ფედერაცია, 23), მურად ანჯაფარიძე (აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია, 22), გია გეგეჭკორი (მსაჯთა და მსაჯთა დამკვირვებელთა კავშირი, 22), ლაშა მინდელი (ქვემო ქართლის ფეხბურთის ფედერაცია, 21), გოჩა როსტომაშვილი (კახეთის ფეხბურთის ფედერაცია, 21), გიორგი ასანიძე (საფეხბურთო კლუბი „სამტრედია, 21), გიორგი რევაზიშვილი (შიდა ქართლის ფეხბურთის ფედერაცია, 20), ვიტალი ჯრძელიშვილი (მცხეთა-მთიანეთის ფეხბურთის ფედერაცია, 20), გია შარაბიძე (რაჭა-ლეჩხუმის ფეხბურთის ფედერაცია, 20), ვალერი მანაგაძე (იმერეთის ფეხბურთის ფედერაცია, 19), კახა ებრაილი (გურიის ფეხბურთის ფედერაცია (19), ტარიელ ხაჩიძე (სამცხე-ჯავახეთის ფეხბურთის ფედერაცია, 17). მე-19 წევრი თავად სიჭინავაა.

აღმასკომში ვერ მოხვდნენ ქართული ფეხბურთში საკმაოდ ცნობილი სახეები — გურამ რუხაძე („ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტი, 10 ხმა), დიმიტრი რამიშვილი (პროფესიული ფეხბურთის ლიგა, 8), ლევან ყიფიანი (საქართველოს ფუტსალის ასოციაცია, 8), მურთაზ შელია (ცხინვალის „სპარტაკი", 7), ლექსო თოფურია („ლოკომოტივის პრეზიდენტი, 7), ბუბა ტყავაძე („დინამომ" მმართველი დირექტორი, 6).

როგორც ხედავთ, აღმასკომის წევრებს შორის არ არიან ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების ორგანიზატორი, პროფესიული ფეხბურთის ლიგა და ამ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების წარმომადგენელი, „სამტრედიის" გარდა. აღმასკომი თითქმის მთლიანად რეგიონულმა ფედერაციებმა შეავსეს. ვნახოთ, რას მოგვიანებს ასეთი სახეცვლილება.

აღმასკომმა დაკომპლექტებიდან 5 წუთში პირველი გადაწყვეტილებაც მიიღო — პრეზიდენტ ზვიად სიჭინავას მუშაობაში დაეხმარებიან: ვიცე-პრეზიდენტები — ალექსანდრე ჩიკვაძე და გია ფირცხალავა და პრეზიდენტის მრჩეველი მურთაზ ხურცილავა.

პროცედურის ჩატარების შემდეგ **ზვიად სიჭინავამ** ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა.

— გიორგი ნემსაძემ განაცხადა, რომ ფედერაციასთან გარკვეულ საკითხებზე ვერ შეთანხმდა და ამის გამო მოხსნა კანდიდატურა. თქვენ რას იტყვით ამის შესახებ?

— ნემსაძესთან არანაირი გართულება არ მაქვს. გაზეთებიდან გავიგე, რომ ფედერაციაში მუშაობაზე უარს ამბობს და მოგვიანებით ყველაფერს იტყვის — კი, ბატონო.

— თქვენს გუნდში განიხილებოდა ლევან ყიფიანიც, რომელიც აღმასკომში ვერ მოხვდა.

— ყიფიანს კანდიდატურა არ მოუხსნია, მაგრამ საჭირო ხმების რაოდენობა ვერ დააგროვა და აღმასკომში ამის გამო ვერ მოხვდა.

— აღმასკომში ვერ მოხვდა პროფესიული ლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილიც. როგორი იქნება მისი მომავალი ფედერაციაში?

— პროფლიგასთან მუშაობას ვაპირებ, მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატთან დაკავშირებით, რომლის ჩატარებასთან გარკვეული პრეტენზიები გამაჩნია და რაღაც ცვლილებები იქნება. ამის თამაობაზე დავსხდებით და დავილაპარაკებთ.

— პრეზიდენტის მრჩეველი 2 უნდა დაგესახელებინათ.

— ერთი მურთაზ ხურცილავაა.

— აღმასკომში ვერ მოხვდნენ საქართველოს ჩემპიონატში წამყვანი კლუბების ხელმძღვანელები და აქცენტი რეგიონულ ფედერაციებზე გაკეთდა. ეს რამდენად კარგია?

— აქცენტი ნამდვილად არ გაკეთებულა და არც მხოლოდ რეგიონები მოხვედრილა. გრიგოლ ცაავა, რა, თბილისს არ წარმოადგენს? არც არჩევანი გამიკეთებია პირადად — ეს ყველაფერი დელეგატებმა გადაწყვიტეს და, რაც მთავარია, რეგიონიც საქართველოა.

— აღმასკომის პირველი სხდომა როდის გაიმართება?

— 27 ნოემბერს. ცვლილებები აუცილებლად იქნება და საბოლოოდ ჩამოყალიბდება ფედერაციის საბოლოო შემადგენლობა. რაც ყველაზე მთავარია, მჯერა, რომ ეს აღმასკომი უბრალო ფორმალობა არ იქნება და ყოველწლიურად იმუშავებს ქართული ფეხბურთის წინსვლისთვის.

— რამდენი აქვს სადღესოდ ეალი ფედერაციას?

— როდესაც აუდიტის დასკვნა მზად იქნება, მაშინ ყველაფერს ვიტყვით. დავალიანება ნამდვილად არის, მაგრამ მიიახლოებთ რიცხვებზე საუბარი ამჯერად ნურაფერს ვიტყვით.

არასტუმართმოყვარე მასპინძლები

გაიმართა საქართველოს 21-ე ჩემპიონატის მე-15 ტურის მატჩები და აქედანვე გეტყვით, რომ ძალიან არასტუმართმოყვარე ტური იყო — ხუთივე მატჩში მასპინძლებმა იმარჯვეს. ტური საკმაოდ საინტერესო იყო სატურნირო თვალსაზრისით — საქართველოს 4 საუკეთესო გუნდი ერთმანეთში არკვევდა ურთიერთობას.

„ოლიმპი" — „დინამო" 1:0

1:0 აკინო (27)

„ოლიმპი": ჭანტურია, ს.თოდუა, აბრამიძე, ფრაგა, რეხვიაშვილი, დობროვოლსკი, იმედაშვილი, ბაბუნაშვილი (გველესიანი 90), ჯეირონიმო, აკინო (ჯონათასი 84), ჭედია

„დინამო": ლორია, შ.კაშია, გ.კაშია,კაკუბავა, თომაშვილი, მამუჩაშვილი (ქანთარია 90), ნემსაძე, ლექვთაძე (სიხარულიძე 82), ჯუფილი, მერებაშვილი, აკირეში

თამაში ორივე გუნდმა ფრთხილად დაიწყო. დინამოელთა მხრიდან ეს გასაკვირიც არ იყო — შესუსტებული შემადგენლობით მოთამაშე გუნდი კახა კაჰარავამ დაცვიდან ათამაშა და უფრო კონტრშეტევების იმედი ჰქონდა. რაც შეეხება რუსთაველებს, მათ კარგად ახსოვდათ პირველი წრეში მიღებული გაკვეთილი, როდესაც 0:4 წაგაეს „დინამოსთან" და ახლა უკვე ფრთხილობდნენ.

თამაში საშუალო ტემპში, მოედნის შუაგულში მიმდინარეობდა, მაგრამ თანდათან ეტყობოდა, რომ რუსთაველები ცენტრის დაპატრონებას ცდილობდნენ, ოდნავ შესამჩნევი მასპინძლის უპირატესობის გარდა, ხეირიანი არაფერი გამოსდიოდათ. მატჩის ბედი 27-ე წუთზე გადაწყდა — რუსთაველთა ბრაზილიელმა ლეგეიონერმა ანდერსონ აკინომ კუთხურიდან პირდაპირ კარში გაგზავნა ბურთი. ახლო ძელთან მიმავალ მრგვალ სფეროს გიორგი ლორიამ ვეღარ მიუსწრო და მუშტები მხოლოდ ხაზს შიგნით შეაგება. აღსანიშნავია, რომ ეს იყო აკინოს მე-15 გოლი 15 ტურში — შესაშური შედეგიანობით გამოირჩევა ბრაზილიელი ლეგეიონერი და სადღეისოდ საქართველოს ჩემპიონატში არა მარტო საუკეთესო ბომბარდირი, არამედ საუკეთესო ფეხბურთელობაზეც აცხადებს პრეტენზიას.

30-ე წუთზე გიორგი მერებაშვილის პასის შემდეგ აკირეში კარგად გადაიოდა, მაგრამ აბრამიძემ ჯარიმის ზღვაზე შეაჩერა დინამოელთა შტეკვა, რომელიც სუსტად დაარტყა მერებაშვილმა.

გატანილმა გოლმა კიდევ უფრო გაათამამა რუსთაველები და მოედნის ცენტრი სრულად ჩაიგდეს ხელში. მეტოქის კარისკენაც იწევდნენ, მაგრამ სტუმრებიც კარგად იცავდნენ თავს, ერთია, დინამოელებს შეტევაში არაფერი გამოსდიოდათ.

მეორე ტაიმიც მასპინძელთა უპირატესობით ჩატარდა, რამდენჯერმე მწვავედ შეუტიეს დინამოელთა კარს, მაგრამ ბოლო წუთებში ან სიზუსტე აკლდებოდათ, ანაც არასწორ გაგრძელებას პოულობდნენ. თავის მხრივ, არც „დინამოს" ანყობდა შედეგი და ცდილობდა, ანგარში გაეთანაბრებინა. მოედანზე მყოფი ფეხბურთელებით ეს არ გამოსდიოდათ და არც სათადარიგოთა სკამზე ეჯდათ ისეთი, რომელიც მათ შეტევებს გაამწვავებდა. ასეთი მოკლე სათადარიგოთა სკამი „დინამოს", ალბათ, ისტორიაში არ ჰქონია.

რაც დრო იწურებოდა, მით უფრო ნათელი ხდებოდა, რომ „ოლიმპი" მორიგ 3 ქულას მიითვლიდა. ასეც მოხდა. რაც ყველაზე მეტად სწორედ „დინამოს" არ ანყობდა — გუნდი უკვე თითქმის ჩამოშორდა საჩემპიონო ბრძოლას, რადგან ლიდერთან სხვაობა უკვე 16 ქულას შეადგენს. მართალია, ჩემპიონატის ნახევაზე მეტი ჯერ წინ არის, მაგრამ ჩვენს ჩემპიონატში მსგავსი ფაქტები არ ხდება.

„ზესტაფონი" — „ვიტ ჯორჯია" 1:1

1:0 კორღალიძე (4), 1:1 კვახაძე (50)

„ზესტაფონი": რ.კვახვაძე, ლობჟანიძე, ხიდეშელი, გ.ონიანი, ელიავა, დაუშვილი, ძარია (ნ.კვახვაძე 61), კორღალიძე (ბენაშვილი 46), გრიგალაშვილი, გელაშვილი, დვალი (ცხადაია 90)

„ვიტ ჯორჯია": მიქაბერიძე, ხურცილავა, ა.კვახაძე, ლომაია, ადამაძე (მგელაძე 58), რაზმაძე, გ.დათუნაიშვილი, ვასაძე, კახელიშვილი, ლიპარტია, კვარაცხელია (მელქაძე 79)

გაძეგება: კვახაძე (85), ვასაძე (90)

მეორე-მესამე ადგილებზე მყოფ „ზესტაფონსა" და „ვიტ ჯორჯიას" შორის სხვაობა 2 ქულა იყო და, რომ იტყვიან, 6-ქულიან მატჩს თამაშობდნენ იმერეთში. ამასთან, წაგებული გუნდი „ოლიმპსაც" სოლიდურად ჩამორჩებოდა და პირველობისთვის შანსებს გაიუარესებდა.

მატჩი მასპინძელთა შეტევებით დაიწყო და დისკვალიფიცირებული თორნიკე აფციაურის ნაცვლად მოედანზე მყოფმა ლევან კორღალიძემ ანგარიში გახსნა. მე-4 წუთზე სტუმართა კარში კუთხური დაინიშნა, რომელიც მცველებმა საჯარიმოდან პირდაპირ კორღალიძის ფეხზე გამოიტანეს და მანაც საჯარიმოს გარეგან ძლიერი დარტყმით გაიტანა. პირველ ტაიმში ორივე გუნდს ჰქონდა მცდელობა, ანგარიშში ცვლილება შეეტანა, მაგრამ ამაოდ.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე სტუმართა გუნდის კაპიტანმა ალექსანდრე კვახაძემ სტანდარტული სიტუაციის შემდეგ ანგარიში გაათანაბრა და თამაში კიდევ უფრო დაძაბა. ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ გუნდები ქულებს გაიყოფდნენ, მაგრამ ასე არ ფიქრობდა მურთაზ დაუშვილი, რომლის 85-ე წუთზე გატანილმა გოლმა „ზესტაფონს" გამარჯვება მოუტანა. ამ გოლის შემდეგ 2-2 ყვითელის ბარათის გამო „ვიტ ჯორჯიას" ჯერ კვახაძე გაუგდეს მოედნიდან, შემდეგ — გიორგი ვასაძე და მატჩიც, ფაქტობრივად, აქ დამთავრდა.

„სამტრედია" — „სპარტაკი" 2:1

1:0 ქორიძე (26), 2:0 ხაჭიპერაძე (70), 2:1 პ.დათუნაიშვილი (90)

დებიუტანტები არცთუ ურიგო ფეხბურთს თამაშობენ და უკვე იმდენი მოახერხეს, რომ სატურნირო ცხრილში მეხუთე ადგილისმდეც აღწევდნენ. იმერეთი პირველ ტაიმში დანინაურდნენ, რასაც მეორეში კიდევ ერთი მიამატეს. სტუმრები მხოლოდ ბოლოში გამოერკვნენ და ერთი ბურთის გაქვითვა მოახერხეს პაპელე დათუნაშვილის საჯარიმო დარტყმის შემდეგ, თუმცა მეტის გასატანად დროც აღარ ჰქონდათ დარჩენილი — „სამტრედიამ" ცხრილში ადგილი სწორედ „სპარტაკს" გაუცვალა.

„ბაია" — სიონი" 2:0

1:0 გუგუჩია (45), რ.ონიანი (70)

ზუგდიდელებს თავიანთ მოედანზე დაბრიყვებული ჰყავთ ბოლნისელები და, როცა უნდათ, მაშინ უგებენ. ახე მოხდა ამჯერადაც — მასპინძლებმა 2 უპასუხო გოლი გაუტანეს მეტოქეს და ბოლოსწინა ადგილს თავი დააღწიეს.

„ლოკომოტივი" — „ბაბჩა" 1:0

1:0 კაჭახიძე (72)

მოულოდნელად იმარჯვა „ლოკომოტივმა". გუნდს აქამდე მოგების გემო გასინჯული არ ჰქონდა და სწორედ იმ გუნდს მოუგო, რომელსაც ყველაზე მეტად სჭირდებოდა ქულები. ერეკლე კაჭახიძის ერთადერთმა გოლმა გაგრელები გასაჯარდ ზონაში შეინარცა.

საჯენრნიო ცხრილი:

1. ოლიმპი	15	11	3	1	37:10	36
2. ზესტაფონი	15	10	4	1	26:10	34
3. ვიტ ჯორჯია	15	8	5	2	23:15	29
4. დინამო	15	6	5	4	23:11	23
5. სამტრედია	15	6	2	7	22:31	20
6. სპარტაკი	15	5	4	6	19:24	19
7. სიონი	15	3	5	7	10:23	14
8. ბაია	15	3	3	9	14:23	12
9. გაგრა	15	3	3	9	15:26	12
10. ლოკომოტივი	15	1	4	10	5:21	7

ბომბარდირები: აკინო (ოლიმპი) — 15 ბურთი, ვახტანგ კვარაცხელია („ვიტ ჯორჯია"), ნიკა გელაშვილი („ზესტაფონი) — 10-10, გიორგი გაბედავა (გაგრა) — 9.

შედეგები

ფეხბურთი

ევროპის ჩემპიონატი. შესახრევი ეტაპი (21)

ანდორა-ფაროერები 1:1

ინგლისი. პრემიერლიგა

ლივერპული-სიტი 2:2
ბარნლი-ასტონ ვილა 1:1
ბირმინგემი-ფულემი 1:0
სანდერლენდი-არსენალი 1:0
ჰალი-ვესტ ჰემი 3:3
ჩელსი-ვოლვზი 4:0
მანჩესტერი-ეფერტონი 3:0

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბარნსლი-კარდიფი 1:0
ვესტ ბრომვიჩი-ბრისტოლი 4:1
დონკასტერი-ქარ 2:0
ქოვენთრი-კრ.პალასი 1:1
ლუტერი-პლიმუთი 1:0
მიდლსბრო-ნოტინგემი 1:1
რედინგი-ბლეკპული 2:1
უოტფორდი-სკანთორპი 3:0
შეფილდი-პიტერბრო 1:0
იფსვიჩი-უენსდი 0:0

იტალია. სერია ა

ბოლონია-ინტერი 1:3
ფიორენტინა-პარმა 2:3

იტალია. სერია ბ

ალბინოლეფე-მოდენა 0:3
ასკოლი-ანკონა 1:3
ბრეშა-ლეჩე 1:0
გალიპოლი-მანტოვა 0:0
გროსეტო-სალერნიტანა 2:2
კროტონე-რეჯინა 1:1
პადოვა-ემპოლი 2:3
სასუოლო-პიაჩენცა 1:2
ტრიესტინა-ჩიტადელა 2:0

ესპანეთი. პირველი დივიზიონი

დეპორტივო-ატლეტიკო 2:1
ტენერიფე-სევილია 1:2
რეალი-რასინგი 1:0
ბილბაო-ბარსელონა 1:1

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ხირონა-კადისი 4:0
ლას პალმასი-კასტელონი 2:2
ლევანტე-კორდობა 0:0
მურსია-რეალ უნიონი 3:0
სელტა-ვალეიარეალი ბ 0:2
ტარაგონა-რაიონ 1:1
უესკა-ალბასეტე 2:1

გერმანია. ბუნდესლიგა

აინტრახტი-გლადბახი 1:2
ვოლფსბურგი-ნიურნბერგი 2:3
კიოლნი-ჰოფენჰაიმი 0:4
ფრაიბურგი-ვერდერი 0:6
შალკე-ჰანოვერი 2:0
შტუტგარტი-ჰერტა 1:1
დორტმუნდი-მაინცი 0:0

გერმანია. II ბუნდესლიგა

ჰანზა-კაილრსრუე 2:1
ობერჰაუზენი-ფრანკფურტი 1:3

საფრანგეთი. I ლიგა

ბორდო-ვალანსიენი 0:1
გრენობლი-ლიონი 1:1
ლანსი-ნანსი 2:1
რენი-ლე მანი 2:1
ოსერი-მონაკო 0:0

ჰოლანდია. ეჰედივიზიონი

როდა-აალბაარი 2:4
ბრედა-ნაიმეგენი 3:3
ვალვაიკი-გრონინგემი 3:1
ტვენტე-ვიტესი 1:0

ბელგია. პროლიგა

გენტი-სტანდარტი 2:1
ანდერლეხტი-ლუზელარე 3:1
ბრიუგე-ბეერსხოტი 1:2
ვესტელრო-ლოკერენი 1:2
ზულკრონი-შარლეროუ 4:1
სტ.ტრუიდენი-სერკლი 1:1

ავსტრია. I ბუნდესლიგა

კარტნენი-მატერსბურგი 0:3
კაფენბერგი-ზალცბურგი 0:2
ნოიშტადი-ლინცერი ..... გად.
შტურმი-რიდი 0:2

შოტლანდია. პრემიერლიგა

ჰართსი-სტ.ჯონსონი 1:2
რეინჯერსი-კილმარნოკი 3:0
მოზერველი-აბერდინი 1:1
სტ.მირენი-ჰიბერნიანი 1:1
ფალკირკი-ჰამილტონი 2:0

საბერძნეთი. სუპერლიგა

კავალა-აეკ 2:1
ქსანთი-ლევადიაკოსი 1:0
იანინა-ოლიმპიაკოსი 2:2

თურქეთი. სუპერლიგა

გაზიანთეი-ბურსა 0:1
ბეშიქთაში-ფენერბახჩე 3:0

ხუთეთი. პრემიერლიგა

ამკარი-ხიმკი 2:0
დინამო-ლოკომოტივი 0:2
რუბინი-ზენიტი 0:0
სატურნი-კრ.სოვეტოვი 3:1
სპარტაკი(მ)-ცსკა 2:3
ტერეკი-ყუბანი 0:1
ტომი-როსტოვი 2:1
მოსკვა-სპარტაკი(ნ) 0:2

ნალჩიკელთა პირველი გოლი დავით სირაძეს გაიტანა

ჩეხეთი. გამბჰინესლიგა

კლადნო-ბოჰემიანსი 1905 ..... 1:2
ბრნო-ბუდეიოვიცე 0:3
ვიქტორია-ბოჰემიანსი 3:2
პრეიბრეგანი-სლოვაკეკო 2:0
სპარტა-ლიბერეცი 2:0
იაბლონეცი-სლავია 1:1

პოლონეთი. ექსტრაელასი

პიასტი-არკა 2:2
ლეხი-რუხი 3:1
ლეჩჩა-ბელხატოვი 0:2
შლეინსკი-ოდრა 4:0

ღანია. სასლიგა

კიოგე-ნორდსიელანი 1:2
მიდტიელანი-ესბიერგი 3:0

ჩემპიონს ფეხბურთი

მსოფლიოს ჩემპიონატი

ნახევრადფინალები

ბრაზილია-პორტუგალია 8:2
შვეიცარია-ურუგვაი 7:4

კალათბურთი

ნბა. ჩეხეთხეული ჩემპიონატი

ნიუ ჯერსი-ნიუ იორკი 91:98
კლიველენდი-ფილადელფია 97:91
მემფისი-მილუოკი 98:103
ნიუ ორლეანი-ატლანტა 96:88

ზაზა ფაჩულია: 8 ქულა, 5 მოხსნა

სან ანტონიო-ვაშინგტონი 106:84
ჰიუსტონი-საკრამენტო 113:106
დენვერი-ჩიკაგო 112:93
იუტა-დეტროიტი ..... 100:97(ოტ)
პორტლენდი-მინესოტა 106:78

ფრენბურთი

მსოფლიოს თასი

ბრაზილია-ეგვიპტე 3:0
პოლონეთი-ირანი 3:1
კუბა-იაპონია 3:0

ხელბურთი

საეთაშორისო ტენინი. ქალები

უკრაინა-ჰოლანდია 28:27
უნგრეთი-პოლონეთი 32:22
რუსეთი-ხორვატია 35:30
ნორვეგია-რუმინეთი 34:31

რაგბი

ამხანაგური მატჩები

იტალია-ს.აფრიკა 10:32
ინგლისი-აბ.ზელანდია 6:19
უელსი-არგენტინა 33:16
საფრანგეთი-სამოა 43:5
ირლანდია-ფიჯი 41:6
შოტლანდია-ავსტრალია 9:8

ჰოკეი

ნჰლ. ჩეხეთხეული ჩემპიონატი

ლოს ანჯელესი-კალგარი 2:5
ატლანტა-პიტსბურგი 2:3
კაროლინა-ტამპა ბეი 3:1
მონრეალი-დეტროიტი ..... 2:2(0:1ბ)
ოტავა-ბუფალო 5:3
რეინჯერსი-ფლორიდა 2:3
ტორონტო-ვაშინგტონი ..... 1:1(1:0ბ)
დალასი-ნიუ ჯერსი 5:3
ნეშვილი-კოლამბუსი ..... 3:3(1:0ბ)
სენტ ლუისი-აილენდერსი 4:1
ფინიქსი-ფილადელფია 3:1
ანაჰაიმი-სან ხოსე 2:3
ედმონტონი-ჩიკაგო 2:5

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა



დღის კალენდარი

23 ნოემბრისთვის

წლის 327-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 38 დღე.

საეკლესიო კალენდარი

25-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. ორშაბათი. ხსენება წმიდა დიდმოწამისა და ძლევამოსილი გიორგისა.წმიდა გიორგი ხორციელად ნათესავი იყო წმინდა მოციქულთასწორი ნინოსი — ქართველთ განმანათლებლისა.

წმიდა გიორგი დაიბადა III საუკუნეში კაბადოკიაში, ქრისტიანულ ოჯახში. ადრე დაქვრივებულ დედას იგი პალესტინაში წაუყვანია და იქ აღუზრდია.გიორგი რომის ლაშქარში მსახურობდა და თავის სიმამაცით იმპერატორ დიოკლტიანეს ყურადღება მიუპყრია. მალე მისი პირადი მცველი და შემდეგ მისი მხედართმთავარიც გამხდარა.

კერპთაყვანისმცემელმა დიოკლტიანემ ბრძოლა გამოუცხადა ქრისტიანობას, გიორგიმ თავისი ქონება გლახაკთ დაურიგა და წინ აღუდგა იმპერატორს. წმინდა გიორგი სიკვდილით დასაჯეს 303 წლის 23 აპრილს (ძვ.სტ.). მისი განსასვენებელი იერუსალიმის მახლობლადაა.

წმიდა გიორგის სასწაულთაგან ყველაზე უფრო ცნობილია მის მიერ გველეშაპის განგმირვა. საეკლესიო ხატებზეც იგი სწორედ ასეა გამოსახული — თეთრ ცხენზე ამხედრებული შუბით გველეშაპს კლავს.საქართველოში წმიდა გიორგის მოსახსენებლად აღიარებულია მისი ბორბალზე წამების დღე (23 ნოემბერი ახ.სტილით, 10 ნოემბერი ძვ. სტილით). ეს დღესასწაული თვით წმიდა ნინომ დაარსა, წმიდა გიორგის საგვემელ ურმის თვალზე ტანჯვათა მოსახსენებლად. აგრეთვე მოიხსენიება მისი აღსრულების დღე (6 მაისი ახ.სტილით, 23 აპრილი ძვ. სტილით).

ხსენება 70-თაგან წმიდა მოციქულების: ერასტისა, ოლიმპისა, როდიონისა, სოსიპატრესი, კვარტისა და ტერტრისა; მღვდელმოწამე მილისა, სპარსელი ეპისკოპოსისა და მისი ორი მოწაფის — ევორი ხუცისა და ევნომ დიაკვნისა; წმიდა მოწამეების: ორესტი მკურნალისა და კონსტანტი კახისა.

წმიდა მოწამე კონსტანტი კახი ზემო ქართლის ერისთავი იყო და VIII-IX საუკუნეებში ცხოვრობდა. იგი ცნობილი იყო, როგორც თავისი დიდი წარჩინებითა და სიმდიდრით, ისე ქრისტიანული ღვთისმოშიშებით. წმინდა კონსტანტიმ იერუსალიმშიც იმოგზაურა წმიდა ადგილების თაყვანისცემად, სადაც დიდძალი საფასუ უწყალობა ეკლესიებს, გლახაკებსა და წმიდა ქალაქის მკვიდრთ. სამშობლოში დაბრუნებული წმიდანი უწინდებური კეთილმსახურებით განაგრძობდა სათნო ცხოვრებას. ასე მიაღწია ღვთის ამ სათნომყოფელმა 85 წლის ასაკს. იმ ხანებში დამპყრობლებმა ქრისტიანთა სასტიკი დევნა დაიწყეს მთელს ქართლში. სხვებთან ერთად წმიდა კონსტანტიც შეიპყრეს და ქალაქ თბილისში მიჰგვარეს ამირა ბუღას, რომელმაც ბრძანა საპყრობილეში ჩაემწყვდიათ იგი, როგორც ქართლის ქრისტიანთა წინამძღოლი. მან მტკიცედ აღიარა რწმენა ქრისტესი, რისთვისაც წმიდანს თავი მოჰკვეთეს.ეს მოხდა 853 წლის 23 ნოემბერს (ახ.სტ.), დიდმოწამე გიორგის დღესასწაულზე.

დაიბადნენ:

1804 - ფრანკლინ პირსი, ამერიკის მე-14 პრეზიდენტი, გარდაიცვალა 1869 წელს.

1844 - რობერტ სეიმურ ბრიჯეზი, ინგლისელი პოეტი, გარდაიცვალა 1930 წელს.

1876 - მანუელ დე ფალია, გამოჩენილი ესპანელი კომპოზიტორი და პიანისტი. გარდაიცვალა 1946 წელს.

1870 - გიორგი ნათაძე, ქართველი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, მკვლევარი, გარდაიცვალა 1946 წელს.

1890 — გიორგი ჩიტაია, ეთნოგრაფი. გარდაიცვალა 1986 წელს.

1890 - არკადი გოცირიძე, ქართველი ფსიქიატრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, გარდაიცვალა 1954 წელს.

1903 - ელიზბარ ზედგენიძე, ქართველი მწერალი, გარდაიცვალა 1983 წელს.

1909 — ირაკლი აბაშიძე, პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1992 წელს.

1913 - გიორგი ყანჩაველი, ქართველი ენტომოლოგი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გარდაიცვალა 1982 წელს.

1924 - გიორგი გიგაური, სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი.

1933 — ერლომ ახვლედიანი, მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

1940 — რუსუდან ტოზაშვილი, მხატვარი.

1950 - ლაშა თაბუკაშვილი, მწერალი.

1951 - ჯონი ხეცურიანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე.

გარდაიცვალნენ:

1737 - ალექსანდრე ბატონიშვილი, კახეთის მეფის დავით II-ის უფროსი ვაჟიშვილი.

1866 - პოლ გავარნი (სიულპის გიიომ შევალიე), ფრანგი თვითნასწავლი გრაფიკოსი, ლითოგრაფიისა და აკვარელის ოსტატი.

1870 - პროსპერ მერიმე, ფრანგი მწერალი.

1932 - ლუი მალი, ფრანგი რეჟისორი.

1976 - ანდრე მალრო, ფრანგი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე.

1976 - გრიგოლ ცეცხლაძე, ქართველი პოეტი.

მოვლენები:

1866 წელი - თავდასხმა მოხდა რუსეთის მეფე ალექსანდრე II-ზე.

1906 წელი - გამოქვეყნდა სტოლიპინის მიწის კანონი, რომლითაც დაიწყო ცნობილი სტოლიპინის რეფორმა.

1923 წელი - გერმანიაში აიკრძალა კომუნისტური პარტია.

1924 წელი - მოსკოვის რადიომ დაიწყო თავისი პირველი სრულმასშტაბიანი რადიოგადაცემები.

1935 წელი - ამერიკელმა მკვლევარმა ლინკოლნ ელსუორტმა პირველმა გადაუფრინა ანტარქტიდას, უედელის ზღვიდან როსის ზღვამდე.

1936 წელი - გამოვიდა ამერიკული ჟურნალ „დიფე"-ის პირველი ნომერი.

1946 წელი - საფრანგეთის სამხედრო გემებმა დაბომბეს ვიეტნამის ნავსადგური ხაიფონი. ამ ინციდენტით დაიწყო ინდოჩინეთში საბრძოლო მოქმედებები, რომელიც ყველაზე ხანგრძლივი ომი იყო XX საუკუნეში.

1955 წელი - საბჭოთა კავშირში ააფეთქეს ატომური ბომბა, რომლის ენერგია 300-ჯერ უფრო მეტი იყო ჰიროსიმაში აფეთქებულ ბომბზე.

1974 წელი - ვლადივოსტოკში აშშ-ს პრეზიდენტის ფორდის და ბრეჟნევის შეხვედრაზე დაიწყო მოლაპარაკებები სამხედრო შეიარაღების შესახებ.

1987 წელი - ამერიკის სახელმწიფო მდივნის ჯორჯ შულცის და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ედუარდ შევარდნაძის შეხვედრისას ხელი მოაწერეს პროექტს საშუალო სიშორის ატომური რაკეტების განადგურების შესახებ.

2003 — თანამდებობიდან გადადგა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი გახდა პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე.

მედიანიუსი

მინდა, რომ ჩემი ქმარი ბედნიერი იყოს, შვილები კი — ჯანმრთელი

პოპულარული ამერიკელი მსახიობი ჯულია რობერტსი გათხოვების და დედად გახდომის შემდეგ დროის უმეტეს ნაწილს ოჯახს და შვილების მოვლას უთმობს. მიუხედავად ამისა, პროფესიონალურ საქმიანობაზე უარი არ უთქვამს და დროდადრო სხვადასხვა კინოპროექტებში მონაწილეობს ხოლმე. მისი ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ნამუშევარია ფილმი „შარლოტას აბლაბუდა", რომელშიც ჯულია რობერტსი ანიმაციურ პერსონაჟს, ობობა შარლოტას ახმოვანებს. ეს ზღაპარი ცდილობს დაარწმუნოს მაყურებელი, რომ დედამიწაზე ყველა ცოცხალ არსებას შორის კავშირი არსებობს.

— მარკ ტვენს თავის „ტომ სოიერის თავგადასავალში" აქვს ეპიზოდი, როდესაც ტომი შემთხვევით ობობას კლავს და მაშინვე ლოცვას იწყებს, თავისი საქციელისათვის პატიებას თხოულობს. თქვენ თუ კლავთ ობობებს?

— ახლა გაცილებით უფრო იშვიათად ვაკეთებ მას, ჩემთვის ეს ადვილი არ არის, რადგან შინ ორი პატარა ბავშვი მყავს. მაგრამ ვცდილობ წარმოვიდგინო, რომ ობობებიც ვიღაცის შვილები არიან და შემდეგ მეცოდებიან ხოლმე. ქილაში ვსვამ, შემდეგ სახლიდან გამომაქვს, თუმცა, ეს არც ისე სასიამოვნო საქმეა.

— რის თქმას ცდილობს ეს ფილმი, გარდა იმისა, რომ ობობების დახოცვა პუმანური არ არის, გარდა ამისა, ცუდი ნიშანია?

— ზოგმა შეიძლება იფიქროს, რომ ამ ფილმში რაც ხდება, ზღაპარია და მეტი არაფერი, მაგრამ ძალიან ხშირად ზღაპარივით საოცარი რამ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ხდება, უბრალოდ ჩვენ მას ყურადღებას არ ვაქცევთ.

— ამბობენ, რომ ბავშვობაში დარწმუნებული იყავით, ერთადერთი ადამიანი ხართ აქვეყნად, რომელსაც ცხოველებთან საუბარი შეუძლია.

— დიახ, ამიტომაც ვოცნებობდი ვეტერინარობაზე. მაგრამ რაც მთავარია, მინდოდა განსაკუთრებული ვეტერინარი ვყოფილიყავი, მე კი სკოლაში ჩვეულებრივ ბავშვად მიმიჩნევდნენ. არც სპორტული ვიყავი, არც სასაცილო, ლამაზად ლაპარაკი არ ვიცოდი და არც სიმპათიური ვყოფილვარ ოდესმე.

— თქვენი პესონაჟი ქეთრინ უილიუი ფილმში „მონა ლიზას ღიმილი" ამბობს, „კარგი ცოლი ყოველთვის აგრძნობინებს ქმარს, რომ ოჯახში ის არის მთავარი". თქვენც ასე ფიქრობთ?

— მე ვფიქრობ, რომ კარგი ურთიერთობები მანიპულაციებზე არ უნდა იყოს დამყარებული.

— რაზეა დამყარებული ქმართან თქვენი ურთიერთობა?

— ჩვეულებრივ, ამ თემაზე საუბრისას ვიტყუვები ხოლმე, ანუ ვიტყუვები ყველაფერზე, რაც ჩემს პირად ცხოვრებას ეხება.

— მაშ, საიდან გაჩნდა ისტორია, თითქოს თქვენმა მშობლებმა თქვენი დაბადებისას კლინიკის

გაგრძელება მე-11 გვერდზე

ნინა ნომერში გამოქვეყნებული ჯრუნვეხიდების პასუხები

კროსვორდი ა

ვერტიკალურად: 1. ხულო; 2. წრუტო; 3. აგუტი; 4. რუპია; 5. ლუხუნი; 6. გაგარინი; 8. ტრანსაქცია; 10. ქსენოფილია; 11. ნორმანები; 14. ჰუშერი; 15. ჟაკარი; 16. დანტე.

თარაზულად: 1. ხატწერა; 4. როლგანგი; 7. ლოლუა; 9. ციცქა; 12. ფირუზი; 13. მანგო; 14. პარიკი; 17. ოქსინო; 18. ტოლერანტობა; 19. მარტინი; 20. ბეისონი.

კროსვორდი ბ

ვერტიკალურად: 2. უმეცარი; 3. ხვასტაგი; 4. იზოლატორი; 5. ღვინო; 6. ასკანა; 8. ფიეტტა; 11. ზვარაკი; 14. ადრენალინი; 15. დანსინგი; 16. ნობელიუმი; 17. ტაიბეი; 19. ტავერნა; 21. პიტნა; 22. საბრა.

თარაზულად: 1. ცუცხვათი; 5. ღალა; 7. ჯაფარა; 9. ჰემატოლოგია; 10. კაზრეთი; 12. ინფანტი; 13. არომატი; 16. ნიკოლაძე; 17. ტილი; 18. ატილა; 20. ფენომენი; 22. სანტე; 23. გერგეტი; 24. უემბლი; 25. ნოინი.

ოფრა უინფრის შოუ 2011 წელს დაიხურება

ცნობილი ამერიკელი ტელეწამყვანის, ოფრა უინფრის შოუს პროდიუსერმა კომპანიამ გამოაცხადა, რომ 2011 წლის შემდეგ ეს პროგრამა ეთერში აღარ გავა.

ოფრა უინფრი თავის შოუს 1986 წლიდან უძღვება. ამ დროის განმავლობაში იგი აშშ-ის ყველაზე მდიდარ და გავლენიან ქალად იქცა.

კომპანია „ნაგროს" წარმომადგენლებმა შოუს დახურვის მიზეზებზე საუბრისაგან თავი შეიკავეს და განაცხადეს, რომ ტელევარსკვლავი თავად იტყვის, თუ რატომ გადაწყვიტა შოუს დახურვა.

როგორც ვარაუდობენ, ოფრა უინფრი საკუთარი ტელეარხის ამოქმედებაზე ფიქრობს.

ოფრა უინფრის შოუს ტრანსლირება მსოფლიოს 145 ქვეყანაში ხდება, თავად 55 წლის ვარსკვლავი კი დიდი ხანია, რაც კულტურულ ფენომენად და მსოფლიოს ყველაზე მდიდარ შავკანიან ქალად იქცა.

მისი შოუს რეპუტაცია იმდენად მაღალია, რომ მრავალი ვარსკვლავი მის შოუში მონაწილეობას დიდ პატივად მიიჩნევს. თავისი საიდუმლო ოფრა უინფრის ხალისით გაუმხილეს ისეთმა ვარსკვლავებმა, როგორიც არიან მაიკლ ჯექსონი, ტომ კრუზი. ამ უკანასკნელმა თავის ამჟამინდელ მეუღლეს, ქეთი ჰოლმსს სიყვარული პირდაპირ ეთერში აუხსნა.

ოფრა უინფრის მიერ შექმნილმა „ოფრას წიგნების კლუბი" არაერთი წიგნი აქცია ბესტსელერად, ხოლო ბევრი მიმომხილველი ბარაქ ობამას გამარჯვებაში გადამწყვეტ გარემოებად ოფრა უინფრის მხარდაჭერას მიიჩნევს.

დღეისათვის ოფრა უინფრის „იმპერია" საგამომცემლო ბიზნესზეც ვრცელდება, 2011 წლისათვის მის შემადგენლობაში უნდა შევიდეს „ოპრა უინფრის ქსელი".

ეს ქსელი უინფრისა და კომპანია „დისკავერი ქომუნიკეიშნზის" ერთობლივი პროექტი იქნება. იგი 70 მილიონამდე ამერიკულ ოჯახში „დისკავერი ჰელთ" აარხს შეცვლის.

ოფრა უინფროს შოუ კვლავინდებურად მაღალრეიტინგულ გადაცემად რჩება. მას ყოველდღიურად 7 მილიონი მაყურებელი უყურებს, თუმცა, ბოლო დროს მისდამი ინტერესი ორჯერ შემცირდა.

შოუს ჩვენების შეწყვეტამ კომპანია „სიბიესს" ძლიერი დარტყმა უნდა მიაყენოს, რადგან იგი ამ პროგრამის ჩვენების ლიცენზიისაგან პროცენტებს იღებს. პროგრამის ტრანსლირებას 200-მდე ადგილობრივი ტელეარხი ახდენდა და „სიბიესს" მოგება ასეულ მილიონობით დოლარს აღნევდა.

გ.ო.

სჩფყეჯ3ლბ



1. ქალის სამოსი; 2. ტბა აშშ-ში; 3. დედმამიშვილი; 4. მდინარე იტალიაში; 5. წყალში მოხარშული კომის ნაჭრები; 6. ...მონტანი; 7. ბალახოვანი სამხლე მცენარე; 8. ჰიგიენური დაწესებულება; 9. წყალხმელეთა ცხოველი; 10. ... გიბსონი; 11. რუსეთის საფეხბურთო გუნდი; 12. ვაჟიშვილი (არაბულად); 13. ქალბატონი (გერმანულად); 14. მოკლენინჩიანი სპორტული ნავი; 15. ნიაგი; 16. უქოჩრო თუთიყუში; 17. საშენი მასალა; 18. უსამა... ლადენი; 19. მაუგლის მეგობარი პითონი; 20. ...ეოტი; 21. პატარა ლირიკული არია; 22. იუპიტერის თანამგზავრი; 23. ესპანელი ფერმწერი; 24. სპირტიანი სასმელი; 25. ბაღჩეული კულტრა; 26. განთიადი, გარიჟრაჟი; 27. იაპონელთა ეროვნული სამოსი; 28. დიდი ზომის ქვევრმავალი; 29. ძვირფასი ქვა; 30. ღია მრუდი (მათემ.); 31. „აიდას" პერსონაჟი; 32. ერთგვარი შუბი; 33. მზის შუქი რამეზე დამდგარი (საბა).

შეადგინა ოლიგერ კოხაამ

23 — 28 ნოემბერი

ამინდის პროგნოზი

სოხუმი

23.11 ღრუბელი, დღისით — 14-15, ღამით — 7-8
24.11 მზე, დღისით — 16-17, ღამით — 10-11
25.11 ღრუბელი, დღისით — 17-18, ღამით — 8-9
26.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 13-14, ღამით — 3-4
27.11 მზე, დღისით — 13-14, ღამით — 6-7
28.11 მზე, დღისით — 15-16, ღამით — 6-7
29.11 მზე, დღისით — 15-16, ღამით — 6-7

ზუგდიდი

23.11 წვიმა, დღისით — 15-16, ღამით — 8-9
24.11 მზე, დღისით — 18-19, ღამით — 11-12
25.11 ღრუბელი, დღისით — 19-20, ღამით — 11-12
26.11 წვიმა, დღისით — 14-15, ღამით — 6-7
27.11 მზე, დღისით — 14-15, ღამით — 7-8
28.11 მზე, დღისით — 17-18, ღამით — 8-9
29.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 17-18, ღამით — 7-8

გალი

23.11 წვიმა, დღისით — 16-17, ღამით — 9-10
24.11 მზე, დღისით — 19-20, ღამით — 11-12
25.11 ღრუბელი, დღისით — 20-21, ღამით — 12-13
26.11 წვიმა, დღისით — 15-16, ღამით — 7-8
27.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 16-17, ღამით — 8-9
28.11 მზე, დღისით — 18-19, ღამით — 10-11
29.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 18-19, ღამით — 8-9

ქუთაისი

23.11 წვიმა, დღისით — 15-16, ღამით — 8-9
24.11 მზე, თოვლი, დღისით — 17-18, ღამით — 10-11
25.11 ღრუბელი, დღისით — 18-19, ღამით — 10-11
26.11 წვიმა, დღისით — 14-15, ღამით — 5-6
27.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 14-15, ღამით — 7-8
28.11 მზე, დღისით — 17-18, ღამით — 8-9
29.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 17-18, ღამით — 7-8

გორი

23.11 წვიმა, დღისით — 11-12, ღამით — 3-4
24.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 13-14, ღამით — 3-4
25.11 ღრუბელი, დღისით — 11-12, ღამით — 4-5
26.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 10-11, ღამით — 1-2
27.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 10-11, ღამით — 2-3
28.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 12-13, ღამით — 3-4
29.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 12-13, ღამით — 3-4

თბილისი

23.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 12-13, ღამით — 3-4
24.11 მზე, დღისით — 13-14, ღამით — 5-6
25.11 ღრუბელი, დღისით — 10-11, ღამით — 5-6
26.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 11-13, ღამით — 5-6
27.11 მზე, დღისით — 10-11, ღამით — 2-3
28.11 მზე, დღისით — 8-9, ღამით — 1-2
29.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 9-10, ღამით — 0-1

ბურჯაანი

23.11 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — -2 -1
24.11 მზე, დღისით — 10-11, ღამით — 1-2
25.11 ღრუბელი, დღისით — 10-11, ღამით — 1-2
26.11 ღრუბელი, დღისით — 10-11, ღამით — -2 -1
27.11 მზე, დღისით — 9, ღამით — 0-1
28.11 მზე, დღისით — 10-11, ღამით — 1-2
29.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 11-12, ღამით — 0-1

მანგლისი

23.11 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — 1-2
24.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 11-12, ღამით — 2-3
25.11 ღრუბელი, დღისით — 8-9, ღამით — 3-4
26.11 წვიმა, დღისით — 12-13, ღამით — 3-4
27.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 7-8, ღამით — 2-3
28.11 მზე, დღისით — 8-9, ღამით — 1-2
29.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 8-9, ღამით — 2-3

დმანისი

23.11 თოვლი, დღისით — 1-2, ღამით — -9 -8
24.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 6-7, ღამით — -8 -7
25.11 ღრუბელი, დღისით — 3-4, ღამით — -6 -5
26.11 თოვლი, დღისით — 0-1, ღამით — -12 -11
27.11 ღრუბელი, დღისით — 2-3, ღამით — -11 -10
28.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 5-6, ღამით — -10 -11
29.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 5-6, ღამით — -10 -9

სამგლოვიარო განცხადებები

ჯონი ქაგანიას მონატრება

ახლოვდება ტკივილიანი 40 დღე, რაც ჩვენთან აღარ ხარ. მოულოდნელი იყო შენი წასვლა ამქვეყნიდან. მაშინ შეწყდა შენი გულისცემა, როცა ყველაზე მეტად გწყეროდა სიცოცხლე. კეთილშობილი პიროვნება იყავი, უპრეტენზიო, განურჩევლად ყველა გიყვარდა, ყველას უყვარდი. ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალია, მაგრამ შენი მოლოდინისა და მონატრების გრძნობას ვერაფერი განკურნავს. შენს მეუღლესა და შვილს მუდამ სიკეთით სავსე და მოსიყვარულე ემახსოვრები. გვიძძიმს უშენობა დედ-მამას, ძმას, ოჯახის წევრებს, მეგობრებს, მეზობლებს.

ორმოცი დღე ბნელში ვარ,
გარს მაკრავს ცივი სამარე,
ვეღარ მოგიხვალთ, ბოლომდე
დავრჩები ასე მძინარე.

ჯონი

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული. გიხსენებთ მუდამ დიდი სიყვარულით.

ირაკლი, მიქაელის ოჯახი — ზარა, გურანდა და გენადი

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე. კვირის გარდა. 12-დან 17 საათამდე.

მინდა, რომ ჩემი ქმარი ბედნიერი იყოს, შვილები კი — ჯანმრთელი

დასაწყისი მე-10 გვერდზე

ანგარიშის გასტუმრება ვერ შეძლეს და იგი მეზობლებმა, მარტინ ლუთერ კინგის ოჯახმა გაისტუმრა?

— არ ვიცი, მაგრამ ნამდვილი სისულელეა. ჩვენი ოჯახები მართლაც მეზობლად ცხოვრობდნენ, მარტინის შვილები კი ჩემი მშობლების სამსახიობო სკოლაში სწავლობდნენ.

— თქვენი მშობლები ერთმანეთს რომ გაშორდნენ, ხუთი წლის იყავით, არა?

— დაახლოებით. როგორღაც ჩემს დას, ლიზას ვკითხე, რატომ მოხდა ისე, რომ მათ თვრამეტი წელი დასჭირდათ იმის გასაგებად, რომ ერთმანეთი არ უყვარდათ? მაგრამ ახლა ამ შეკითხვას არ დავსვამდი.

— მამაოქვენი განქორწინებიდან ცოტა ხნის შემდეგ გარდაიცვალა.

— რატომღაც არავინ მითხრა, რომ კიბო ჰქონდა. ამიტომ მისი სიკვდილი ჩემთვის სრული მოულოდნელობა იყო.

— როგორ იმოქმედა მამის გარდაცვალებამ თქვენს ცხოვრებაზე?

— მე ვფიქრობ, რომ ბავშვობაში რომელიმე მშობლის დაკარგვა, იგივეა, რომ სასწაულის რწმენა დაკარგო. მაგრამ მე ძალიან ახლოს ვიყავი ჩემს დასთან, გარდა ამისა, არ მტოვებდა შეგრძნება, თითქოს მამაჩემი ყოველთვის ჩემთან იყო, მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურად ჩემ გვერდით არ იმყოფებოდა. ეს შეგრძნება ჩემთვის დღემდე ძალიან ბუნებრივია.

— როგორი დაგამახსოვრდათ იგი?

— წაბლისფერი თვალები, ხვეული თქმა, ლამაზი მეტყველება. მე მგონი, ის ძალიან მომთმენი იყო, გარდა ამისა, სიამოვნების გემო იცოდა.

— ვის უფრო მეტად ჰგავხართ — დედას თუ მამას?

— მამას. დედისგან მხოლოდ ცხვირი გამომყვა.

— პირად პრობლემებში მშობლებს ხომ არ ადანაშაულებთ?

— არა, ეს ჩვეცად არასდროს მქონია. იცით, შემომრჩა ბავშვობაში გადაღებული ფოტოსურათი, სადაც მე პრკში ვარ ჩაცუცქული და რაღაც ნაგავს ვიდებ პირში. ვფიქრობ, რომ მშობლების ბრალი არ არის ის, რომ მათ შვილებს ათასგვარი ნაგვის გასინჯვის სურვილი უჩნდებათ.

— ამერიკაში ბავშვები, როგორც წესი, ადრეული ასაკიდან ინყებენ ხოლმე მუშაობას. რა ასაკში დაიწყეთ თქვენ მუშაობა?

— ცამეტი წლის რომ ვიყავი, ადგილობრივ პიცერიაში მოლარის სამუშაო ვიშოვე. შემდეგ ფეხსაცმელების მაღაზიაში ვმუშაობდი, მერე კაფეში და სასაუზმეში. სკოლის დამთავრების შემდეგ ნიუ იორკში წავედი, სადაც ლიზა სამსახიობო ოსტატობას სწავლობდა, ერიკს კი „გაქცეული მატარებლისათვის“ უკვე ოსკარის ნომინაცია ჰქონდა. დასთან ერთად 12 წელი ერთ ოთახში შეხმატკბილებული ვცხოვრობდი.

— „ლამაზმანში“ სანამ გადაგიღებდნენ, ნიუ იორკში რას საქმიანობდით?

— სამსახიობო კლასში

ვსწავლობდი, თუმცა, ამას დიდი სიამოვნება არ მოუნიჭებია. სამოდელო სააგენტოში მივედი, მაგრამ იქ სამუშაო არ შემოუთავაზებიათ. ფილმში „სისხლივით წითელი“ ერიკს მთავარი როლი რომ მისცეს, ფერმერის ქალიშვილის როლზე მე მომაწყო. მახსოვს, ერიკმა მითხრა, „რაიმე განსაკუთრებულის კეთება არ მოგიწევს, უბრალოდ კადრში გამოჩნდი“. შემდეგ რამდენიმე ფილმისა და ტელეშოუს გადაღებაში მივიღე მონაწილეობა... ფილმში „ლამაზმანი“ ვითვიანის როლი რომ მივიღე, ათი კილოგრამით მეტს ვიწონიდი და გაცილებით ნაკლები ვიცოდი, რაც საჭირო იყო.

— რა იცით ის მთავარი, რაც მაშინ არ იცოდით?

— ვიცი, რომ კარგ ჩხუბს ცუდი მშვიდობა სჯობს.

— ერიკთან თქვენი ურთიერთობის შესახებ მითქმა-მოთქმა დღემდე არ ცხრება. მისთვის ალბათ ადვილი არ იყო ეღიარებინა თქვენი უპირატესობა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თქვენს ოჯახში მსახიობი პირველად ის გახდა.

— ჩვენ მართლაც დიდი ხანია არ გვაქვს ერთმანეთთან ურთიერთობა, მაგრამ თუკი ჩვენს ოჯახში რაიმე მნიშვნელოვანი ხდება, საერთო გამყოფის პოვნას ვახერხებთ. ოჯახს ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

— სახლები გაქვთ ლოს ანჯელესშიც და ნიუ იორკშიც. მიუხედავად ამისა, დენი მოდერთან ტაოსის რანჩოში იქორწინეთ, იქ, სადაც ახლა შვილებს ზრდით.

— აქ ჩემი თავშესაფარია, ჰოლივუდს მხოლოდ სცენარების დასტა თუ მახსენებს, რასაც ჩემი სააგენტოდან ჰერიოდულად მიგზავნიან ხოლმე.

— მართალია, რომ ტრაქტორს თავად ატარებთ?

— დიახ, ეს ჯიპის ტარებაზე რთული არ არის. მთავარია, გეგმა გქონდეს, რომ მინდორში ტყუილად არ იყიალო.

— ამბობენ, რომ ცხოვრება ადვილი საქმე არ არის. მალე ორმოცი წელი შეგრულდებათ, თავს როგორ გრძნობთ?

— ძალიან მომწონს ასაკის მატება, რადგან ძალიან კარგი ოჯახი მყავს. ეს იმას ნიშნავს, რომ შემიძლია ვნახო, თუ როგორ იზრდებიან ჩემი შვილები. გარდა ამისა, შემიძლია ქმართან ცხოვრებითაც დავტკბე.

— ახალ როლებზე რას იტყვით?

— ცოტა ხნის წინ ხელი მოვაწერე კონტრაქტს ლოლი უინსტონის ფილმის, „ბედნიერება არ ნაწილდება“ მონაწილეობის შესახებ. მასში ვითამაშებ ქალს, რომელმაც ქმრის ღალატის შემდეგ გადაწყვიტა, თავისი ბედი თავად განაგოს.

— თქვენთვის ეს ძნელი არ უნდა იყოს.

— მე ჩემს საქციელს მუდმივად ვაანალიზებ, ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას ვცდილობ, რომლებმაც ჩემი ცხოვრება უნდა გააუმჯობესონ.

ჯულია რობერტსი, მისი მეუღლე, ოპერატორი დენი მოდერი და შვილები ნიუ ეგზიკოს შტატის ჩრდილოეთით მდებარე ტაოსის საგრაფოში, საკუთარ რანჩოში ცხოვრობენ. ჯულია რობერტსმა უკვე ისწავლა ქსოვა, „სანინის ოპერების“ ცქერა და ბავშვებისათვის საფენების გამოცვლა. მონოტონური ოჯახური ცხოვრების გასახალისებლად ბროდვეის სპექტაკლში „სამი წვიმიანი დღე“ მიიღო მონაწილეობა, სადაც ორი პერსონაჟი განასახიერაა, პირველ მოქმედებაში ექსცენტრულ ლამაზმანს, ნენს თამაშობს, მეორეში — დედამისს. აღსანიშნავია, რომ მის სასცენო დებიუტს კრიტიკის აღფრთოვანებება არ გამოუწვევია.

შემდეგ რობერტსმა მაიკლ ნიკოლსის ფილმის „ჩარლი უილსონის ომში“ მიიღო მონაწილეობამ, სადაც შეასრულა ტექსასელი ქალბატონის როლი, რომელმაც ტექსასელი კონგრესმენი ჩარლი უილსონი აფაანელი მეამბოხეების მხარდაჭერაზე დაითანხმა.

ჯულია რობერტსის მეუღლემ დენი მოდერმა ქონნიე-ბიდან ორი წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღო ისეთი ფილმების გადაღებაში, როგორიცაა „მისტერ და მისის სმითი“, „დიკი და ჯეინი“, „დეფა ვუ“, „ადამიანი ობობა 3“.

არავინ იცის, თუ რა ხდება მათ რანჩოში, თუმცა, მათი მეგობრები ამბობენ, რომ ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობა ზოგჯერ ნაპერწკლების ყრამდე იძაბება. მიუხედავად ამისა, ჰოლივუდში ისინი მაინც ყველაზე სტაბილურ წყვილად ითვლებიან.

— მინდა, რომ ჩემი ქმარი ბედნიერი იყოს, შვილები კი — ჯანმრთელი, — განაცხადა ჯულია რობერტსმა თავისი ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ფილმის პრემიერის დროს.

იტალიაში გალილეო გალილეის ორი თითი და კბილი იპოვეს



ფლორენციის მუზეუმის წარმომადგენლების თქმით, ნაპოვნია დიდი იტალიელი ასტრონომის გალილეო გალილეის ნეშტის ას წელზე მეტ ხნის წინ დაკარგულინაწილები.

ასტრონომის კბილი და ორი თითი აუქციონზე ერთმა კოლექციონერმა შეიძინა და ფლორენციის მეცნიერების ისტორიის მუზეუმს გადასცა. მუზეუმის ექსპერტების თქმით, მათ ნეშტის ნამდვილობაში ეჭვი არ ეპარებათ.

გალილეო გალილეი თანამედროვე ასტრონომიის მამამთავრად და ერთ-ერთ უდიდეს ფიზიკოსად ითვლება. კოპერნიკის მოძღვრების მხარდაჭერის გამო, რომელმაც გამოაცხადა, რომ დედამიწა მზის გარშემო ბრუნავდა, კათოლიკურმა ინკვიზიციამ იგი ერეტიკოსად გამოაცხადა.

გარდაცვლებიდან 95 წლის შემდეგ, 1737 წელს ეკლესიამ ასტრონომის ნეშტის კათოლიკურ ბაზილიკაში დაკრძალვის ნებართვა გასცა და მეცნიერებმა გალილეის ცხედარს კბილი, სამი თითი და ხერხემლის მალა მოაცალეს. ერთი თითი და მალა მუზეუმს გადასცეს შესანახად, დანარჩენი ნაწილები კი კოლექციონერიდან კოლექციონერს გადაეცემოდა, 1905 წელს კი ეს ნაწილები უკვალოდ დაიკარგა. ფლორენციის მუზეუმის განცხადებით, ამჟამად ყველა ნაწილი „საიმედო ხელშია“.

ვრცელ ისტორიულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ისინი აცხადებენ, რომ ამ ნაწილების ნამდვილობაში ეჭვი არ ეპარებათ. ექსპონატებს 2010 წელს ფლორენციის მუზეუმში რესტავრაციის შემდეგ წარმოადგენენ.

მოამზადა გენადი თევურმა

TV პროგრამა

ოთხშაბათი 23 ნოემბერი

08.00 ან. სერიალი "პიტი და კენტროფი" **08.30** სერიალი **"ფილიპის ფილოსოფია"** **09.00** **პიორგოგა** (ტრანსლაცია სამების ტაძრიდან) **14.00** მეხსიერება **15.00** სერიალი **"პირისპირ"** **16.00**, **20.00** მოამბე **17.00** ან. სერიალი "ადამიანი-ობობა" **18.00** დოკ. ფილმი "ჯგრაგ" **19.05** "მეხსიერება" **20.45** "ნანინა" **21.00** სერიალი **"ელიზას ქალიშვილი"** **22.00** თოქ-შოუ "არენა" **23.30** "ერთი ისტორია" **00.00** კიკბოქსინგი **01.30** მზ. ფილმი **"ბაღდუნაღე სხვაპ"** (12)

19.00 ან. ფილმი "პიტი და კენტროფი" **19.25** ნანინა **19.40** სერიალი "ფილიპის ფილოსოფია" **20.10** მეხსიერება **21.05** სერიალი **"პირისპირ"** **22.00** სერიალი **"ელიზას ქალიშვილი"** **23.00** ქართული დოკუმენტალისტიკა – ბრაზინსკების საქმე **23.50** მზ. ფილმი **"ფუხუმეველა ქვაფფენილზე"**(U)

07.30 დილა მშვიდობისა **10.00** სერიალი **"ბურისაძეების ცხოხლები"** **11.00** ვანოს შოუ **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **03.40** კურიერი **12.20** სერ. **"გზა დიდებისაკენ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** სერიალი **"უფრთხილდი ანგელოზს"** **15.25** სერიალი **"ჩვენი ოფისი"** **15.50** სერიალი **"ბუსლის ანგელი"** **16.50** სერიალი **"დრო ხუთი და ლამაზმანი"** **18.30** სერიალი **"ჩვენი ოფისი"** **19.00** სერიალი **"ფაფი ყაბალიერიანის"** **19.50** სერიალი **"ანსანლის საიდუმლო"** **22.00** ჟურნალი **00.00** საფეხბურთო ღამე **01.30** პატრული **02.00** მზ. ფილმი **"ვესტსაიდერი ამბავი"** (12)

08.00 მულტფილმი "იასამნის ციხესიმაგრე" **09.00** სერიალი **"ბარბა ეამლიე"** **09.50** სერიალი **"ჩვენი შეფუარაბეული"** **10.50** სერიალი **"ბუბუაები"** **11.50** სერიალი **"სი-ეს-აი"** **12.40** მზ. ფილმი **15.00** სერიალი **"ბარტოხლა ბერეული"** **15.50** მზ. ფილმი **18.00** სერიალი **"ბუბუაები"** **19.00** სერიალი **"ნანბერ ეპერინგ"** **20.00** ზღაპარიფო **20.15** სიცილი მზეზე **21.25** ვიქტორინა "ქუმ შოუ" **22.30** სერიალი **"ჩვენი შეფუარაბეული"** **23.30** სერიალი **"სი-ეს-აი"** **00.30** მზ. ფილმი

07.30 იმედის დილა **09.00**, **11.00**, **14.00**, **17.00**, **19.00**, **20.00** ქრონიკა **10.00** სერიალი **"ორმაგი თამაში"** **11.25**, **14.35** ტკ-მარკეტი **11.40** დოკ. ფილმი "ყველაზე. ყველაზე, ყველაზე" **12.00** სერიალი **"ინგმ"** **13.00** სერიალი **"ბარაფიული გრანდიოზა"** **15.00** ღამის შოუ **16.00** სერიალი **"ბანანსხვეული ანგელოზი"** **17.35** დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **18.00** სერიალი **"ხიუვარულის აბრდილი"** **19.05** სერიალი **"ბარაფული გრანდიოზა"** **21.00** სერიალი **"ბანრანსხვეული ანგელოზი"** **22.00** მზ. ფილმი **"ამბავი ხუროამის ციხისა"** **00.00** სერიალი **"ინგმ"** **01.00** მზ. ფილმი **02.35** ქრონიკა **02.50** სერიალი **"ალიგი"**

08.00, **11.30**, **14.30**, **17.30**, **20.30**, **22.30** "დრო" **08.15** მულტფილმი **08.45** მზ. ფილმი **"ანტარიმანი და ოგანიანი, ბინია კალიაანტრა"** **10.30**, **19.30** სერიალი **"ეამოუხნი კუთხეები"** **11.45**, **21.00** სერიალი **"ცხოვრების ტარეცანლში"** **12.45** მზ. ფილმი **"პოლიუფდის ნიმანი"** **14.50** "ფერისცვალება" **15.20** მზ. ფილმი **"ბაკარეული"** **18.00** დოკ. ფილმი **19.00** ნოვოსტი **21.25** ტელევიქტორინა **23.00** პრესონა **23.30** მზ. ფ. **"ანდეარაუნდი"**

ერთსულოვნება **08.30** ახალი

აღიქმის განმარტება **09.00** წმინდა დიდმონამე გიორგის ხსენების დღე. ტრანსლაცია ქვაშვეთის ტაძრიდან **13.00** საეკლესიო კალენდარი **13.05** მულტფილმი **13.10** კონცერტი **13.55** კვირიაკე **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შვიდეზის ლოცვა **15.00**, **18.00**, **21.00**, **00.05** საგალობელი **15.05** საეკლესიო კალენდარი **15.10** მულტფილმი "ნუნუ და წრუწუნა" **15.30** მზ. ფილმი **"აბეზარა"** **17.00** დოკ. ფილმები "ერთადერთი რუსთაველზე", „კარიბჭე“ **17.30** გაცოცხლებული წარსული **18.05** პატრიარქის ქადაგება **18.30** საგ. არქივიდან **19.15** მზ. ფილმი **"ბაკო ბაბეი მგალოველი"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** დედა ეკლესია **22.00** სიახლენი **22.20** ერთსულოვანი ოჯახი **22.40** დოკ. ფილმი "წმინდა დიდმონამე გიორგი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "ჯგრაგი" **00.00** პატრიარქის ქადაგება

პროგრამები იბეჭდება საგაგნტო „ინფორზარის“ ნებართვით

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

საქართველოს ეროვნული ბანკი 2009 წლის 23 ნოემბრის დარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დაუფიქსირა:

აშშ დოლარი — 1,6825	ევრო —2,4035
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7536	რუსული რუბლი — 0,0533

აღმოსავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 19-13, ღამით — 1-4

დასავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 15-18, ღამით — 7-19

სამხრეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — 1-2, ღამით — -8 -7

ქართული ფლორის საოცრება

„სალხინო"

უებარი წამალია

"სალხინო" აწესრიგებს შარდ-სასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა,შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში, შარდის წყეთ-წყეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩარქოვანი და ანთებითი პროცესების დროს; პირის ღრუს, სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩარქოვანი ანთებითი დაავადებების: ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის; კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩარქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

პრაქტიკამ დაადასტურა ისიც, რომ "სალხინო" სარძეკვე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭის და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ "სალხინო"-ს მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით. „სალხინო"-ში შემავალი უნიკალური ნივთიერების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებულია და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნების აიეულობით სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

"სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

შვიდკაცა იშლება, აღმასკომი შედგა

გიორგი ნემსა ე ფედერაციიდან ისევ წავიდა

ქართული ფეხბურთის განვითარება ამერიკული ვესტერნის „შესანშნავი შვიდეულის" სიუჟეტს ემსგავსება. გემახსოვრებათ, ფილმში მთავარი გმირებიდან მხოლოდ 3 გადარჩა, ხოლო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (სსფ) პრეზიდენტ ზვიად სიჭინავას მოსვლისთანავე დასახელებული შვიდეულიდან, რომლებიც ფედერაციის მუშაობას გაუძღვებოდნენ, სსფ-ს რეგგალრეში ყრილობის შემდეგ ხელი 5 შერჩა, თუმცა ჯერ ისიც საკითხავია, ეს 5 გადარჩა თუ ის 2, რომელიც ფედერაციაში არ იმუშავებს. რეგგალრეშე ყრილობა შაბათს ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ „ბასანი" გაიმართა, რომელსაც აღმასკომის წევრები უნდა აერჩია, ხოლო აღმასკომს — ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტები და გენერალური მდივანი. აღმასკომის წევრად 18 წევრი უნდა არჩეულიყო, ერთი წევრი მანამდე იყო ცნობილი — ფედერაციის პრეზიდენტი ავტომატურად შედის აღმასკომში. დანარჩენ 18 წევრობის მსურველი 24 კანდიდატი იყო, რომლებიც 30 დელეგატს უნდა აერჩიათ (ყრილობის კიდევ ერთი საკითხი ფედერაციის წესდებაში შესატანი ცვლილებები იყო).

ყრილობაზე არ მივიდნენ გიორგი ნემსაძე და ლევან ყიფიანი. ნემსაძემ თავად თქვა უარი როგორც აღმასკომის წევრობაზე, ასევე ფედერაციაში მუშაობაზე. გემახსოვრებათ, ნემსაძე სწორედ იმ შვიდეულში მოიაზრებოდა, რომელიც სიჭინავამ თავის გუნდად მოიხსენია. როგორც ჩვენთან საუბარში ნემსაძემ განაცხადა,

გაგრძელება მე-9 გვერდზე

„გაღმა ნაპირი" კვლავ გამარჯვებულია

ეკა ირემაშვილი



გიორგი ოვაშვილის გახმაურებული ფილმი „გაღმა ნაპირი" კვლავ გამარჯვებულია. კიევის 39-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე „ახალგაზრდობა" ქართული კინოსურათი საუკეთესოდ ცნეს.

„გაღმა ნაპირის" სცენარის ავტორია ნუგზარ შატაიძე, ადაპტაცია ცნობილ აზერბაიჯანელ დრამატურგს რუსტამ იბრაგიმბეკოვს ეკუთვნის, ოპერატორი კი შაჰრიარ ასადია. ფილმში მთავარ როლებს თედო ბექაური, გალობა გამბარია, ნიკა ალაჯავი და თამარ მესხი ასრულებენ. შემოქმედებით ჯგუფს ძალიან უნდოდა ქართველ მსახიობებთან ერთად სურათში მონაწილეობა აფხაზ ხელოვანებსაც მიეღოთ, თუმცა, მათ ყველანაირ თანამშრომლობაზე უარი განაცხადეს. ფილმში მოთხრობილია აფხაზეთიდან დევნილი 12 წლის ლუკას ისტორია, რომელიც ცდილობს იმედი და საკუთარი თავის რწმენა დაიბრუნოს. ამ ფილმზე გიორგი ოვაშვილი 3 წელზე მეტხანს მუშაობდა. ჯერ კიდევ ფილმის დაუსრულებელი ვარიანტის გაგზავნით მან მიწვევა მიიღო ბერლინისა და

გაგრძელება მე-8 გვერდზე

***

— ... ...